გამოიცემა 1934 წლიდან

№ 231 (12 606) 2 ოქტომბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსიძე სუპერ!



## დინამოს დონალდმა მოაგებინა



# KLINSI RAUS!

ბაიერნის ფანები კლინსმანის გადადგომას ითხოვენ »»» 6



# ბოლო წუთის ფასი

## ვინ შეაჩერებს ლოკომოტივს?

საქართველოს ჩემპიონატი. IV ტური »»» 2-4




»»» 15

# ბარაქა!

მოურინიო ძლებაიას ჯგუფში ლიდერობას ეცილება

# ბლატერი და პლატინი თბილისში



»»» 4



## რა ბედი ეწია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამას?

ინტერვიუ უჩა უგულავასთან »»» 4

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
IV ტური

# თავისუფლება და კატასტროფა

**დინამო-ოლიმპი 2:1**

01.10. თბილისი. ეროვნული
400 მაყურებელი

1:0 ვანაძე (48. მერებაშვილის პასით), 1:1 გაბიდაური (50), 2:1 ჯიუსი (89. მერებაშვილის პასით)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ელიავა - ოდიკაძე (81. სპასოევიჩი), ხმალაძე, დილმელაშვილი (46. ჯიუსი, 90. ინწკირველი), ნერგაძე - გ. მერებაშვილი, ვანაძე.

სათადარიგოები: ლორია, შ. კაშია, ფირცხალავა, გველესიანი

ოლიმპი: მერლანი - თ. ლონლაძე, აკუასაგა, ჩიკვილაძე, ა. გილაური - გ. სეთურიძე (58. ბაბუნაშვილი), გაბიდაური, დობროვოლსკი, დეკანოსიძე (74. მიკუჩაძე) - გ. ჩხეტიანი (51. ფიფია), მეგრელაძე.

სათადარიგო: სტურუა

გაფრთხილება: მიკუჩაძე (89)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

...მატჩის მერე „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა ქასრაშვილი** ალშფოთებას ვერ მალავდა: *„რამდენი წელიწადია მწვრთნელი ვარ და ასეთი სამარცხვინო ასპარეზობა არ მინახავს."* რუსთაველი კლუბის თავკაცი, რა თქმა უნდა, საკუთარი გუნდის მართლაც, უსუსურ თამაშს გულისხმობდა. ისიც ფაქტია, რომ ასეთი განცხადება „ცხელ გულზე" გაკეთდა - არანაკლებ უარესიც გვინახავს; თუმცა, იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, როგორი შემადგენლობა ჰყავს გუნდს - ამ მხრივ კი „ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონატში, ალბათ, არავის ჩამოუვარდება. და მაინც: ფაქტი ფაქტად რჩება და ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტს(!) ახალ სეზონში ჯერ მოგება არ აქვს...

ვერც რუსთაველთა მეტოქეზე ვიტყვით, რომ ახალი ჩემპიონატი შთამბეჭდავად დაიწყო; პირიქით - ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, მოქმედმა ჩემპიონმა ერთობ წარუმატებელი სტარტი აილო. მოკლედ, ისეთ მატჩს ველოდით, რომლის შედეგიც ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო.

..."ოლიმპს" სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა: ორი ცენტრალური მცველი - **ნოდარ მაჭავარიანი** და **გიორგი ონიანი** ტრავმირებულები არიან; წამყვანი ნახევარმცველი **გიორგი ფეიქრიშვილი** კი „დინამოდან" არის განათხოვრებული და ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონდა. ამის გამოც იყო, რომ სტუმართა სათადარიგოთა სკამზე შვიდის ნაცვლად ოთხი ფეხბურთელი იჯდა. წინა მატჩთან შედარებით, „დინამოს" ძირითადში ორი ცვლილება მოხდა: დაცვის მარჯვენა ფლანგზე **გულვერდ თომაშვილი** ვიხილეთ, ნახევარდაცვაში კი - **გიორგი ნერგაძე**. სხვათა შორის, „დინამოს" გერმანელმა მწვრთნელმა **რაინერ ცობელმა** გუნდის ტაქტიკური განლაგებაც შეცვალა: ნახევარდაცვის ცენტრში ერთდროულად სამი „საყრდენი" (გიორგი ნერგაძე, **დავით დილმელაშვილი, ლევან ხმალაძე**) გაამწესა; **გიორგი მერებაშვილი** და **დავით ოდიკაძე** გარემარბები იყვნენ, შეტევაში კი **მათე ვანაძე** ეულად იყო. თუმცა მასპინძელთა ახალგაზრდა ცენტრფორვარდს პირველიდან ბოლო წუთებამდე პარტნიორების მხარდაჭერა არ მოჰკლებია და ეს, პირველ ყოვლისა, გიორგი მერებაშვილზე ითქმის. წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა ახალი სეზონის უდავოდ გამორჩეული მატჩი ჩაატარა და ერთ გატანილ გოლსაც ალალად იმსახურებდა. თუმცა, მთავარია, რომ მისმა გუნდმა მოიგო და სატურნირო მდგომარეობაც შედარებით გამოასწორა.

პირველი ტაიმი დიდი ვერაფერი სანახავი აღმოჩნდა; ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები კი ფლობდნენ, მაგრამ ისე, როგორც წინა შეხვედრებში, დამაგვირგვინებელ ფაზაში კვლავაც მოიკოჭლებდნენ. „დინამოს" კიდევ არა უშავს - სამი-ოთხი სახიფათო მომენტი მაინც შექმნა სტუმართა კართან; აი, „ოლიმპის" ზედმეტად ფრთხილი და პასიური თამაში, მართლაც, უსიამოვნო მოულოდნელობა იყო. თავად განსაჯეთ - შეხვედრის პირველ 45 წუთში ერთადერთი გამოსარჩევი ეპიზოდი ის იყო, როცა **გიორგი დეკანოსიძეს** ეშმაკური პასით **გიორგი მეგრელაძე** კარგ პოზიციაზე გაჰყავდა; თუმცა სტუმართა ცენტრფორვარდმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და ყველაფერი ამით დასრულდა. სამაგიეროდ, მოსვენება არ ჰქონდა „ოლიმპის" მეკარეს **მირზა მერლანს** - სულ ცოტა, ორ ეპიზოდში საკუთარი გუნდი აშკარა ხიფათს რომ გადაარჩინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით ოდიკაძის სახიფათო ჯარიმის მოგერიება - ბურთი მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში რომ მიფრინავდა. ერთ ეპიზოდში სტუმრებს მშველელად... ძელი მოევლინა: გიორგი მერებაშვილმა ჩინებული სოლორეიდი განახორციელა, ეფექტური ფინტებით ორი მეტოქე ჩამოიშორა და მეკარისგან შორეულ, დაუცველ კუთხეს დაუმიზნა, მაგრამ...

ტაიმის მიწურულს კი მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ: მერებაშვილის მარცხენა ფლანგიდან გარღვევას მათე ვანაძის აქტიურობა მოჰყვა, რის მერეც დინამოელთა თავდამსხმელი ბალახზე აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, მთავარმა მსაჯმა **გიორგი ვადაჭკორიამ** (ისე როგორც მთელ მატჩის განმავლობაში) მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ტაიმიც უგოლოდ მორჩა.



მათე ვანაძემ ანგარიში ამ დარტყმით გახსნა

სამაგიეროდ, მატჩის მეორე ნახევარში ნანატრი გოლებიც ვიხილეთ და თამაშის ხარისხმაც მოიმატა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „დინამომ" ანგარიში რომ გახსნა: კვლავაც მერებაშვილმა გაიბრწყინა (ამჯერად - მარჯვენა ფლანგზე) და ზუსტი პასით მეტოქის საჯარიმოში მათე ვანაძე მოძებნა. ამ უკანასკნელმა კი მოხდენილი თავური დარტყმით მირზა მერლანი უშანსოდ დატოვა. „დინამოს" ზეიმი არ ჰქონდა დასრულებული, საკუთარ კარში გოლი რომ მიიღო: „ოლიმპის" კუთხურს ის მოჰყვა, რომ **გიორგი გაბიდაურმა** 18-20 მეტრიდან ბურთს „ცაცია" შეაგება და **დიდიე ოვონომაც** მხოლოდ თვალიღა გააყოლა ამ დინამიკურ მომენტს! მოკლედ, ორი ეფექტური გოლი ვიხილეთ და ყველანი დაძაბული პაექრობის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ჰო - ამის მერე მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი - თბილისის „დინამო" თამაშობდა! მასპინძელთა შეტევები უფრო გაამრავალფეროვნა შეცვლაზე შემოსულმა **დონალდ ჯიუსმა**, ვინც მარცხენა გარემარბის პოზიციაზე გამწესდა, მერებაშვილი მარჯვნივ გადავიდა, ხოლო ოდიკაძემ ცენტრში შემოიწია. მოკლედ, უფრო შემტევმა ტაქტიკურმა განლაგებამ (4-2-3-1) მასპინძლებს უდავო უპირატესობა მოაპოვებინა. მირზა მერლანიც, სანამ შეეძლო, ვაჟკაცურად უმკლავდებოდა „დინამოს" გამუდმებულ იერიშებს - ჯერ ლევან ხმალაძის დარტყმა მოიგერია, მერე - მათე ვანაძის. როგორც იქნა, „ძველი" გიორგი ნერგაძეც ვნახეთ - ტრავმებისგან გაწამებულმა ამ ნიჭიერმა ნახევარმცველმა „დინამოში" ჩარიცხვის მერე ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ბოლოს და ბოლოს, მასპინძლებმა მაინც შეძლეს უდავო უპირატესობის გოლად ქცევა: გიორგი მერებაშვილის საჯარიმო დარტყმას დონალდ ჯიუსის ზუსტი თავური დარტყმა მოჰყვა! ეს ყველაფერი მატჩის მიწურულს მოხდა და სტუმრებს ანგარიშის გასათანაბრებლად დროც აღარ ჰქონდათ. ეგ კი არა, კინაღამ მესამე გოლიც გაუშვეს: მერებაშვილის ლამაზი გარღვევა და... კვლავ ძელს ხვდება ბურთი! მერე კი მერლანმა შეძლო ხმალაძის ძლიერი დარტყმის მოგერიება და შეხვედრაც დასრულდა...



დინამოელთაგან გიორგი მერებაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო

### მატჩის შემდეგ

**ხვიჩა ქასრაშვილი (ოლიმპი)**: „მიზეზთა ძებნას არ დავიწყებ - ფაქტია, რომ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. შეიძლებოდა, რომ მატჩი ფრედ დაგვესრულებინა; თუმცა ისიც შეიძლებოდა, რომ დიდი ანგარიშითაც წაგვეგო. ამჯერად ვერაფერს ვიტყვი და ვერც გამართლებას მოვუძებნი „ოლიმპის" ასეთ სუსტ თამაშს. ეს, უბრალოდ, კატასტროფა იყო..."

**რაინერ ცობელი (დინამო)**: „როცა ფეხბურთელი თავისუფლად თამაშობს, მოედანზე ყველაფერი გამოსდის. არ დავმალავ: ორი წაგების მერე მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც გარკვეული წნეხის ქვეშ ვიყავით მოქცეული. ახლა კი მოხარული ვარ, რომ ასეთ რთულ შეხვედრაში შევძელით ძლიერ მეტოქესთან გამარჯვება. თანაც, თავისუფლად შეგვეძლო კიდევ რამდენიმე გოლის გატანა."

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 3. დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 4. მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| 5. გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 6. სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1-1 | 5 |
| 7. მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| 8. ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 9. ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 10. ოლიმპი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-2 | 2 |
| 11. სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

### მომდევნო ტური

**4 ოქტომბერი, შაბათი**

14:00 გაგრა-სიონი *Live*

**5 ოქტომბერი, კვირა**

14:00 ზესტაფონი-დინამო *Live*
15:00 სპარტაკი-ბორჯომი
15:00 ლოკომოტივი-მგლები
15:00 ოლიმპი-ვიტ ჯორჯია

*მესხეთი ისვენებს*

ოქტომბერში თამაშები 15 საათზე დაიწყება

მატჩები, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა დაიწყება 14 საათზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
დავით თავართქილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



დონალდ ჯიუსის (№15) საგოლე დარტყმა

დინამო-ოლიმპის შემდეგ

# ვინ აგინებდა აკუასაგას?

გუშინ ეროვნულ სტადიონზე გამართული დრამატული მატჩის შემდეგ მეტოქე გუნდებიდან თითო ფეხბურთელს გავესაუბრეთ. რესპონდენტებად გოლის ავტორები - დონალდ ჯიუსი და გიორგი გაბიდაური შევარჩიეთ.

დონალდ ჯიუსი

## გამარჯვების გოლს სხვა ფასი აქვს

**- თავდაპირველად, მატჩი შევაფასოთ...**

- უზომოდ ბედნიერი ვარ. ბურთები „ბორჯომშიც" გამიტანია და „დინამოშიც", მაგრამ ეს მეტად საჭირო გოლი იყო. არა, გამარჯვების გოლს სულ სხვა ფასი აქვს. რაც შეეხება მატჩის შეფასებას, მეტოქეს თამაშითაც ვაჯობეთ და მოგებაც დავიმსახურეთ. ალბათ, დამეთანხმებით ამაში. ბევრი ქულა დავკარგეთ და უკან დასახევი გზა აღარ გვქონდა. მოგება გვინდოდა და ყველანი გახარებულები ვართ, რომ 3 ქულა მოვიპოვეთ.

**- მომდევნო ტურშიც რთული მატჩი გელით ზესტაფონში. შეძლებთ გამარჯვებას?**

- ეს წარმატება რომ სტიმულია „ზესტაფონთან" მატჩისთვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „ზესტაფონის" წინააღმდეგ თამაში უკვე თავისთავად მოტივაციაა. ესეც არ იყოს, „დინამო" მოქმედი ჩემპიონია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყველა მატჩში მოსაგებად გავიდეთ მოედანზე.

**- შევიდა, ნახა, გაიტანა... და გამოვიდა - შენზეა ნათქვამი. შეცვლაზე შესული, მატჩის ბოლოს გამოგცვალეს. ეს ფეხბურთელებს არ სიამოვნებთ. შენი რეაქცია როგორი იყო?**

- მთავარმა მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და რა მეთქმის... ეს ჩვეულებრივად მივიღე. 45 წუთი ხომ მაინც ვითამაშე... თუმცა მთავარი ისაა, რომ მოვიგეთ და თანაც, გადამწყვეტი გოლი გავიტანე.

**- ამ გოლის შემდეგ ძირითადში დამკვიდრების შანსი გაგეზარდა?**

- ვფიქრობ, ასეა. მაგრამ ის, თუ ვინ იქნება სასტარტოში და ვინ - სკამზე, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ვალდებული ვარ, ყველა თამაშში მოედანზე მაქსიმალურად დავიხარჯო და გუნდს სარგებელი მოვუტანო. ჯერ 18 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს. დავიხვეწები, კლასს ავიმაღლებ და „დინამოს" კიდევ უფრო გამოვადგები.

გიორგი გაბიდაური

## არბიტრს დინამოელი უნდა გაეძევებინა

- ამ მატჩამდე ორივე გუნდი თანაბარ სიტუაციაში ვიყავით. საკმაო ქულები გვქონდა დაკარგული და კიდევ ერთი წარუმატებლობის დაშვება არ გვინდოდა. თუმცა „დინამომ" დღეს გვაჯობა, ღირსეულად მოგვიგო. ვულოცავ მეტოქეს ამ სამ ქულას... აი, არბიტრის მიმართ კი სერიოზული პრეტენზია მაქვს...

**- მაინც რა? ვადაჭკორიამ არაობიექტურად იმსაჯა?**

- აქამდე მას დიდ პატივს ვცემდი. ტრიბუნიდან, ალბათ, ისე ჩანდა, რომ არბიტრის მიმართ „ოლიმპს" პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასე არაა საქმე. მოედანზე ვიყავი და ყველაფერი ნათლად დავინახე. „დინამოს" ერთი ფეხბურთელი ერნესტ აკუასაგას მთელი მატჩის განმავლობაში აგინებდა. ჰოდა, მიაღწია კიდეც სანადელს, მწყობრიდან გამოიყვანა და ამიტომაც ვერ ითამაშა სათანადოდ.



**- ვინ აგინებდა აკუასაგას?**

- არ ვიტყვი, თავადაც მიხვდება. არბიტრთან კი ის პრეტენზია მაქვს, რომ მას უნდა გაეძევებინა „დინამოს" ფეხბურთელი, რომელიც მეტოქეს აგინებდა.

**- მეორე ტაიმში ფეხბურთელებს შორის შელაპარაკება მოხდა. რა იყო მიზეზი?**

- ისეთი არაფერი. უბრალოდ, ფეხბურთია და ემოციებმა იმძლავრა. ჩვენ მეგობრები ვართ. ასე რომ, ეს საკითხი ამოწურულია.

**- ეფექტური და დროული გოლი გაიტანე. მსგავსი თუ გაქვს გატანილი?**

- მართლაც დროული იყო და ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოვიპოვეთ, მაგრამ მეტი ველარ გავიტანეთ. სხვა შემთხვევაში, ამ თამაშს არ წავაგებდით. რაც შეეხება მსგავს გოლს, სამი-ოთხი ასეთი გოლი მართლაც მაქვს გატანილი კვიპროსსა და ყაზახეთში რომ ვთამაშობდი. საერთოდ კი, გოლების უმრავლესობა სწორედ შორიდან გამაქვს.

**- ისევ დაკარგეთ ქულები, მომდევნო მატჩი კი „ვიტ ჯორჯიასთან" გაქვთ, რომელიც დღეს შინ „ლოკომოტივთან" დამარცხდა. შეძლებთ ნავსის გატეხვას?**

- მართალია, ბევრი ქულა დავკარგეთ... ვარდნა უნდა შევაჩეროთ. სხვათა შორის, ხუთი წელიწადია „ვიტ ჯორჯიის" თამაში არ მინახავს. ყველა ამბობს, კარგი გუნდიაო და, ალბათ, ასეცაა. მაგრამ ნავსი უნდა გავტეხოთ და 3 ქულის ალება შევძლოთ.

**დავით ცაბაძე**

# ალექსიძე სუპერ!

**ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი**

**1:2**

01.10. გორი. თ. ბურჯანაძე

200 მაყურებელი

1:0 ლიპარტია (40. კლიმიაშვილის პასით), 1:1 ალექსიძე (70. დარასელიას პასით), 1:2 ალექსიძე (90. ჩირიკაშვილის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - კლიმიაშვილი, მელქაძე, რაზმაძე, დათუნაიშვილი, კვალინიძე (77. კვარაცხელია) - ლიპარტია.

*სათადარიგოები:* მიქაბერიძე, ხურცილავა, ყველაშვილი, მაისაშვილი, ბერიაშვილი, ლუჭაშვილი

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი (55. ლ. გრიგალაშვილი), ფარულავა, კახელიშვილი - სამხარაძე (46. ბარბაქაძე), ზ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, დარასელია (90. მახარაძე), ჩირიკაშვილი - ალექსიძე.

*სათადარიგოები:* ბათიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. გილაური

გაფრთხილება: კვალინიძე (14), სამხარაძე (14), ზ. ჩხეტიანი (23), ბარბაქაძე (65), კახელიშვილი (75), კლიმიაშვილი (76)

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)



რატი ალექსიძე შეუდარებელი იყო

ეს იყო საფეხბურთო ნიუანსების თაიგული, ქრესტომათიული კრებული, ფეხბურთი მთელი სისავსით - ტაქტიკური პერიპეტიები, მწვრთნელის შეცდომები, ფეხბურთელების ინდივიდუალიზმი, დრამა და... **რატი ალექსიძე.** ორასამდე მაყურებელი, გულის დამთუთქავი სიჩუმე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მატჩზე - სად იყო ზეიმი, რომელიც მოედანზე გაჩაღებულ ძიგძიგს დაამშვენებდა? არადა, როგორ მოუხდებოდა უხვი გულშემატკივარი ამ თამაშს...

ქარი ხელს უშლიდა ფეხბურთელებს, ბურთის მოთვინიერება იოლი არ იყო, გორული თოში კი ორივე გუნდის მოთამაშეებს მცოწარობის საშუალებას არ აძლევდა. „ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში ჯაბნიდა მეტოქეს. **რამაზ მუმლაძემ** ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაში აირჩია. წინ წაწეულ **ჯაბა ლიპარტიას გიორგი დათუნაიშვილი** უმაგრებდა ზურგს, მარცხნიდან და მარჯვნიდან კი **გიორგი კვალინიძე** და **ირაკლი კლიმიაშვილი.** ეს ოთხეული შეტევაში რომბს ქმნიდა. რომბისებური განლაგება თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ეფექტურია, ვიტელებიც კარგად ასრულებდნენ ამ გეომეტრიულ მოდელს და თუ ამ ოთხეულიდან რომელიმე სხვა პოზიციას დაიკავებდა, ცარიელ ადგილს უმალ მისი თანაგუნდელი ავსებდა.

ვიტელები გუნდური თამაშით ალემატებოდნენ „ლოკომოტივს", რომელსაც რამდენიმე ისეთი შემსრულებელი ჰყავს, ვიტჯორჯიელებს რომ არ მოეპოვებათ. მუმლაძემ კარგად შეარჩია სტრატეგია. პირველ ტაიმში „ლოკომოტივი" თამაშის მომგებ გუნდს არ ჰგავდა. თამაშის ამ მონაკვეთში ალექსიძე, **ვიტალი დარასელია** თუ **ლევან ცქიტიშვილი** „ვიტ ჯორჯიას" დიდ პრობლემებს ვერ უქმნიდნენ.

...ლიპარტიამ საშუალო დისტანციიდან სცადა გატანა და **გიორგი ლომაიამ** ხელებში მოიგდო ბურთი. ცოტა ხნის შემდეგ საჯარიმო მოედნიდან გადმოვარდნილ ბურთს **გიგა ბეჭვაია** დაუხვდა, მაგრამ ქარის გამო ფეხზე კარგად ვერ მოისვა და დარტყმა გაუფუჭდა.

შეტევაში უქმად არც „ლოკომოტივი" იყო. კუთხურის ალამთან ჯარიმა **ირაკლი სამხარაძემ** მოიპოვა. დარასელიამ ჩაწოდებას კარში დარტყმა ამჯობინა და **გრიგოლ ბედიაშვილს** საკმაოდ რთული ბურთის მოგერიება მოუხდა. აღსანიშნავია „ლოკომოტივის" ერთი შეტევაც: **ირაკლი ჩირიკაშვილის** ჩაწოდებულზე ალექსიძემ მედგრად იბრძოლა, საჯარიმოში მყოფმა ძლიერად დარტყმაც მოახერხა, მაგრამ ბედიაშვილმა ბურთი ხელებში გააქვავა.

კომბინაციური, სწრაფი თამაში ვიტჯორჯიელებს უკეთ გამოსდიოდათ. **ბეჭვაია-დათუნაიშვილის** გამჭრიახობის შემდეგ ბურთი ლიპარტიამ მოიგდო და ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა - ლომაიამ ბურთი ფეხით მოიგერია.

და გოლიც: კლიმიაშვილმა ჩინებული პასი გაუჭრა ლიპარტიას, რომელიც **დაჩი ფოფხაძეს** დაუსხლტა, მერე კი კარიდან გამოსული ლომაიას შეცდომაც გამოიყენა და ბურთი ბადეში გაახვია. პირველ ტაიმში ლიპარტია მართლაც საუკეთესო იყო, მეტოქეს მოსვენებას არ აძლევდა, შეუპოვრად იბრძოდა და ერთი-ორჯერ მოხდენილადაც გააცურა სტუმართა მცველები.

მეორე ტაიმი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. „ლოკომოტივი" თანდათან აძლიერებდა იერიშებს. ორმხრივი შეტევების ფონზე თვალისმომჭრელი თამაში გაჩაღდა. 58-ე წუთზე „ლოკომოტივს" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო: **გიორგი კახელიშვილმა** მარცხნიდან ისე ჩააწოდა, **გიორგი ბარბაქაძეს** უთუოდ გოლის გატანა მართებდა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა. იქით „ლოკოს" კარს დაემუქრნენ ლიპარტია და კვალინიძე, მათზე უკეთესი შანსი კი კლიმიაშვილს ჰქონდა; რომელმაც (რატომღაც) კუთხე დაიმახვილა და საშუალო მანძილიდან მიზანმაც უმტყუნა.

თამაში გაიხსნა. „ვიტ ჯორჯიას" სისწრაფესა და გუნდურ თამაშში უპირატესობა აღარ ჰქონდა, ცქიტიშვილი, დარასელია და ჩირიკაშვილი ცაციათი ისე კარგად ათვინიერებდნენ ბურთს, რომ ვიტელებს მათ გასანეიტრალებლად გვარიანი გარჯა უწევდათ. ღმერთმანი, კარგი ჯახი იყო.

საპასუხო გოლიც საამო საცქერი გახლდათ: კარისკენ ზურგით მყოფმა დარასელიამ „მაკრატელათი" შეასრულა საგოლე გადაცემა, ალექსიძემ თითქოს იყნოსა, საით წავიდოდა ბურთი და ცაციათი, ვარდნაში ბედიაშვილს აუღებელი დაურტყა.

რა თქმა უნდა, მუმლაძეს შეეძლო, ანგარიშის შენარჩუნებისთვის გადაეწყო გუნდი, მაგრამ პირიქით, შეტევის გაძლიერება განიზრახა, შუახაზელი კვალინიძე თავდამსხმელ **ვახტანგ კვარაცხელიათი** შეცვალა, ორი ფორვარდითა და ოთხი ნახევარმცველით გააგრძელა შეხვედრა, რამაც არ გაუმართლა - კვარაცხელიამ ვერ იაქტიურა, ნახევარდაცვას კი კაცი მოაკლდა. დაღლა დაეტყო ლიპარტიას, თუმც მუმლაძემ ის მაინც არ შეცვალა, დაღლილი ლიპარტია კი ეფექტურად ველარ ირჯებოდა. ყოველივე ამან „ლოკომოტივის" წისქვილზე დაასხა წყალი. თამაშის ბოლოს ბურთს მეტწილად სტუმრები ფლობდნენ. შეხვედრის ბოლო წამებზე კი ჩირიკაშვილმა „ვიტ ჯორჯიის" დაცვა შეცდომაში გამოიჭირა, უმეთვალყუროდ დარჩენილ ალექსიძეს უპასა და რატიმაც გამარჯვებისა შეაგდო.

ალექსიძის დარი თავდამსხმელი მეტად ფასეულია. „ლოკომოტივს" ძალიან გაუმართლა, ასეთი ფეხბურთელი ციდან რომ ჩამოუვარდა...

### მატჩის შემდეგ

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** „პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა. წინა ტურში „დინამოსთან" უმძიმესი მატჩი გვქონდა და ამას ჩვენი გუნდისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. იყო ეიფორიის მომენტიც. მეორე ტაიმში უკეთ ავთამაშდით, ფეხბურთელებს დიდ მადლობას ვუხდი, მათ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს. რატი კი ალბათ, სერიოზულად იბრძოლებს ბომბარდირობისთვის".

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** „სანახაობრივი მატჩი გამოვიდა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ აქცენტი ისევ შეტევაზე გავაკეთეთ. რაც შეეხება კვალინიძის კვარაცხელიათი შეცვლას, ძალიან ძნელია, ზუსტად განჭვრიტო, რას მოიტანს ესა თუ ის სვლა. ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი სხვანაირად მომხდარიყო და კვარაცხელიას გოლიც შეეგდო? ეს ფეხბურთია..."

**დავით თავართქილაძე**
გორი-თბილისი



### მილოცვა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ვეტერან ფეხბურთელს, სსრ კავშირის ჩემპიონს და ორგზის პრიზიორს, თასის მფლობელს, ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანს, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს რევაზ ჩელებაძეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კობა ჟორჟიკაშვილი მსაჯის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა

# იყო თუ არა პენალტი?

**მგლები-სპარტაკი**

**2:0**

**01.10. ზუგდიდი. ცენტრალური**
**300 მაყურებელი**

1:0 ლომია (18-პენ) 2:0 გულორდავა (24)

მგლები: მამალაძე, ჭითანავა, აქუბარდია, ხუხია, გ. რეხვიაშვილი, ჯოჯუა, გუჩუა (85. დარსანია), გულორდავა (88. ჯანაშია), ლომია (74. ქუცურუა), გ. თოდუა, მიქაბერიძე.

*სათადარიგოები: ქალდანი, გოგოხია, ყიშკარიანი, ა. ბაჯელიძე*

სპარტაკი: გ. იაშვილი, ქორიძე, ხაჭაპურიძე, ი. კობახიძე, მამუკაშვილი, ლ. დათუნაშვილი (23. ქვილითაია), გოგოხია, ჯანგიძე, მ. ლონდაძე (71. ბახტურიძე), სირბილაძე, გ. ხიდაშელი (76. ოსეფაშვილი).

*სათადარიგოები: კუპრეიშვილი, ნადირაშვილი, მაისურაძე, შალამბერიძე*

გაფრთხილება: გ. იაშვილი (18), გ. იაშვილი (23), გუჩუა (45), მიქაბერიძე (51)

გაძევება: გ. იაშვილი (23)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

თავსხმა წვიმის გამო მატჩი უფერული გამოდგა. 90 წუთის განმავლობაში წყალსა და ტალახში ბრძოლა კი იყო, მაგრამ ცხადია, დიდი იყო ტექნიკური წუნიც. „მგლებმა" მოგება სტუმართა მეკარე **გიგა იაშვილის** წყალობით შეძლო. 5-წუთიანი ინტერვალით მან ორი უხეში შეცდომა დაუშვა. მე-18 წუთზე, მასპინძელთა შეტევისას, **გია თოდუა** ცხინვალელთა საჯარიმოში ფლანგიდან შეიჭრა. მცველებთან ერთად, მას მეკარე იაშვილიც აედევნა და უკნიდან ფეხი გამოსდო. არბიტრმა **გიორგი კიკაჩეიშვილმა** იაშვილს ყვითელი ბარათი უჩვენა და სტუმართა კარში 11-მეტრიანი დანიშნა. **ლომიამ** პენალტი ჩინებულად შეასრულა - 1:0.

23-ე წუთზე, საჯარიმოს ხაზის გარეთ, მეკარეს შეეძლო, ბურთი ფეხით მოეგერიებინა, მაგრამ, რატომღაც, ხელში დაიჭირა. იაშვილმა კიდევ ერთი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. ამას მოჰყვა საჯარიმო დარტყმა, რომელიც **გულორდავამ** ისე ოსტატურად შეასრულა, რომ კარში ახალჩამდგარი **ქვილითაია** არც კი განძრეულა. ზუგდიდელთა დარად, ცხინვალელებმაც რამდენიმე შეტევა განახორციელეს, მაგრამ სტუმართა იერიშებს სიმწვავე აკლდა.

თამაშის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა - ორივე გუნდი ძირითადად მოედნის ცენტრში იბრძოდა. მე-80 წუთზე შეიძლებოდა, კიდევ ერთხელ შეცვლილიყო ანგარიში, თუმცა სტუმართა საჯარიმოში შეჭრილმა **ქუცურუამ,** რომელსაც ხელს აღარავინ უშლიდა, 7-8 მეტრიდან ბურთი კარს ააცილა. შეხვედრის ბოლო წუთებზე **სირბილაძესა** და **გოგოხიასაც** თითო კარგი საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუმცა არც მათი დარტყმები იყო ზუსტი.

**მატჩის შემდეგ**

**კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი):** „მსაჯობით ძალიან უკმაყოფილო ვარ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. არბიტრმა უსამართლოდ დანიშნა პენალტი და თამაში გააფუჭა. შემდეგ კი უკვე ლოგიკურად განვითარდა მოვლენები".

**ბესიკ შეროზია (მგლები):** „მიუხედავად კობა ჟორჟიკაშვილისადმი ჩემი ულრმესი პატივისცემისა, პენალტის თაობაზე ვერ დავეთანხმები. მეკარე იაშვილმა თოდუა უკნიდან მოცელა, ასე რომ, 11-მეტრიანში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ცუდი ამინდი რომ არა, ორივე გუნდი ლამაზ ფეხბურთს ითამაშებდა და ფეხბურთელთა შესაძლებლობებიც უკეთ წარმოჩნდებოდა".

**ნუგზარ ჟვანია**
ზუგდიდიდან

საქართველოს თასი

# წილისყრა ხვალ...

3 ოქტომბერს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში წილისყრა გაიმართება. დამაინტრიგებელი პროცედურა, რომელიც საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასულ 8 გუნდს დააწყვილებს, 13 საათზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ტურნირს „ზესტაფონი", „ამერი", „დინამო", „ვიტ ჯორჯია", „სიონი", „ლოკომოტივი", „ოლიმპი" და მარტვილის „მერანი" შემორჩნენ.

**დავით ცაბაძე**

U 19. ევროპის ჩემპიონატი.
საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

# დანიით ვიწყებთ, ჩეხეთით ვამთავრებთ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს 22 ნოემბრიდან დაიწყებს. ყველაზე გვიან ჩვენი ჯგუფის თამაშები გაიმართება. **ზაურ სვანაძის** გუნდის მეტოქეები ჩეხეთი, კვიპროსი და დანია იქნებიან. ჯგუფური რაუნდის მატჩებს კი კვიპროსი უმასპინძლებს. ცხადია, დანიელები და ჩეხები ფავორიტები არიან. სავარაუდოდ, მასპინძელი კვიპროსიც არაფერს დათმობს. აშკარაა, რომ რთულ ჯგუფში ვართ და ყველა ქულას ოქროს ფასი ექნება. ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორი გამარჯვებული ავტომატურად გადის. 13 ჯგუფიდან გასულ 26 გუნდს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება. ელიტრაუნდის მატჩები გაისად გაზაფხულზე ჩატარდება, ხოლო ფინალურ ეტაპს ზაფხულში უკრაინა უმასპინძლებს.

ჩვენი ჯგუფის კალენდარი ასეთია:

**22 ნოემბერი**
**ჩეხეთი-კვიპროსი**
**საქართველო-დანია**

**24 ნოემბერი**
**ჩეხეთი-დანია**
**კვიპროსი-საქართველო**

**27 ნოემბერი**
**საქართველო-ჩეხეთი**
**დანია-კვიპროსი**

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ უჩა უგულავასთან

# სახელმწიფო პროგრამა არ შეჩერებულა!

ახალციხის „მესხეთის" პრეზიდენტმა გია მესხელმა „ლელოსთან" სენსაციური განცხადება გააკეთა - თითქოს, ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა შეჩერებულია. ამის დასტურად ახალციხის სტადიონის რეკონსტრუქციაზე შეწყვეტილი ლაპარაკი დაასახელა. მართლაც, სახელმწიფო პროგრამის განხორციელება ომის დაწყებამდეც არ დაწყებულა, როდესაც, წესითა და რიგით, 2008 წლის დასაწყისიდან მთელი ძალით უნდა ამუშავებულიყო. ინტერვიუს გამოქვეყნებამდე ინფორმაციის გადამოწმება ვერ მოვახერხეთ. კომენტარისთვის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავუკავშირდით. მან ინფორმაცია კატეგორიულად უარყო:



- საფუძველი საიმისოდ, რომ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე ხელი ჩავიქნიოთ, არ არსებობს. პროგრამა, პრემიალურ ფონდთან ერთად, ქვეყნის პრეზიდენტმა დაამტკიცა და ის ძალაშია. მალე დაიწყება სტადიონების რეაბილიტაცია. მესმის მესხელის სინანულის, უნდა, პროგრამა რაც შეიძლება მალე ამოქმედდეს, მაგრამ დამტკიცებიდან პროექტის ამოქმედებამდე გარკვეული დრო და პროცედურები იყო გასავლელი.

**- პროგრამის განხორციელებაზე ომიც არ იმოქმედებს?**

- რა თქმა უნდა, არ იმოქმედებს, რადგან საქართველოში ცხოვრება გრძელდება.

**- მაშინ რატომ არ იწყება სტადიონების მშენებლობა, თუნდაც ახალციხეში?**

- ხომ გითხარით, პროექტის განხორციელება მალე დაიწყება. შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. გეგმაში იყო ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, ქობულეთის, ახალციხის, თელავის, ბოლნისისა და ბორჯომის სტადიონების რეაბილიტაცია და ასეც მოხდება. ჩვენ რვა თანამედროვე სტადიონი გვექნება. აქვე გეტყვით, რომ ომმა მართლა შეაფერხა ჩვენი გეგმები. ვგულისხმობ უეფას მიერ დაფინანსებულ პროექტ „ჰეთ-თრიკს". ამ თანხით ბოლო თაობის ხელოვნურსაფარიანი მოედანი უნდა დაგებულიყო. რუსთავის „ოლიმპის", „ამერისა" და „ვიტ ჯორჯიის" სტადიონებზე. „ვიტ ჯორჯიასთან" შეთანხმების მიხედვით, საფრის დაგებას ჩვენ დავაფინანსებთ, თავად კი ტრიბუნებს, თანამედროვე გასახდელებსა და ოთახებს მოაწყობენ. ეს პროგრამა ნოემბრიდან ამოქმედდება.

**- დაბოლოს, კარგა ხანია, მუსირებს ხმები, თითქოს თქვენ ფედერაციიდან წასვლას აპირებთ. გულახდილად გვითხარით, მართლა გქონდათ ბიზნესში დაბრუნების სურვილი?**

- შემიძლია პირდაპირ გითხრთ, რომ ფედერაციიდან წასვლა არ გადამიწყვეტია.

**- პეტარ შეგრტზე კიდევ ერთხელ გკითხავთ - ხომ არ შეიცვალა ფედერაციამ მის მიმართ დამოკიდებულება?**

- არ შეგვიცვლია. ოქტომბრიდან ის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და იმედია, მის გათავისუფლებას მხარს დაუჭერს.

**- მესხელის თქმით, სახელმწიფო პროგრამის თავდაპირველ ვარიანტში კლუბებისთვის 500 ათასი ლარის დარიცხვა იგეგმებოდა.**

- თავდაპირველად უამრავი იდეა არსებობდა, მათ შორის კლუბების დაფინანსებაზეც იყო მსჯელობა. თუმცა 500 ათასი ლარი არსად დაფიქსირებულა. საბოლოოდ, პრემიალური ფონდის დაწესება ვამჯობინეთ. ისე კი მსურს, ყველა კლუბის გასაგონად ვთქვა, რომ ფულს ჯიბეში არავინ ჩაუდებს, თვითონაც უნდა მოძებნონ სპონსორები.

**მერაბ მამულაშვილი**

დიდი სტუმრები

# ბლატერი და პლატინი თბილისში



საქართველოში დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი: ფიფასა და უეფას პრეზიდენტები, **იოზეფ ბლატერი** და **მიშელ პლატინი** თბილისს ოქტომბრის დასაწყისში ეწვევიან. ვიზიტი ჯერ კიდევ მარტში იგეგმებოდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით უეფას პრეზიდენტის მოუცლელობის გამო ვიზიტი გადაიდო. ჩვენი ინფორმაციით, ბლატერი თბილისში აუცილებლად ჩამოვა, მაგრამ ვიზიტის ზუსტი რიცხვი ჯერ დადგენილი არ არის.

მიუხედავად ამისა, დავაზუსტეთ, რომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი 11 ოქტომბერს ეროვნულ სტადიონზე საქართველოსა და კვიპროსის ეროვნული ნაკრებების შეხვედრას დაესწრება.

რაც შეეხება პლატინის, ის თბილისს მოგვიანებით ეწვევა. ალბათ, უინტერესო არ იქნება ჩვენი მკითხველისთვის ის ფაქტი, რომ რუსები მიშელ პლატინიმ ძალიან გაანაწყენა. საქმე ისაა, რომ პლატინის დღემდე ვერ პატიობენ რუსეთ-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის მოსკოვიდან მინსკში გადატანას. ჩრდილოელებმა რამდენჯერმე მიანიშნეს, რომ ეს ნაბიჯი პლატინის პოლიტიკურ პოზიციად მიიღეს. ისინი მიიჩნევენ, რომ ამით უეფას წესდება დაირღვა. ტანკებზე ამხედრებული "მშვიდობისმოსურნე" რუსეთი ამით შეურაცხყოფილია.

შეგახსენებთ, რომ ბლატერსა და პლატინის თბილისში 2007 წლის 17 ოქტომბერს ელოდნენ, მაგრამ პლატინის უეფაში სასწრაფოდ აღმასკომის სხდომის მოწვევა და მთლიანად ამ საკითხზე გადართვა დასჭირდა.

ბლატერის ვიზიტი მეგობრულია, მაგრამ მისი თბილისური შეხვედრების დეტალების უმრავლესობა ჩვენთვის უცნობია. ფიფა პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის და ამდენად, ცხინვალიდან დევნილებთან შეხვედრასა და ჰუმანიტარულ აქციას ფიფას პრეზიდენტი მოერიდება. ბლატერი საქართველოს ხელისუფლებას შეხვდება. ვიზიტის დროს გათვალისწინებულია თუ რა საქართველოს ფეხბურთისთვის რაიმე სახის დახმარება, გრანტი ან ახალ პროექტებში ჩართვა, ჯერ უცნობია.

ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან გადავამოწმეთ, მაგრამ მან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა - ვიზიტი იგეგმება, მაგრამ სანამ ფიფას სამდივნოდან ბეჭედდარტყმული ინფორმაცია არ გვექნება, მანამდე ვიზიტის დეტალებზე საუბარი უხერხულიაო.

*„რაც შეეხება მიშელ პლატინის ვიზიტს, ის აუცილებლად გაიმართება. მთავარია, დრო შეთანხმდეს. ჩვენ და უეფას პრეზიდენტი მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. თავად მას აქვს საქართველოში ჩამოსვლის სურვილი",* - გვითხრა უგულავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი



ბურთით გია კვარაცხელია

# გოლები გრიგალავასა და ქებაძისგან

## კვარაცხელიას ჩემპიონობა გაუჭირდება

რუსეთის პირველ დივიზიონში 35-ე ტურის სამი მატჩი გაიმართა. ერთ-ერთში თავი ქართველმა ფეხბურთელმაც გამოიჩინა: პოდოლსკის „ვიტიაზმა“ შინ 2:1 დაამარცხა როსტოვის სკა. დამარცხებულთაგან 81-ე წუთზე გოლი მცველმა **გია გრიგალავამ** გაიტანა. 19 წლის ქართველმა სეზონში თავი მეორედ გამოიჩინა. პირველად მან აგვისტოში კამაზ-ს გაუტანა. გრიგალავამ „ვიტიაზთან“ 90 წუთი ითამაშა. სკა 45 ქულით მე-12 ადგილზეა, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 7 ტური დარჩა.

კვიპროსში სათასო მატჩში ახნასის „ეთნიკოსი“ სტუმრად „აია ნაპას“ დაუზავდა. 89-ე წუთზე საბოლოო წერტილი **ლევან ქებაძემ** დასვა, რომელმაც მასპინძელთა კარი თავური დარტყმით აილო - 2:2. საპასუხო მატჩი ახნასში 5 ოქტომბერს გაიმართება.

მოლდოვაში ლიდერთა დაპირისპირება შედგა - კიშინოვში „დაჩიამ“ ჩემპიონ „შერიფთან“ 0:2 წააგო. მასპინძელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ლევან კორლალიძემ**, რომლის აქტიურობამ და სახიფათო ჩაწოდებებმა შედეგი ვერ გამოიღო. „დაჩიას“ წინა ხაზს აშკარად აკლია ბომბარდირი **ჯაბა დვალი**, რომელმაც ფეხი მოიტეხა. „შერიფის“ კაპიტანი ტრადიციულად **ვაჟა თარხნიშვილი** იყო. დაჩიელი **სერგი ორბელაძე** განაცხადში არ ყოფილა. „შერიფი“ 30 ქულით პირველ ადგილზეა, „დაჩიას“ კი 26 ქულა აქვს და მესამე პოზიცია უკავია.

ბელარუსის უმაღლეს ლიგაში ჩემპიონობის უპირობო ფავორიტი ბატე-ა. ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ბორისოვის კლუბი უშუალო კონკურენტ „მტზ-რიპოს“ 3 ქულით უსწრებს. სხვაობა დიდი არ არის, მაგრამ აქ ერთი დეტალია: ბატე-ს ორი მატჩით მეტი (7) აქვს ჩასატარებელი. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის ქართველი ახალწვეული **ლაშა დეკანოსიძე**, რომელიც ჯერჯერობით დუბლებში თამაშობს, თუმცა ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

საჩემპიონო რბოლაში ჩართულმა **გივი კვარაცხელიას** „მტზ-რიპომ“ შინ ნოვოპოლოცკის „ნაფტანთან“ წაიფორხილა - 0:2. ქართველმა ლეგიონერმა შეუცვლელად ითამაშა. „მტზ-რიპოს“ მეორე ტაიმში **მიხაილ გორბაჩოვმა** და **მაქსიმ რაზუმოვმა** გაუტანეს, 79-ე წუთზე კი მასპინძლებს გოლკიპერი გაუძევეს. აღსანიშნავია, რომ ქართველ ნახევარმცველს მსაჯებმა ამ ჩემპიონატში ზედიზედ მეორე გოლი „მოჰპარეს“: მატჩის მიწურულს მისი თავური სტუმართა მცველმა აშკარად კარის ხაზის შიგნიდან გამოიტანა. „პრესბოლმა“ კვარაცხელიას 5 ქულა დაუწერა, რაც დაბალი შეფასებაა, თუმცა ამ შეფასებითაც კი ის გუნდში საუკეთესო იყო.

ისე, ჩვენი არ იყოს და, ბელარუსშიც არ სწყალობს მაყურებელი შინაურ პირველობას: მინსკში, ტიტულისთვის მებრძოლი გუნდის თამაშს სულ 200 მაყურებელი დაესწრო. ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში (1:0), „მტზ-რიპოს“ შემადგენლობაში მეორე ტაიმი ითამაშა **ირაკლი მაისურაძემ**. ბოლო წუთზე მას გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა.

მეოთხე ადგილზე 45 ქულით სოლიგორსკის „შახტიორია“. მეშახტეებმა მინსკში ადგილობრივი „ლოკომოტივი“ გაანადგურეს (4:0). ამ მატჩში ქართული დაპირისპირება არ შედგა, რადგან „ლოკომოტივში“ აღარ ჩანს მეკარე **ვლადიმერ ზუხბაია**, ხოლო „შახტიორის“ ახალწვეულ **რომან გოგინაშვილს** ჯერჯერობით დუბლებში უწევს თამაში. **დიმიტრი გერგიშვილის** „სავიტი“ ბატე-ს უნდა შეხვედროდა (ბორისოველები სამშაბათს „იუვენტუსს“ ებრძოდნენ). ეს მატჩი მოგვიანებით გაიმართება. „სავიტი“ 21 ქულით მე-14 ადგილზეა, „ლოკომოტივს“ 19 ქულა აქვს და ბოლოს წინა, მე-15 პოზიციას ამაგრებს. ჟოდინოს „ტორპედო“, სადაც ფორვარდი **გიორგი ჭედია** თამაშობს, 26 ქულით მე-11 ადგილზეა. ბელარუსის უმაღლესი ლიგიდან 4 კლუბი ვარდება. „სავიტი“ და „ლოკომოტივი“ სწორედ გავარდნის კანდიდატები არიან, „ტორპედო“ კი „უბედურების“ ზონას 3 ქულით უსწრებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გია გრიგალავა

## ზურაბ ხიზანიშვილი:

# ვესტ ჰემი დიდი ჭორი მგონია

**ზურაბ ხიზანიშვილი** „ერთ დიდ ჭორს“ უწოდებს ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს, თითქოს მისით „ვესტ ჰემი“ იყოს დაინტერესებული. ბოლო დღეებია, ყველა წამყვანი ბრიტანული გამოცემა წერს, რომ „ჩაქუჩების“ ახალმა მწვრთნელმა **ჯანფრანკო ძოლამ** საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ბლექბერნის“ მცველის გადაყვანა გადაწყვიტა. გუშინ ბოლოს და ბოლოს მოვახერხეთ ზურაბთან გასაუბრება. აი, რა გვითხრა მან:

*„ლონდონელთა დაინტერესების შესახებ მეც მხოლოდ გაზეთებითა და ტელევიზიების საშუალებით შევიტყვე. თანაც, ძოლას სიტყვებს ისე დაბეჯითებით გვაწვდიან, თითქოს დღე-დღეზე „ვესტ ჰემთან“ კონტრაქტს ვაფორმებდე. დამიჯერეთ, ასე ნამდვილად არ არის. პირადად მე არავინ დამკავშირებია და მგონია, რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი ჭორია. არც შემოთავაზება ყოფილა და არც მოლაპარაკება. თუ კლუბები ერთმანეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ამაზე ვერაფერს გეტყვით“.*

**მერაბ მამულაშვილი**



ზურაბ ხიზანიშვილი

# თუ არ დაგეზარება, ლატვიაშიც გაიზრდები

## დვალიშვილს შანსი არ მისცეს

**ლადო დვალიშვილმა ლატვიას ზამთარში მიაშურა. რუსთავის „ოლიმპის“ თავდამსხმელი რიგის „სკონტოში“ ჩაირიცხა და ძირითად შემადგენლობაშიც დამკვიდრდა. თუმცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არ იწვევენ და ამის გამო ძლიერ სწუხს კიდეც. რას იზამ, სოფელ-სოფელ და შარაგზაზე ტალანტების ძიებისას ისეც ხდება ხოლმე, რომ შუა ქუჩაში მდგომი ფეხბურთელები ავიწყდებათ...**

**ლადოს გუშინ ლატვიაში დავუკავშირდით. მას არ დაუმალავს, რომ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელისგან იგნორირებით გაოცებულია...**

**- პირადად ფიზიკური მომზადების მხრივ უკეთესობას თუ გრძნობ?**

- რა თქმა უნდა, ვგრძნობ და არა მარტო ფიზიკურ ასპექტში. „სკონტოში“ ყველანაირი პირობაა იმისთვის, რომ ფეხბურთი ითამაშო.

**- გულახდილად თქვი, ლატვიის ჩემპიონატი ფეხბურთელისთვის საინტერესო ტურნირია?**

- ნამდვილად საინტერესოა, საერთო დონითაც, მაღალი ორგანიზაციითაც, გნებავთ, კლასითა და ინტრიგით, მაყურებლის სიმრავლითა და პერსპექტივით... ფეხბურთი სხვა რაღაა?

**- ლატვიაში გადასვლის შემდეგ ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ გიწვევენ. პეტარ შეგრტისგან თავიდანვე ნეგატიურ დამოკიდებულებას გრძნობდი?**

- არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ არ მენდობოდა. გული მწყდება... თუმცა რას ვიზამ, მწვრთნელი შეგრტი იყო და მას უნდა გადაეწყვიტა, გამომიძახებდა თუ არა. ამ კაცს ჩემთვის შანსი არ მოუცია. არ ვიცი, რას მერჩოდა.

**- საინტერესოა ლატვიიდან დანახული ქართული ფეხბურთი: ჩვენი პლუსები და მინუსები...**

- ახალს ვერაფერს ვიტყვი. ქართულ ფეხბურთს ბევრად მეტი პლუსი აქვს. ჩვენი მოთამაშეები გაცილებით ნიჭიერები არიან, თუნდაც მწვრთნელები... არადა, ეს ლატვია არ იყო, თბილისში 3:1 რომ მოგვიგო? მოკლედ, საფეხბურთო მონაცემებით ვჯობივართ, მაგრამ მაინც გვიგებენ. გამოდის, რომ ჩვენთან რაღაც უნდა შეიცვალოს.

**- შენი აზრით, ლატვიურმა ფეხბურთმა ძალიან გაგვისწრო?**

- ძალიან არა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენზე წინ არიან.

**- კონკრეტულად რითი გვჯობნიან?**

- პერსპექტივით, სპონსორების დაინტერესებით, კონკურენტუნარიანი ჩემპიონატით...

**- ერთი წამით წარმოიდგინე, რომ საქართველოში გაბრუნებენ: სიხარული იქნება ეს თუ სასჯელი?**

- მიჭირს პასუხის გაცემა. ვინმე იტყვის, რომ ამ ცხოვრებაში რაიმე გამორიცხულია? შეიძლება, საქართველოში მართლა დავბრუნდე და მერე ისევ უცხოეთში წავიდე. აქ თამაში ნამდვილად არ არის სათაკილო... თუმცა ესეც ბედის ამბავია...

**- ლატვიაში უცებ ათამაშდი. რამ შეგიწყო ხელი - გუნდმა, მწვრთნელმა თუ კარგმა ატმოსფერომ?**

- აქ ყველაფერი ისეა, როგორც ნორმალურ კლუბს შეეფერება. ფაქტია, რომ ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. „სკონტოში“ არის ყველა პირობა იმისთვის, რომ ფეხბურთი ისწავლო და გაიზარდო.

**- კარგია, გუნდში მარტო რომ არ ხარ და ქართველი თანაგუნდელი გყავს. დავით გამეზარდაშვილი ადაპტაციას გაგიადვილებდა...**

- რა თქმა უნდა. დათოც გვერდით დამიდგა და ზაალ ელიავაც, რომელიც თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს. გამეზარდაშვილი საუკეთესო ფორმაშია, სტაბილურად თამაშობს და ვფიქრობ, მისით საქართველოში უნდა დაინტერესდნენ. „ბაიანო“ (გამეზარდაშვილის მეტსახელი-ავტ.) ამის ღირსია. მართლა ძალიან კარგ ფორმაშია. ამას გულით ვამბობ და არა დათოსთან მეგობრობის გამო.



**მერაბ მამულაშვილი**

ქალთა ფეხბურთი. U 19. ევროპის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

# პირველად: ერთი კი არა, სამი გავიტანეთ, მაგრამ...

**საქართველო-მაკედონია 3:4**

0:1 ათანასოვა (30-პენ.), 0:2 სტოიჩესკა (49), 1:2 სალუქვაძე (54), 1:3 ათანასოვა (71), 1:4 მილოსესკა (84), 2:4 სალუქვაძე (87), 3:4 კვალიაშვილი (90)

საქართველო: ბიჩიკაშვილი (86. ხაჩიძე), სუთიძე (78. მალიძე), კვალიაშვილი, თათუაშვილი, ციცქიშვილი, სხირტლაძე (63. დიასამიძე), ლომიძე, ქველიძე, დოლიძე, პასიკაშვილი, სალუქვაძე.

გაფრთხილება: კოსტოვა (84), ქველიძე (86)

არბიტრი: მ. პეიპესი (პორტუგალია)

საქართველოს 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა დაასრულა. **თემურ კობერიძის** გუნდმა ბელგიასა და საფრანგეთთან პირველ ორ მატჩში 28 გოლი გაუშვა და ვერც ერთი ვერ გაიტანა. ამაზე ვწერდით კიდეც - ისე მაინც დავასრულოთ ტურნირი, ქულას ვინ ჩივის, იქნებ ერთი ბურთის გატანა მაინც შევძლოთ-თქო...

დასკვნით ტურში ჩვენმა გოგონებმა ერთი კი არა, ბარე სამი ბურთიც გაიტანეს, მაგრამ მასპინძელ მაკედონიასთან მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ. რაც შეეხება გოლებს, **თამარ სალუქვაძემ** დუბლი მიითვალა, მესამე კი **თამარ კვალიაშვილმა** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებებს შესარჩევ ციკლში სამი გოლი აქამდე არ გაუტანიათ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქ, ბორისოვში...

# ...და პირველი შეძახილი: Klinsi Raus!

2001 წლის 9 აგვისტოს, თბილისის „დინამომ“ ბორისოვის ბატე-ს უეფას თასის მეორე შესარჩევ ეტაპზე შინ 2:1 მოუგო, საპასუხო მატჩში კი, ჩვენები 0:4 განადგურდნენ. მაშინ „დინამოს“ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს და სავსებით სამართლიანადაც. დღეს ის ბატე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეა და ევროპულ გრანდებს ეჭიდავება. პირველ ტურში „რეალთან“ მხოლოდ 0:2 წააგო, ახლა კი ბორისოვში „იუვენტუსთან“ 2:2 ითამაშა. და რას აკეთებს „დინამო“ დღეს? ეს ცალკე სასაუბრო თემაა. ჩვენ ამ შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგაზე ვსაუბრობთ და აბა, სად ქართული გუნდი და სად ჩემპიონთა ლიგა. იქ კი, ბორისოვში, „იუვენტუსი“ უკვე ნახეს და არ გაახარეს, „რეალსაც“ ნახავენ...

...და „ზენიტსაც“, თუმცა ეს უკანასკნელი, შეიძლება გაახარონ. „რეალმა“ „ზენიტს“ მოუგო - 2:1. მართალია, ამ მატჩში 9 გოლი არ გასულა, მაგრამ მატჩი თავისი არსით ძალიან ჰგავდა ბუნდესლიგის გასულ ტურში შემდგარ გრანდიოზულ მატჩს - „ვერდერი“-„ჰოფენჰაიმი“ 5:4 - წინ და უკან სირბილი, უამრავი საგოლე მომენტი, სწრაფი პასები, თვალსასეირო ფეხბურთი. „ზენიტს“ შეეძლო „რეალის“ გამწარება, მაგრამ ვერ მოახერხა. მიზეზი: „რეალს“ ჰყავს **ვან ნისტელროი**, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში 70 თამაშში 55 გოლი აქვს გატანილი. 2 თამაში, 2 წაგება, მაგრამ „ზენიტი“ ამ ჯგუფში ბოლო ადგილზე რომ არ გავა, ეს დღესავით ნათელია.

ტურინელები კი ალბათ ფიქრობდნენ, რომ ბელარუსში იოლი გასეირნება ელოდათ. **კლაუდიო რანიერიმ** ალბათ ამიტომაც დაასვენა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი და რომ არა **იაკუინტა**, ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებული „ბებერი ქალბატონი“ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო მარცხს იწვნევდა. იაკუინტასთა ერთად, ქების ღირსია **ჯოვინკოც**, რომელმაც ჩემპიონთა ლიგას გემო პირველად გაუსინჯა და პირველივე მატჩში ორი საგოლე პასი მიითვალა. „გავრისკოთ“ და ვთქვათ, რომ ეს ბიჭი **დელ პიეროს** შეცვლის?

„ვილიარეალისა“ და „სელტიკის“ მატჩის ანგარიშს რომ შეხედოთ, იტყვით, ოჰ, ეს ტიპური შოტლანდიელებიო - ისევ გერ გაიტანეს. მაგრამ „ოლბორგთან“ უგოლო ფრის შემდეგ, გლაზგოელებს „ვილიარეალთან“ პროგრესი დაეტყოთ. თუმცა ევროპის ჩემპიონ **მარკოს სენას** იდეალურმა ჯარიმამ შოტლანდიური გრანდი ამ მატჩში მაინც უქულოდ დატოვა.

ისევე როგორც „სელტიკის“, „მანჩესტერის“ თამაშის სტილიც ბრიტანულია, მაგრამ გაცილებით მაღალი დონის. **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდმა „ოლბორგი“ თავის ადგილზე მოსვა - 3:0. აღსანიშნავია მანკუნიანელთა 18 წლის ფეხბურთელის, **რაფაელ და სილვას** საკმაოდ კარგი დებიუტი და ბულგარელი **დიმიტარ ბერბატოვის** პირველი ორი გოლი „მანჩესტერის“ მაისურით.

**იურგენ კლინსმანი** არავის უსმენს და მაინც ისე იქცევა, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად. „ჰანოვერთან“ წაგების შემდეგ კლინსიმ ძირითადი შემადგენლობა ისევ შეცვალა და კაპიტანი **ვან ბომელი** ისევ სკამზე დატოვა. შედეგი: „ბაიერნი“ ისევ აგებდა - დემიკელისის ავტოგოლით. მაგრამ ბავარიელებმა ამჯერად ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ეს **ზე რობერტომ** გააკეთა. გაგიკვირდებათ და... თავით! მიუნხენის „ალიანს არენაზე“ კი პირველად გამოჩნდა ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი: Klinsi Raus! (კლინსი, წადი!)

„ფიორენტინასა“ და „სტიაუას“ მატჩი იყო ტიპური ფავორიტისა და აუტსაიდერის დაპირისპირება. მოლოდინისამებრ, ბუქარესტელები თავის საჯარიმოსთან იყვნენ მიჯაჭვულები და კონტრშეტევებზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, ფლორენციელები კი ამაოდ ცდილობდნენ მათ დაცვაში ხვრელების პოვნას. ამ წინადადებით, ფაქტობრივად, ყველაფერი ნათქვამია. თუმცა რუმინელებსაც ჰქონდათ რამდენიმე შანსი. მატჩის შემდეგ „ფიორენტინას“ ფეხბურთელები მსაჯზე ბრაზობდნენ. რა გასაკვირია, არბიტრი ინგლისელი რაილი გახლდათ, ინგლისელ მსაჯებზე კი, როგორც წესი, ხშირად ბრაზობენ ხოლმე.

ოთხი წლის წინ „პორტუმ“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. გუშინწინ კი, პორტუგალიელებმა „არსენალთან“ ისე ითამაშეს, რომ ასე ცუდად დებიუტანტებიც არ გამოიყურებიან ხოლმე - 4:0 „მეთოფეების“ სასარგებლოდ. სტამბულში კი კიევის „დინამო“ ჩავიდა - მატჩიც საშინელი გამოვიდა და ანგარიშიც შესაბამისი დაფიქსირდა: 0:0. ერთადერთი „გამონათება“ თურქთა მეკარე **ვოლქან დემირელის** საქციელი იყო, რაზეც ბევრს ვერ ვილაპარაკებთ. ეს, უბრალოდ უნდა ნახო...

**გოტფრიდ ლენცი**




ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

# გაოცებული ქალბატონი

### E ჯგუფი

**ოლბორგი–მანჩესტერი 0:3**

**დიმიტარ ბერბატოვმა** მანჩესტერული ანგარიში გახსნა. "იუნაიტედმა" "ოლბორგს" სამი უპასუხო გოლით მოუგო. ბულგარელი თავდამსხმელი სამი თამაშის განმავლობაში ვერ ახერხებდა თავის გამოჩენას. მიმომხილველების ერთმა ნაწილმა მისი ტრანსფერის მიზანშეწონილობაც კი დააყენა ეჭვქვეშ. მოგეხსენებათ, "მენიუმ" ბერბატოვში კლუბისათვის სარეკორდო თანხა, 30.75 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

**სერ ალექს ფერგიუსონმა** 18 წლის **რაფაელ და სილვა** ძირითად შემადგენლობაში დააყენა. **ვესლი ბრაუნი** კვლავ არ გამოჩენილა. მას "ლივერპულთან" გასვლითი მატჩის შემდეგ არ უთამაშია. ინგლისელმა მცველმა იმ შეხვედრაში ავტოგოლი გაიტანა, მაგრამ ის გოლი **ედვინ ვან დერ სარის** ბრალი იყო.

თამაში ექვსი წუთის დაწყებული იყო, როდესაც ბერბატოვმა პირველი მომენტი შექმნა. მან ახლო მანძილიდან ცარიელ კარში ვერ შეაგდო. რამდენიმე წუთის შემდეგ **ნანის** კუთხურს **ნემანია ვიდიჩი** გამოეხმაურა. მან ბურთი **რიო ფერდინანდს** დაუგდო. ამ უკანასკნელის იერიში დანიელთა მეკარე **ზაზამ** მოიგერია.

**ვილიარეალი–სელტიკი 1:0**

მატჩის ერთადერთი გოლი ესპანელთა კაპიტანმა **მარკოს სენამ** შეაგდო. "სელტიკმა" მეტოქის მოედანზე მორიგი მარცხი იწვნია. "კათოლიკებმა" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობისას სტუმრად 16 შეხვედრა გამართეს, მაგრამ 48 შესაძლებლიდან მხოლოდ ერთ ქულას გამოჰკრეს ხელი.

"სელტიკის" თავკაცმა **გორდონ სტრაჩანმა** შემტევი ტაქტიკა აირჩია, მაგრამ "ყვითელ სუბმარინებთან" ვერაფერი გააწყო. ორი ტურის შემდეგ მის გუნდს ერთი ქულა აქვს. გლაზგოელებს ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსი დარჩათ.

თამაში გახურებული არ იყო, როდესაც **ხოსება ლორენტემ** სტუმართა კარს შეუტია. მან ბურთი ხარიხას გადაავლო. მე-14 წუთზე "ვილიარეალის" ნახევარმცველი **სებასტიან ეგურენი ჯუზეპე როსის** პასს დაეუფლა. ის კარიდან ათ იარდში იდგა. ფეხბურთელს გოლის გატანა არ უნდა გასჭირვებოდა, მან კი არაზუსტად დასცხო.

ცოტა ხანში "სელტიკის" მეკარემ **არტურ ბორუცმა** როსის შეტევა მოიგერია. მოგერიებული ბურთი ლორენტეს საჯარიმოს ხაზთან მიუვიდა. მან ცია. დაინიშნა ჯარიმა. ბურთთან სენა მივიდა და საუცხოოდ ჩაახვია, 1:0.

სტრაჩანმა თავდასხმა გააძლიერა. მან **სკოტ მაკდონალდი** და **ბარი რობსონი** შემოიყვანა. 75-ე წუთზე "სელტიკმა" კინაღამ გაიტანა საპასუხო გოლი. მაკდონალდი საჯარიმოში შევიდა და მეკარისათვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა, მაგრამ ოდნავ მაღალი დარტყმა გამოუვიდა. თამაშის მიწურულს თამაშში ჩაერთო **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკიც**. დარჩენილ დროში "ვილიარეალმა" რეალური საგოლე მომენტი შექმნა. მაკმანუსმა და ბორუცმა ლორენტეს ზედიზედ ორი დარტყმა მოიგერიეს. 89-ე წუთზე ბორუცმა კიდევ ერთი ბურთი უკუაგდო. სანტი კასორლამ მას დაბალ კუთხეში დაურტყა, მაგრამ პოლონელმა გოლკიპერმა მეტოქეს მეორე გოლის გატანა არ დაანება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| სელტიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |

**21 ოქტომბერი**

მანჩესტერი-სელტიკი

ვილიარეალი-ოლბორგი




ბაიერნი-ლიონი. ზე რობერტოს თავური და 1:1

"მანჩესტერი" შეუსვენებლად უტევდა. თამაში რამდენიმე წუთით შეჩერდა - **პოლ სქოულზმა** სერიოზული ტრავმა მიიღო. მან მუხლი იტკინა და ხანგრძლივი შვებულება გამოიწერა. ყველაზე პესიმისტური პროგნოზით, ვეტერანი ნახევარმცველი ექვს თვეს ვერ ითამაშებს. პოლის ადგილი **რაიან გიგზმა** დაიკავა. ხუთ წუთში უესელმა **უეინ რუნის** საგოლე პასი მიაწოდა. შეტევა ნანიმ დაიწყო. მან ბურთი გიგზს გაუგორა. რაიანმა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი თავდამსხმელი შენიშნა. რუნი **მიკაელ ბოშამპს** გაექცა და ძლიერი დარტყმით შეაგდო.

რუნი, **რონალდო** და ბერბატოვი დანიელ მცველებს მოსვენებას არ აძლევდნენ. **სტივ ოლფერსის** თავგანწირული თამაში რომ არა, ახლო ძელთან რუნი ბერბატოვის პასს მიუსწრებდა და მეორედ აილებდა მასპინძელთა კარს. უეინის ნაცვლად, ეს საქმე ბულგარელმა ვარსკვლავმა ითავა. შესვენებიდან ათი წუთის შემდეგ ბერბატოვმა სხვაობა ორამდე გაზარდა. მან მცველების შეცდომით ისარგებლა. **ტომას აუგუსტინუსენმა** ოლფერსის უმარტივესი პასი ვერ დაიჭირა. ბურთთან ბერბატოვი აღმოჩნდა და აუღელვებლად გაიტანა.

მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე, დიმიტარმა აკრობატული ნახტომით დუბლი მიითვალა. გოლების გატანა შეეძლოთ რონალდოსა და გიგზს, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ქარს გაატანეს.

უხეიროდ დაარტყა. ლორენტემ კიდევ ერთი მომენტი გაანიავა. სენას კუთხურისას ის ბურთს მეკარის საჯარიმოში დაეუფლა, მაგრამ კვლავ ვერ შეაგდო. "სელტიკი" ალყაში იყოო, ვერ ვიტყვით, მაგრამ "ვილიარეალი" სრულ უპირატესობას ფლობდა. ესპანელთა თამაშს **რობერ პირესი** დირიჟორობდა.

შესვენებამდე სამი წუთით ადრე "სელტიკმა" მატჩის საუკეთესო მომენტი შექმნა. **გიორგიოს სამარასი** მასპინძელ მცველებს გაექცა და **მარკ ვილსონის** პასი მიიღო. მან კიდევ ერთი მცველი **დიეგო გოდინი** მოატყუა, მაგრამ სამარასის დარტყმას **დიეგო ლოპესი** გადაელობა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, "ვილიარეალის" კართან კუთხური დაინიშნა. ბურთი **შუნსუკე ნაკამურამ** მოაწოდა. **გარი კოლდველმა** თავით ის მეტოქის კარისაკენ გადაგზავნა. გზად ბურთს **სტივ მაკმანუსიც** შეეხო, მაგრამ დიეგო ლოპესი იერიშს მომზადებული დახვდა.

თამაშის დაწყებიდან ერთი საათი იყო გასული, როდესაც ესპანელებმა ისევ მეტოქის ნახევარზე დაიდეს ბინა. **სანტი კასორლამ** ბორუცის მზადყოფნა შორეული დარტყმით შეამოწმა. კასორლას მარკოს სენამაც მიბაძა. ბორუცმა მისი იერიშიც მოიგერია.

67-ე წუთზე **პოლ ჰარტლიმ** ლორენტე საჯარიმოს ხაზთან ახლოს წააქ-

### F ჯგუფი

**ბაიერნი–ლიონი 1:1**

"ბაიერნმა" "ლიონთან" მატჩის პირველი ნახევარი ნერვიულად ჩაატარა და სულელური ავტოგოლი მიიღო. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ თამაში დაალაგა და საფრანგეთის ჩემპიონებს ერთ ქულას გამორჩა. მიუნხენურმა გიგანტმა ბუნდესლიგაში ზედიზედ ორი მატჩი წააგო. **იურგენ კლინსმანს** ზედიზედ მესამე წაგებას ძნელად აპატიებდნენ.

გერმანელებს **ფრანკ რიბერი** დაუბრუნდათ. ფრანგმა ნახევარმცველმა თანამემამულეებს უთვალავი პრობლემა შეუქმნა. "ბაიერნმა" ორი მატჩის შემდეგ ოთხ ქულას მოუყარა თავი. ის ჯგუფის ლიდერია. მომდევნო ადგილებზე მყოფი "ლიონი" და "ფიორენტინა" მას ორი ქულით ჩამორჩებიან. კლინსმანი: *"საკმარისზე მეტი მომენტი გვქონდა. კარგი იქნებოდა, ერთი ნაცვლად სამი ქულა აგვეღო, თუმცა ჩემი აზრით, ამ ფრესაც არა უშავს. ჩემპიონთა ლიგაში მყარი პოზიციები გვაქვს."*

ლიონელები პირველ ნახევარში დაწინაურდნენ. 25-ე წუთზე **ჟუნინიოს** საჯარიმო დარტყმას მიუნხენელთა ცენტრალური მცველი **მარტინ დემიკელისი** გამოეხმაურა. ის ბურთი კუთხურზე გადაგდებას შეეცადა. სინამდვილეში კი საკუთარ მეკარეს თავით აუღებელი გოლი შეუგდო.

# უცხოური ფეხბურთი




ვან პერსიმ და ადებაიორმა პორტუს გადაუარეს

"ბაიერნმა" მეტოქის კართან რამდენიმე მომენტი შექმნა. ნანატრი გოლი, საბოლოოდ, 52-ე წუთზე გავიდა. **მიროსლავ კლოზემ** საჯარიმოში ჩააწოდა. **ზე რობერტო** ბურთს თავი დაჰკრა და წონასწორობა აღადგინა.

მასპინძელთა შორის ყველაზე აქტიური რიბერი იყო. ის ფორვარდებს საუცხოო პასებით ამარაგებდა, მაგრამ "ბაიერნის" შეტევის ხაზი სუსტად თამაშობდა. 1:0-ზე **ლუკა ტონიმ** ორი საუცხოო მომენტი ვერ გამოიყენა. ის ორჯერვე მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს, მაგრამ ამაოდ.

თამაშის მიწურულს, "ლიონს" გამარჯვების გოლი უნდა გაეტანა. **ფილიპ ლამმა** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. ამით **ქარიმ ბენზემამ** ისარგებლა და ბურთს დაეუფლა. ფრანგ თავდამსხმელს მიზანმა უმტყუნა და მომენტი ქარს გაატანა.

| ფიორენტინა-სტიაუა | 0:0 |
|---|---|

ეს ფრე რუმინელთა აქტივში უნდა ჩაიწეროს. "ფიორენტინამ" კი დაუგეგმავი ორი ქულა გაანიავა. თამაში უსახური გამოვიდა. ორივე გუნდი ბევრ შეცდომას უშვებდა. განსაკუთრებით ნახევარმცველები სცოდავდნენ. მეტოქეებს გააზრებული კომბინაციების გათამაშებაც კი უჭირდათ. ტერიტორიულ უპირატესობას "ფიორენტინა" ფლობდა, მაგრამ ის შედეგში არ ასახულა.

აი, რა განაცხადა ნამატჩევს "სტიაუას" თავკაცმა **მარიუშ ლეკატუშმა**: *"შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემმა გუნდმა ფლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა. სიმართლე გითხრათ, ფლორენციიდან გულდამძიმებული მივემგ ზავრები. ვწუხვარ, რომ ვერ მოვიგეთ. "სტიაუას" სამი ქულის მოპოვებაც შეეძლო."* ცნობისათვის, ლეკატუში ძველი ფიორენტინელია. ის ფლორენციულ კლუბში 1990-იანი წლების დასაწყისში თამაშობდა.

სტუმართა კარს ყველაზე მეტი საფრთხე იტალიელთა რუმინელი თავდამსხმელის, **ადრიან მუტუსაგან** დაემუქრა. მუტუ ვითარების გამწვავებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ბუქარესტელი მცველები მას საიმედოდ მეურვეობდნენ. ამის მიუხედავად, პირველი მომენტი მუტუმ შექმნა. მისი დარტყმული "სტიაუას" კარს ოდნავ ასცდა. ორიოდ წუთში კოლუმბიელ მეკარეს, **რობინსონ საპატას ალბერტო ჯილარდინომ** შეუტია. გოლკიპერმა პოზიცია ზუსტად შეარჩია და ბურთი იოლად აილო.

რუმინელებმა მეტოქეს სწრაფი კონტრშეტევით უპასუხეს. თავდამსხმელი **ანტონიო სემედო** მეკარე **სებასტიან ფრეისთან** პირისპირ გავიდა. სემედომ დაარტყა კიდეც, მაგრამ კარს სანტიმეტრებით ააცილა. მუტუმ სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო. თამაშის მიწურულს, ფლორენციელებმა ძალები მოიკრიბეს და მეტოქეს შტურმი მოუწყვეს, მაგრამ რუმინელთა დაცვას წარბიც არ შეუხრია. ნამატჩევს მუტუმ თანამემამულეები კარგი თამაშისათვის შეაქო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| სტიაუა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

**21 ოქტომბერი**

ბაიერნი-ფიორენტინა
სტიაუა-ლიონი

## G ჯგუფი

| არსენალი-პორტუ | 4:0 |
|---|---|

გასულ უქმეებზე "არსენალმა" გულშემატკივრები შოკში ჩააგდო. მოგეხსენებათ, ის შინ "ჰალ სიტისთან" დამარცხდა (1:2). შესაძლოა, იმ მატჩმა "პორტუს" იმედები ჩაუსახა, მაგრამ სტუმართა ოპტიმიზმი უსაფუძვლო აღმოჩნდა. "მეთოფეებმა" მეტოქე მიწასთან გაასწორეს.

**რობი ვან პერსიმ** ჩემპიონთა ლიგაში თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ გაიტანა. მან დუბლი შეასრულა. ორი გოლი მიითვალა **ემანუელ ადებაიორმაც**. ტოგოელი თავდამსხმელი ამით არ დაკმაყოფილდა და კიდევ ერთი საგოლე პასი მიამატა აქტივს. "არსენალს" თავდასხმაში ყურადღებით რომ ეთამაშა, სხვაობა უფრო კატასტროფული იქნებოდა. გაცუდებული მომენტების მხრივ, სხვებზე მეტად **თეო უოლკოტი** გამოირჩა.

"პორტუს" მარცხს ისტორიული საფუძველი აქვს. პორტუგალიულმა კლუბმა ინგლისში მე-11-ედ ითამაშა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოუგია. ორ ტურში მოგროვებული ოთხი ქულით "არსენალმა" პირველ ადგილზე გადაინაცვლა. სამშაბათ საღამოს ლონდონელებს კიდევ ერთი ამბით გაიხარეს: ერთთვიანი პაუზის შემდეგ გუნდს სამირ ნასრი დაუბრუნდა.

"პორტუს" მეკარე **ელტონი** რომ არა, მასპინძლები გოლს პირველსავე წუთებზე გაიტანდნენ. გოლკიპერმა უოლკოტისა და ვან პერსის იერიშები უკუაგდო. სტუმრები გულხელდაკრეფილნი არ მსხდარან. **ტომაშ კოშტამ** მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდა. **კრისტიან როდრიგესმა** ბურთს თავი დაჰკრა. ის ჯერ მიწას შეეხო, შემდეგ ხარიხას დაეძგერა და უკან გამოვარდა.

ტერიტორია "არსენალს" ეჭირა. "პორტუ" კონტრშეტევებზე თამაშობდა. "მეთოფეებს" ერთი შეცდომაც კი, შესაძლოა, ძვირად დასჯდომოდათ. ამის დასტურად **ლისანდრო ლოპესის** მომენტის გახსენება კმარა. მან ბურთი ცხრიანში გაგზავნა. **მანუელ ალმუნიას** თავგანწირული ნახტომი რომ არა, სტუმრები წინ გავიდოდნენ.

30-ე წუთზე ვან პერსიმ პირველი გოლი გაიტანა. რობინმა ორსვლიანი კომბინაცია ადებაიორთან გაითამაშა. მან ტოგოელს მარჯვენა ფლანგზე გაუგორა ბურთი. ემანუელმა თავი ასწია და საჯარიმოში შეჭრილ თანაგუნდელს გაუკეთა პასი. დანარჩენი ოსტატობის საქმე იყო.

შესვენებამდე ადებაიორმა სხვაობა ორამდე გაზარდა. მან ვან პერსის კუთხურით ისარგებლა. **ჟორჟე როლანდოზე** მაღლა ახტა და ბურთს თავი დასცხო. ბურთმა ელტონსა და კარის ხაზზე მდგომ მცველ **ნელსონ ბენიტესს** თავზე გადაუფრინა, 2:0.

მეორე ნახევარი სამი წუთის დაწყებული იყო, როდესაც "არსენალმა" მესამე გოლი გაიტანა. უოლკოტის აქტიურობის შედეგად, ბურთი ვან პერსის მიუვიდა. მან ერთი მოძრაობით ჩამოიშორა **ბრუნო ალვეში** და შეაგდო. "პორტუს" დაცვის ხაზმა იარაღა დაყარა. მეოთხე გოლი პენალტით გავიდა. სტუმრებმა ვან პერსის ნაცვლად გამოსული **ნიკლას ბენდტნერი** საკუთარ საჯარიმოში წააქციეს. 11-მეტრიანი შესრულება ადებაიორმა ითავა და მშვიდად გაიტანა.

| ფენერბაჰჩე-დინამო | 0:0 |
|---|---|

ტურის კიდევ ერთი უსახური თამაში სტამბოლში გაიმართა. ამ გუნდებს კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ, თუ ლიგის მერვედფინალში გასვლა სურთ. "ფენერის" ფლეიმეიკერმა **ალექსმა** დაუღალავად იშრომა, მაგრამ თავდამსხმელებმა მას გარჯა წყალში ჩაუყარეს. თურქი ფეხბურთელები ძალიან იოლად კარგავდნენ ბურთს. "დინამო", რომელიც უფრო მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, მეტოქის იერიშებს იოლად უმკლავდებოდა.

"ფენერისათვის" შედეგი არადამაკმაყოფილებელია. **ლუის არაგონესის** პოზიციები დღითი დღე სუსტდება. ლიგაში უსახურ ასპარეზობას თურქეთის ჩემპიონატში კატასტროფული სტარტი ემატება - შარშანდელი ლიგის მეოთხედფინალისტებს ეროვნული ჩემპიონატის ცხრილში მე-10 ადგილი უჭირავთ.

არაგონესი: *"ფენერბაჰჩემ" რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა. მეტოქეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ამიტომაც გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით. მატჩს 90 წუთის განმავლობაში ჩვენ ვაკონტროლებდით. "დინამო" კონტრშეტევებზე თამაშობდა. ახლა მთავარია, "არსენალთან" მომავალ მატჩზე ვიფიქროთ. მეტოქე აუცილებლად უნდა დავამარცხოთ."*

"ფენერი" "მეთოფეებსაც" შინ მიიღებს. ეს შეხვედრა 21 ოქტომბერს გიმართება. კიეველთა თავკაცი **იური სიომინი** შედეგით კმაყოფილი იყო: *"კარგად ვითამაშეთ და რაც მთავარია, ერთი ქულა ავიღეთ. ფენერბეჰჩე ძლიერი მეტოქეა. ჩვენმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგეს არაერთი პრობლემა შეუქმნეს და დაცვაშიც უშეცდომოდ ითამაშეს."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

**21 ოქტომბერი**

პორტუ-დინამო
ფენერბაჰჩე-არსენალი

## H ჯგუფი

| ზენიტი-რეალი | 1:2 |
|---|---|

"რეალმა" პირველსავე ტაიმში ორი გოლი შეაგდო და მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა. ჩემპიონთა ლიგაში "ზენიტის" საშინაო დებიუტი წარუმატებელი გამოვიდა. პეტერბურგელთა მცველმა **ტომაშ ჰუბოჩანმა** ავტოგოლი მიითვალა. მეორე ბურთი **რუუდ ვან ნისტელროოიმ** გაიტანა.

"ზენიტმა" ბოლომდე იბრძოლა. გუნდის უძვირესმა ფეხბურთელმა, პორტუგალიელმა **დანიმ** (ზაფხულის ტრანსფერებისას ის მოსკოვის "დინამოდან" 30 მილიონ ევროდ იყიდეს), ერთი ბურთი გაქვითა. მასპინძლებს მეტის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ მეორე ნახევარში რამდენიმე მომენტი გაანიავეს.

უეფასა და ევროპის სუპერთასის მფლობელებმა ლიგაში ზედიზედ ორი მატჩი წააგეს. ორი კვირის წინ "იუვენტუსმა" რუსებს მინიმალურად სძლია. "რეალმა" შეხვედრა აქტიურად დაიწყო. იმთავითვე ნათელი გახდა, რომ ის პეტერბურგში სამოგზაუროდ არ იმყოფებოდა. პირველი შეტევა **გონსალო იგუაინმა** მიიტანა. **ვიაჩესლავ მალაფეევმა** მისი თავური კუთხურზე გადააგდო. ერთი წუთში ბურთი "ზენიტის" კარში მოკალათდა. საბრალო ჰუბოჩანმა მარჯვენა ფლანგიდან, რაფაელ ვან დერ ვაარტის მიერ ჩაწოდებული ბურთი საკუთარი კარში გაგზავნა.

მალე მასპინძლები გონს მოეგნენ. მათ შეტევებს **ანდრეი არშავინი** გაუძღვა. რუსეთის ნაკრების ფლეიმეიქერს ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ—ჯერ **კასილიასს** დაუმიზნა. შემდეგ საგოლე პასიც არშავინმა მისცა. პორტუგალიელი ლეგიონერი მეურვეს დაუსხლტა და თავური დარტყმით გაათანაბრა.

"ზენიტი" გააქტიურდა, მაგრამ დაცვაში მორიგი შეცდომა დაუშვა და დაისაჯა. 31-ე წუთზე რუსებმა ბურთი ვერ გამოიტანეს. ის ვან ნისტელროოის მიუგორდა. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა შორ, დაბალ კუთხეში დაარტყა და "რეალი" კვლავ წინ გაიყვანა.

ჰუბოჩანი დანაშაულის გამოსყიდვას შეეცადა. ტაიმის მიწურულს მან ახლო მანძილიდან თავით დასცხო, მაგრამ მადრიდელმა მცველებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს. შესვენების შემდეგ "ზენიტი" მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. საუკეთესო მომენტი არშავინს ჰქონდა. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მან ბურთი ძელს გაარტყა.

| ბატე-იუვენტუსი | 2:2 |
|---|---|

ტურინელები დიდ სირცხვილს გადაურჩნენ. ეს პირადად **ვინჩენცო იაკუინტას** დამსახურებაა, რომელმაც ბელორუსის ჩემპიონებს პირველსავე ტაიმში ორი გოლი შეუგდო. მაგრამ მანამდე ორი გოლი გაიტანა ბატე-მაც. **სერგეი კრივეცმა** და **იგორ სტასევიჩმა** "ქალბატონი" მე-17 და 23-ე წუთებზე დაჩაგრეს.

ორი ტურის შემდეგ, "იუვენტუსი" ორი ქულით ჩამორჩება "რეალს". თუმცა სხვაობა შეიძლება უფრო დიდი ყოფილიყო. ტურინელები აცრილი გოჭებივით გადარჩნენ. **კლაუდიო რანიერი**: *"რა დაგიმალოთ და, მეტოქემ ძალიან გაგვაკვირვა. მატჩი დაიწყო და დავინახე, რომ მათი ფეხბურთელები უკლებლივ ყველა კომპონენტში გვჯაბნიდნენ. პირველი ნახევარი საათი ჩვენთვის კოშმარი იყო. სასიამოვნოა ის, რომ არ დავნებდით და ერთი ქულა მოვიპოვეთ, თუმცა კიდევ ერთხელ ქება და ქება ბელორუს ბიჭებს. ისინი ისე დარბოდნენ, თითქოს მინდორზე 22-ნი ყოფილიყვნენ და არა 11-ნი."*

ბატე მეტოქეს პირველსავე წუთიდან ეკვეთა და შეავიწროვა. კრივეცმა მოედნის ცენტრიდან გრძელი გადაცემა მიიღო. მეკარე **ალექს მანინგერთან** პირისპირ გავიდა. ის ძალიან იოლად მოატყუა და ცარიელ კარში შეაგდო. ხუთ წუთში მანინგერი კიდევ ერთხელ დაამწუხრეს. **პაველ ნედვედმა პაველ ნეხაიჩიკის** პასი ვერ ჩაჭრა. ბურთი სტასევიჩს მიუვიდა და მან თავით მეორე აილო მეტოქის კარი. ბელორუსი გულშემატკივარი თვალებს არ უჯერებდა. იაკუინტას გოლები ზემოთ ვახსენეთ. მეორე ნახევარში ორივე გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ზენიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

**21 ოქტომბერი**

ზენიტი-ბატე
იუვენტუსი-რეალი

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



ოლბორგი-მანჩესტერი. ბერბატოვის ეფექტური გოლი

ინტერვიუ დელიო როსისთან

# ბიანკოჩელესტეს მთავარი იარაღი მოტივაციაა

## უმიზნო ლაციოს დიდი მიზნები. როსი სამფორვარდიან ტაქტიკაზე გადავა?



დელიო როსი

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მთავარი აღმოჩენა „ლაციოა". რომაულმა კლუბმა ყველასთვის მოულოდნელად სეზონი შესანიშნავად დაიწყო და განვლილ ხუთ ტურში ოთხი გამარჯვება მოიპოვა. შედეგად, „ბიანკოჩელესტე" სატურნირო ცხრილის სათავეშია და გრანდებს ზემოდან დაჰყურებს. მაგრამ საქმე მხოლოდ სატურნირო მდგომარეობაში არაა, მთავარი - გუნდის თამაშის მაღალი ხარისხია. ამ წარმატების უპირველესი შემოქმედი „ლაციოს" მწვრთნელი დელიო როსია, რომელთან ინტერვიუ, ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს...

**- „ლაციოს" თამაშით ყველა გაკვირვებულია, არავინ ელოდა ასეთ „ბიანკოჩელესტეს"......**

- დიახ, მართლაც ასეა და სიმართლე გითხრათ, ამ გაკვირვების მესმის კიდეც. გავიხსენოთ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდი. „მილანმა" შევჩენკო და რონალდინიო გადაიბირა, „ინტერში" მოურინიომ მანსინი და კვარეშმა მიიყვანა, „რომაში" ბაპტიშტა და რიისე მივიდნენ... სხვა გუნდებიც გაძლიერდნენ, თუნდაც „ჯენოა" ავიღოთ - მილიტოსა და მოტას კლასის ფეხბურთელების აყვანა იოლი საქმე ნამდვილად არაა. ამ დროს კი „ლაციო", ფაქტობრივად, არ გაძლიერებულა, ყველასთვის უცნობ მაურო სარატეს თუ არ ჩავთვლით.

**- სარატეზე კიდევ ვისაუბრებთ. თქვენ თუ ელოდით ასეთ სტარტს?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. ჩემი მიზანი იყო, გუნდი ჩემპიონატის სტარტისთვის კარგად მომემზადებინა და ეს შევძელი კიდეც. „ლაციომ" ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვა და არა მგონია, რომელიმე მათგანი დიდ სენსაციას წარმოადგენდეს. ჩვენ დაგეგმილი ქულები ავიღეთ და ეს ძალიან მახარებს.

**- კი, მაგრამ შარშან დაგეგმილ ქულებს ვერ იღებდით. სად ძევს გუნდის წარმატების საიდუმლო?**

- ერთ რამეს მივხვდი: გუნდისთვის უმთავრესი მოტივაციაა. სეზონის წინ ფეხბურთელების მოტივირებისთვის იდეალური მდგომარეობა შეიქმნა. სხვა გუნდების გაძლიერების ფონზე არნახული სურვილი გაგვიჩნდა, ყველა გაგვეოცებინა და სერია A-ში ჩვენი ხმამაღალი სიტყვა გვეთქვა. საბედნიეროდ, ასეც ხდება, ჯერჯერობით...

**- და რამდენ ხანს შეიძლება ეს გაგრძელდეს? აქვს კი „ლაციალეს" მთელი სეზონის განმავლობაში მაღალ დონეზე თამაშისთვის საკმარისი რეზერვი?**

- ჩემს განკარგულებაში არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელია და ვფიქრობ, რესურსი არის. რომელიმე ფეხბურთელზე ცალკე საუბრის სურვილი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ არ შემიძლია, ხაზი არ გავუსვა შეტევის ხაზის სიმძლავრეს. შემთხვევითი არ არის, რომ ჩემპიონატის სტარტზე სხვა გუნდებზე ბევრად მეტი გოლი გავიტანეთ. გორან პანდევი და ტომაზო როკი უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან, ეს ყველამ იცის და მათ ამის დამტკიცება არ სჭირდებათ. გვყავს ასევე მაკინვა. სარატე კი ცალკე თემაა.

**- დეტალურად დაგვიხასიათეთ მაურო სარატე...**

- სელექციონერებმა შესანიშნავად იმუშავეს, რის შედეგადაც დღეს „ლაციოს", ჩემი აზრით, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი ჰყავს. სარატე ძალიან ტექნიკური და სწრაფია, აქვს გოლის ალღო და ზუსტი დარტყმა. სერია A-ში ასე სწრაფად ადაპტირება გაცილებით გამოცდილ ფეხბურთელებსაც კი უჭირთ და ამ ფონზე მაუროს ასეთი თამაში კიდევ უფრო დასაფასებელია.

**- რისთვის იბრძოლებს ამ სეზონში „ლაციო"?**

- სეზონის წინ კონკრეტული მიზანი არ დაგვისახავს. ასეთ კონკურენციაში მაინცდამაინც ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. მეორე მხრივ, უეფას თასის საგზურის მოპოვება არ არის ის სიმაღლე, რომლის დაპყრობაც მოტივაციად გამოდგება. ჩვენც გადავწყვიტეთ, მიზნად რაც შეიძლება უკეთ თამაში დაგვესახა და თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალური შედეგისთვის გვებრძოლა. ჯერჯერობით, ამგვარი სტრატეგია ამართლებს და დანარჩენს უკვე დრო გვიჩვენებს.

**- თქვენს წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ მხოლოდ სერია A-ზე ხართ კონცენტრირებულნი...**

- შეიძლება, ასეც ითქვას. კვირაში ერთ, კონკრეტულ თამაშზე მობილიზება იდეალური ვარიანტია. ასეთ დროს, ფეხბურთელებს არც გადაღლილობის პრობლემა აქვთ და, შესაბამისად, უფრო დიდი ენთუზიაზმითაც თამაშობენ. შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაში თამაში მათთვის დიდი სტიმულია, მაგრამ როცა სეზონში 60-ზე მეტი შეხვედრის გამართვა გიწევს, აღარც ლიგა გინდა და აღარც ფეხბურთი. ჩემი აზრით, ფიფამ და უეფამ კალენდრის შემსუბუქებაზე უნდა იფიქრონ.

**- როგორი იქნება ამ სეზონში სერია A? რომელი გუნდები იბრძოლებენ სკუდეტოსთვის?**

- ვფიქრობ, ორი გამოკვეთილი ფავორიტია - „ინტერი" და „მილანი". ამ გუნდებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლონ. „ინტერის" უპირატესობა აწყობილ მექანიზმშია. მართალია, მოურინიო ამ ზაფხულს მივიდა გუნდში, მაგრამ „ნერაძურის" თავისი ხელი უკვე დაატყო და ჩავარდნა თავიდან აიცილა. მეორე მხრივ, თავისი უპირატესობა „როსონერისაც" აქვს - ანჩელოტის გუნდი ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს და ეს მართლაც დიდი პლუსია. თუ „მილანის" ვარსკვლავები დროულად შევლენ ოპტიმალურ ფორმაში, მათი გაჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება.

**- „რომასა" და „იუვენტუსზე" რას იტყვით?**

- სკუდეტოსთვის ბრძოლა ორივეს ძალიან გაუჭირდება და ამას ობიექტური მიზეზები აქვს. „ბებერი ქალბატონი" ორ ფრონტზე სათამაშოდ მზად არაა და ეს სერია A-ზეც დიდ გავლენას იქონიებს. ვფიქრობ, „იუვე" ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრისთვის იბრძოლებს. რაც შეეხება „ჯალოროსის", სპალეტის გუნდს თითქოს მოტივაცია არ ჰყოფნის, ხელახლა შეუყვეს აღმართს და კვლავ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. ამისთვის შემადგენლობის მკვეთრად გაძლიერება იყო საჭირო, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს.

**- ბევრს მიაჩნია, რომ სერია A ძველ დიდებას იბრუნებს. თქვენ რას იტყვით?**

- სერია A-ში გუნდების საერთო დონე გათანაბრებისკენ მიდის და ეს არა გრანდების დასუსტების, არამედ პატარა კლუბების გაძლიერების ხარჯზე ხდება. ეს ყველაფერი მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ ჩვენი ჩემპიონატი მართლაც ბრუნდება ძველ სიმაღლეზე. კრიზისის დროს ტრადიციული გუნდები ქვედა ლიგებში დაქვეითდნენ და ამან დალი დაასვა პირველობას, დღეს კი საპირისპირო მდგომარეობაა. თითოეული თამაშის მოგება ურთულესი საქმეა, რადგან ძლიერ გუნდებთან გიწევს დაპირისპირება. მერწმუნეთ, საკუთარ კედლებში „იუვენტუსთან" მირჩევნია დაპირისპირება, ვიდრე გასვლაზე „ნაპოლისთან", „უდინეზესთან", „პალერმოსთან" ან „სამპდორიასთან" თამაში - სწორედ ამ გუნდების გაძლიერების ხარჯზე პროგრესირებს იტალიის ჩემპიონატი.

**- „ლაციოს" დავუბრუნდეთ. რამდენ ხანს აპირებთ გუნდში დარჩენას და რა არის თქვენი მიზანი?**

- გუნდში იმდენ ხანს დავრჩები, რამდენიც საჭირო იქნება. „ლაციოში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მოტივაციის ნაკლებობასაც არ ვუჩივი. ჩვენმა გუნდმა უდიდესი ფინანსური კრიზისი გადაიტანა და დღეს ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხზე დგება. პრეზიდენტ ლოტიტოს თავისი გეგმა აქვს და მიხარია, რომ ამ გეგმაში ჩემი ადგილიცაა. გუნდს ეტაპობრივად გავაძლიერებთ და სხვა სიმაღლეზე ავიყვანთ. გარწმუნებთ, ახლო მომავალში აღარავის გაუკვირდება „ლაციალეს" გამარჯვებები.

**- დაბოლოს, ტაქტიკაზე გკითხავთ. დღეს ბევრი 4-3-3-ს ანიჭებს უპირატესობას. მალე როკი გამოჯანმრთელდება. ხომ არ ფიქრობთ, პანდევთან და სარატესთან ერთად ტომაზო სასტარტოში გაამწესოთ?**

- შესაძლებელია. ამ ვარიანტს ნამდვილად განვიხილავ. ალბათ, ამ ფორმაციით „ლაციოს" მეტწილად საშინაო შეხვედრებში იხილავთ. გასვლაზე სამი ფორვარდით თამაში გაუმართლებლად მიმაჩნია... თუმცა ვნახოთ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იმუშავებს ესა თუ ის სქემა.



ჯოვინკო ბატე-სთან მატჩში

ახალი ვარსკვლავი

# ჯოვინკომ იტალია აალაპარაკა

„იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში „ზენიტს" მოუგო და გულშემატკივარი ერთობ გაახარა. სამშაბათს კი **კლაუდიო რანიერის** გუნდს უკვე გასვლითი მატჩი ჰქონდა: „ბებერი ქალბატონი" ბორისოვის ბატე-ს ესტუმრა და ყველასთვის მოულოდნელად, მხოლოდ ქულას დასჯერდა - 2:2. ბელარუსებმა შოკისმომგვრელად დაიწყეს შეხვედრა და **ალექს მანინგერს** ორი გოლი გაუტანეს. ტურინელებმა ანგარიში პირველსავე ნახევარში გაათანაბრეს და ამაში ლომის წილი ახალგაზრდა ფეხბურთელმა **სებასტიან ჯოვინკომ** დაიდო.

იტალიელი ჟურნალისტების აზრით, „აძურინის" შემტევი ნახევარმცველი საუკეთესო იყო მოედანზე და ის, რომ „იუვე" სირცხვილს გადაურჩა, სწორედ მისი დამსახურებაა. არავინ უკარგავს ლვანლს დუბლის ავტორ **ვინჩენცო იაკვინტას,** თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მაინც ჯოვინკოს დიდებულმა საგოლე გადაცემებმა მიიქცია. შესაძლოა, სწორედ ასეთი ტიპის ფეხბურთელი აკლდა „იუვეს" - შემქმნელი ნახევარმცველი, რომელიც მოედნის უზადო ხედვით გამოირჩევა და კარშიც ჩინებულად ურტყამს.

ბელარუსული მატჩის შემდეგ იტალიურ პრესაში ჯოვინკოს კომენტარი გამოქვეყნდა. აი, რას ამბობს ახალგაზრდა ვარსკვლავი:

„სასტარტოში რომ ვიქნებოდი, წინადღეს გავიგე და ძალიან გამიხარდა. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ კლაუდიო რანიერი მენდობა და ვეცდები, მისი იმედები ბოლომდე გავამართლო. რაც შეეხება ბატე-სთან მატჩს, რთული პაექრობა იყო. სამწუხაროდ, მხოლოდ ქულა ავიღეთ. ეს მესამე მატჩია ზედიზედ, როცა სრული უპირატესობის მიუხედავად, ფრეს ვჯერდებით. არ ვიცი, ეს რისი ბრალია... შესაძლოა, ფორტუნა გვღალატობს ან პრობლემა უშუალოდ ჩვენშია... მაგრამ მომავლის იმედს ერთი წუთითაც არ ვკარგავთ. დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. მეორე თამაშია, რაც „იუვეს" ძირითადში ვხვდები და თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. ჯერჯერობით, შეთამაშების მხრივ გარკვეულ სირთულეებს ვაწყდები, მაგრამ თუ ძირითადში რეგულარულად მოვხვდები, ამ პრობლემასაც მალე დავძლევ. არც კი მჯერა, რომ ალესანდრო დელ პიეროს მხარდამხარ მიწევს თამაში, თანაც ჩემპიონთა ლიგაში. ეს ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, რომლის ახდენის იმედი არასდროს მქონია... სანამ გუნდში დელ პიეროა, მანამდე „იუვეს" ლიდერობაზე ამბიცია, უბრალოდ, ვერ მექნება".

ჯოვინკოს თამაშს „იუვენტუსის" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილიც** გამოეხმაურა: „სებასტიანმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და წესით, მომავალშიც სასტარტოში უნდა იასპარეზოს. ის, რომ არ დავმარცხდით, დიდწილად მისი დამსახურებაა. რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ურთულესი ბრძოლა გადავიტანეთ. გაკვირვებული ვარ ბატე-ს თამაშით, ბელარუსებმა სწრაფი და აგრესიული ფეხბურთი შემოგვთავაზეს. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა. საოცარია, მაგრამ მასპინძლებს ტემპში ვერ ავყევით. ვულოცავ მეტოქეს ამ ქულას და წარმატებებს ვუსურვებ. აქვე, ჯგუფში შექმნილ ვითარებასაც შევეხები. „რეალს" უკვე 6 ქულა აქვს და ეს ძალზე არასასიამოვნოა. ჩვენი მიზანი პირველი ადგილის დაკავებაა და ესპანელთა დაწინაურება ნამდვილად არ გვაძლევდა ხელს. თუმცა წინ ორი სუპერმატჩი გველის და ვიმედოვნებ, ვითარებას საჩვენოდ შემოვატრიალებთ".

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

ინტერვიუ კრისტოფ მეტცელდერთან

# ვინც ფიქრობს, რომ ჩამოწერილი ვარ, ძალიან ცდება!

## მეტცე რეალში გადასვლას არ ნანობს და არც დანებებას აპირებს

იყო დრო, როდესაც კრისტოფ მეტცელდერი არა მარტო გერმანული, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნეოდა. დღესდღეობით მეტცე ძალიან ცოტას თუ ახსოვს, თითქოს ყველამ ჩამოწერა. ყოველ შემთხვევაში, მადრიდის „რეალში“ სათადარიგოთა სკამზე ზის და გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც აღარ ათამაშებენ. კვირას, „ბილდ ამ ზონთაგში“ მეტცელდერის ინტერვიუ გამოქვეყნდა.



**- ჰერ მეტცელდერ, მზად ხართ დაკითხვისთვის?**

- რა თქმა უნდა.

**- მაშინ, პირველივე კითხვა ასეთი გვექნება: ბოლოს და ბოლოს, როდის ჩადგებით ფორმაში, როდის დაუბრუნდებით მოედანს? ოდესმე ვიხილავთ იმ ძველ მეტცელდერს?**

- აუცილებლად იხილავთ! დავბრუნდები და ამაში ეჭვი არავის შეეპაროს. მართალია, ბოლო დროს „რეალში“ იშვიათად მათამაშებენ, მაგრამ დამერწმუნეთ, სწორ გზას ვადგავარ. თებერვალში გაკეთებულ ოპერაციას უკვალოდ არ ჩაუვლია. ახლა უკეთ ვგრძნობ თავს და ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ.

**- კარგ სპორტულ ფორმაში ხართ?**

- დიახ. ერთადერთი, რაც მაკლია, სათამაშო პრაქტიკაა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც „რეალში“, ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშიც აუცილებლად ვითამაშებ.

**- იქნებ, „რეალი“ ის გუნდია, რომელშიც თქვენ არაფერი გესაქმებათ?**

- არავითარ შემთხვევაში. როცა მადრიდში წამოსვლა გადავწყვიტე, ძალიან კარგად მესმოდა, რომ „სამეფო გუნდის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გამიჭირდებოდა. „რეალში“ 20 ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებიც სხვადასხვა ნაკრების ღირსებას იცავენ, ეს მართლა სამეფო გუნდია, შესანიშნავი შემადგენლობით და შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ზოგიერთ მოთამაშეს ხშირად ტრიბუნაზე ჯდომა უწევს. თუკი ახლა მე ვზივარ ტრიბუნაზე, დიდი შანსია, რომ იმავემ მალე ფაბიო კანავაროს მოუწიოს. სხვათა შორის, სანამ ტრავმას მივიღებდი, ანუ, გასული წლის ნოემბრის ბოლომდე, ესპანეთის ჩემპიონატის 10 მატჩიდან 7-ში ვითამაშე და სამში სათადარიგო ვიყავი. ხოლო ჩემპიონთა ლიგის ხუთი მატჩიდან კი სამში მივიღე მონაწილეობა. რატომღაც, ეს ყველას ავიწყდება ხოლმე. ახლა კი ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ფორმაში შევიდე და ამ სეზონში მინიმუმ 30-35 მატჩში მივიღო მონაწილეობა.

**- ძალიან კარგი, მაგრამ მოდით, გულზე ხელი დაიდეთ და ისე გვიპასუხეთ: ხომ არ შეცდით, როცა მადრიდში გადასვლას დათანხმდით?**

- რა თქმა უნდა, არ შევმცდარვარ. ცხადია, უფრო მარტივი იქნებოდა ის, რომ ბუნდესლიგაში დავრჩენილიყავი, მაგალითად, დორტმუნდის „ბორუსიაში“. მაგრამ მიმაჩნია, რომ „რეალში“ გადასვლით 100 პროცენტით სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მადრიდი ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა და მე ძალიან მიყვარს გამოწვევები. სამწუხაროდ, გერმანიაში ბევრს არ ესმის ჩემი. მხოლოდ იმას აქცევენ ყურადღებას, რომ სათამაშო პრაქტიკა არ მაქვს. მეტცელდერი არ თამაშობს, ესე იგი, არ ვარგა და იმედები ვერ გაამართლაო. სამწუხაროდ, ასეთებმა არ იციან, რა მდგომარეობაა ზოგადად „რეალში“. ეს არის გუნდი, სადაც ძირითად შემადგენლობაში თამაში მხოლოდ თითოოროლა ფეხბურთელს აქვს განაღდებული.

**- როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ ხართ გერმანიის ნაკრების წევრი?**

- რა თქმა უნდა, ვარ! თუკი ვინმე ფიქრობს, რომ მე ბუნდესგუნდისთვის უკვე ჩამოწერილი ვარ, უდიდეს შეცდომას უშვებს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ჩემს შესაძლებლობებს ვერ აფასებენ. ხშირად მსმენია, მეტცელდერს მონდომება და მოტივაცია აკლია ხოლმეო. ეს კი უდიდესი სიცრუეა! საერთოდ, თვითკრიტიკული ადამიანი ვარ და საკუთარ ნაკლოვანებებს ჩინებულად ვხედავ. არაერთხელ დამიმტკიცებია, რაც შემიძლია და ამას კიდევ ბევრჯერ დავამტკიცებ.

**- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, არც ბელგიასთან, არც ლიხტენშტაინთან და არც ფინეთთან ერთი წუთიც კი არ გითამაშიათ...**

- სიმართლე გითხრათ, ვერაფრით გავიგე, რატომ არ მათამაშეს თქვენ მიერ ჩამოთვლილთაგან არც ერთ შეხვედრაში. იმედგაცრუებული და განაწყენებულიც კი ვიყავი იმის გამო, რომ იოახიმ ლიოვმა მოედანზე გასვლის უფლება არ მომცა. თუმცა ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და მან დამარწმუნა, რომ ჩემი როლი გერმანიის ნაკრებისთვის არ შეცვლილა. იოგი სამომავლოდ ალტერნატივებს ეძებს და მიმაჩნია, რომ ეს ნორმალური მოვლენაა.

**- გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრმა ევრო 2008-ზე ძალიან ცუდად, მეტიც, ამაზრზენად ითამაშა. და ვინ თამაშობდა დაცვის ცენტრში - პერ მერტეზაკერი და თქვენ, ჰერ მეტცელდერ...**

- ყურადღება მიაქციეთ: ჩვენ ამ დაცვით ფინალში გავედით! ჩემი და მერტეზაკერის უპირატესობა ისაა, რომ ერთმანეთს კარგად ვუგებთ და ერთად თამაშის დიდი გამოცდილება გვაქვს.

**- ტრავმა გადაიტანეთ, ახლა არ გათამაშებენ, რის გამოც სტრესში ხართ - ეს ყველაფერი თქვენთვის, უბრალოდ, ძალიან ბევრი ხომ არ არის?**

- ერთი რამ ნათელია: ახლა მე სხვებზე მეტად უნდა დავიტვირთო და ვიმუშაო. მაგრამ სტრესის გადატანა ნამდვილად შემიძლია. სხვათა შორის, იოგი ლიოვს შევუთანხმდი, რომ უმჯობესი იქნება, უახლოეს 1-2 შეხვედრაში საერთოდ არ გამომიძახოს.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ მადრიდში მშვიდად ვივარჯიშო და ეს დრო ფორმის აღსადგენად გამოვიყენო. ამას გარდა, გამოუძახებლობით წნეხიც მომეხსნება. აღარავინ დამაყრის უამრავ უსიამოვნო კითხვას და ა.შ. როცა გერმანიის ნაკრებში ვარ, უნდა ვთამაშობდე!

**- ანუ, რუსეთთან და უელსთან მატჩებისთვის გამოძახებული არ იქნებით?**

- არა. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუ მშვიდად ვივარჯიშებ.

**- და იმედი გაქვთ, რომ 2010 წლის მუნდიალისთვის ისევ ძირითადი შემადგენლობის განუყოფელი ნაწილი იქნებით?**

- არა მგონია, რომ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებისთვის ბრძოლა 2010 წლამდე გამჭირდეს. ეს გაცილებით ადრე უნდა მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, რომ 2010 წლის მუნდიალზე ვითამაშებ.

**- თუ გინატრიათ ოდესმე რომელიმე სხვა ფეხბურთელის ადგილზე ყოფნა?**

- საინტერესო კითხვაა. ჩემი ბიოგრაფია ძალიან მაკმაყოფილებს. მქონდა სერიოზული წარმატებებიც და წარუმატებლობებიც. თავს არასდროს ვზოგავდი და გამოცდილებაც მივიღე. 2003 წლის შემდეგ, საერთო ჯამში, 21 თვის განმავლობაში ტრავმირებული ვიყავი. მიუხედავად ამისა, მაინც დავბრუნდი. ისე, ბავშვობაში მამაჩემი მეუბნებოდა, უმჯობესია, ტანმოვარჯიშე გახდე, ვიდრე ფეხბურთელიო. მეუბნებოდა, შინაგანად ფეხბურთელის არაფერი გცხიაო...

**- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კარიერას შედარებით ადრე დაასრულებთ?**

- მოდით, ასე ვიტყვი: მე უკვე ვიცი ის თარიღი, როცა სავარაუდოდ ფეხბურთს შევეშვები. ფაქტია, რომ 38 წლამდე ვერ და არ ვითამაშებ...

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი წერტილი

## ვნებათაღელვა პოლონეთის გამო

### უკონტროლო ავტონომია და უკონტროლო თავგასულობა

პოლონურ ფეხბურთში ქაოსია. მოგეხსენებათ, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას უფლებამოსილება შეუწყვიტა და დროებითი ადმინისტრაცია დაუნიშნა, ვითომდაც კორუფციული სკანდალის გამო, რომელშიც **მიხალ ლისტკევიჩის** (ყოფილი მსაჯი, ახლა კი პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის არჩეული პრეზიდენტი) საფეხბურთო ხელისუფლება ყოფილა გარეული. ნაცნობი სურათია. 11 წლის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობას სპორტის დეპარტამენტმა შეუჩერა უფლებამოსილება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კორუფციაში პირდაპირი დადანაშაულება არ ყოფილა. ლაპარაკი იყო არაკომპენტენტურობაზე, სამამულო ფეხბურთის დაღუპვაზე და ასე შემდეგ.

ამას ფიფასა და უეფასგან მყისიერი რეაქცია მოჰყვა. საქართველოს დისკვალიფიკაციით დაემუქრნენ. საქმეში მთლად ქვეყნის ხელისუფლება ჩაერია და ვითარება განიმუხტა. მერე იყო 2007 წლის 13 მაისის სირცხვილი, რომელმაც ციურიხამდე არ (ან ვერ) ჩააღწია...

გუშინ ფიფამ და უეფამ პოლონურ მოვლენებთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელეს. მოდი, ჯერ ამ განცხადებას გავეცნოთ და დანარჩენი მერე ვთქვათ:

**„უეფასა და ფიფას მიაწოდეს ინფორმაცია იმ ცვლილებებზე, რომელიც 29 სექტემბერს პოლონურ ფეხბურთში მოხდა და რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაზე. ამასთან დაკავშირებით, უნდა განვაცხადოთ შემდეგი:**

**1. ფიფა და უეფა არ ცნობენ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც ფეხბურთის ფედერაციის „ადმინისტრატორის“ დანიშვნას;**

**2. ფიფა და უეფა აგრძელებენ ურთიერთობას პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელ, არჩეულ ხელმძღვანელობასთან, რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტი მიხალ ლისტკევიჩი, როგორც პოლონურ ფეხბურთში არსებულ ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოსთან;**

**3. შესაბამისად, ნებისმიერი წერილი, კორესპონდენცია ან ცნობა, რომელიც არ იქნება ხელმოწერილი ლეგიტიმური ხელმძღვანელობის მიერ, რომელსაც ცნობს ფიფა და უეფა და მასზე იქნება რობერტ ზავლოცკის (ოლიმპიური კომიტეტის მიერ დანიშნული ადმინისტრატორი - რედ) ხელმოწერა, ჩაითვლება არაძალამოსილად;**

**4. ფიფა და უეფა დაუკავშირდებიან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რათა გაარკვიონ პოლონურ ფეხბურთში არსებული სიტუაცია და გამოავლინონ ოლიმპიური და ზოგადად სპორტული მოძრაობის პრინციპების დარღვევა, რაც ეხება სპორტული ფედერაციების ავტონომიურობას.**

განცხადებას ხელს აწერენ ფიფას და უეფას პრეზიდენტები. ისინი დაიწყებენ ერთობლივ კონსულტაციებს, რათა გადაწყვიტონ სასჯელის საკითხი, იმ სასჯელის, რომელსაც პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციასა და საერთოდ, იქაურ ფეხბურთს დააკისრებენ. ფიფა სიტუაციას ალმასკომის უახლოეს სხდომაზე, 23-24 ოქტომბერს ციურიხში განიხილავს. იმ დღეებში გაიმართება უეფას საგანგებო სიტუაციათა სამუშაო ჯგუფის შეკრებაც, რომელზეც მთავარი საკითხი სწორედ პოლონურ ფეხბურთში არსებული ვითარება იქნება.

მოკლედ, გასაგებია: ფიფამ და უეფამ მუნდირის ღირსება დაიცვეს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ისმის კითხვა, რომელზეც არც ერთ ამ პატივცემულ ორგანიზაციას პასუხი ჯერ არ გაუცია. დიახ, ეროვნული ფედერაცია ავტონომიური სუბიექტია და მის საქმეში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. მაგრამ საინტერესოა, სად გადის ჩაურევლობის ზღვარი? დავუშვათ და, ამა თუ იმ ფედერაციაში მართლაც კორუფციაა გამეფებული ან სხვა საძაგლობა ხდება, რაც კანონით დასჯადია. ვინ უნდა აგებინოს პასუხი და ვისი კანონმდებლობით უნდა დაისაჯოს ავტონომიური ფედერაცია? შესაბამისად, ჩნდება საშიშროება, რომ ეს უკონტროლო ავტონომია უკონტროლო თავგასულობაში გადაიზარდოს. ეს ისე, განსჯისთვის.

ბარსელონა

# თუ გვარდიოლა ანრის გასაყიდად გაიმეტებს, ძალიან მწარედ ინანებს

### ფრანგ მცველს მისი მომზადების დონე არ აკმაყოფილებს



**ერიკ აბიდალმა** უცნაური პრესკონფერენცია გამართა. "ბარსელონის" მცველმა თითქმის მთელი დრო თვითკრიტიკას დაუთმო და ჟურნალისტებს იმაზე ელაპარაკა, თუ რამდენად ცუდ ფორმაშია და როგორ ვერ ახერხებს შესაძლებლობების გამომჟღავნებას. არადა, ეს პრესკონფერენცია "შახტართან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ გაიმართა, კორესპონდენტები სულ სხვა თემაზე საუბარს ელოდებოდნენ. აბიდალმა მათ მოლოდინი გაუცრუა და განუცხადა: *"საკუთარ თავზე მეშლება ნერვები. სასურველ კონდიციებს ვერა და ვერ მივაღწიე. არადა, ზარმაცი არასოდეს ვყოფილვარ. გარწმუნებთ, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, რომ ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილო, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებ. ამ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მიზეზი უნდა დადგინდეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მიზეზს ვერა და ვერ ვხვდები. ერთი შეხედვით, მართლა ძალიან ბევრს ვვარჯიშობ, თუმცა კმაყოფილი მაინც არ ვარ."*

აბიდალის თვითკრიტიკით მოხიბლულმა ჟურნალისტებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ფრანგი მცველი საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკეს. ყველაზე რადიკალური "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი **მანოლო მარკესი** აღმოჩნდა. რესპონდენტს მან მკვახედ უთხრა, აბსოლუტურად გეთანხმებით, ძალიან არასაიმედოდ თამაშობთ და მიკვირს, ძირითად შემადგენლობაში როცა გაყენებენ. ხომ არ სჯობია, ასეთ შემთხვევებში **პეპ გვარდიოლას** გულწრფელად უთხრათ, მზად არ ვარ და ჩემ ნაცვლად სხვა დააყენეთო. ერიკი ჟურნალისტის კითხვამ ძალიან გააღიზიანა და მას ასეთი პასუხი გასცა: *"მე თქვენზე კარგად ვიცი, რომ პრობლემები მაქვს, მაგრამ რაც ახლა თქვით, დილეტანტიზმია და სხვა არაფერი. თუ არ ვითამაშებ, ფორმას ვერასოდეს ავიდგენ. დიდი ბოდიში, მაგრამ თვითმკვლელი არ ვარ. როცა ვამბობ, რომ ჩემი მზადყოფნით უკმაყოფილო ვარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვინმემ უნდა ჩამომწეროს. უბრალოდ, მე გაცილებით მეტის უნარი შემწევს და გული მტკივა, რომ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ვამჟღავნებ. ახლა ერთადერთი გზა მაქვს, კიდევ უფრო მეტი უნდა ვივარჯიშო."*

აბიდალის მიერ გაკრიტიკებულ ჟურნალისტს "დიარიო მარკადან" კოლეგა გამოესარჩლა და "ბარსელონის" მცველს მისი შარშანდელი განცხადება შეახსენა: *"თუ გახსოვთ, გასულ სეზონში თქვით, "ბარსა" ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას არ უთმობს, საფრანგეთში ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი სიტუაციაა. ახლა ყველა ვხედავთ, რომ გვარდიოლა რაიკაარდზე გაცილებით დიდი დატვირთვით გავარჯიშებთ. თქვენ კი აცხადებთ, რომ ფორმაში ვერა და ვერ ჩადექით. უკაცრავად, მაგრამ საკუთარ თავს ხომ არ ეწინააღმდეგებით?"*

აბიდალი მორიგმა კითხვამაც გააღიზიანა: *"არა ბატონო, ჩემს თავს არ ვეწინააღმდეგები. მე მგონი, თავად უშვებთ შეცდომას. დიახ, ახლაც გავიმეორებ, რომ გასულ სეზონში ფიზიკური მომზადების მხრივ მოვიკოჭლებდით, მაგრამ წელს ეს ხარვეზი გამოსწორდა. "ბარსელონა" დღეს ამ თვალსაზრისით მსოფლიოს მოთხოვნებს პასუხობს. მაგრამ ამ კონტრასტთან ჩემს კავშირს ვერ ვხედავ. ჩემი პრობლემები განყენებული, ინდივიდუალური შემთხვევაა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ადამიანმა ნაკლები ვარჯიშით უკეთეს ფორმას მიაღწიოს? არა მგონია, ვიმეორებ, წელს უფრო ინტენსიურად და ნაყოფიერად ვვარჯიშობთ, მაგრამ შედეგი არ მაკმაყოფილებს. შეიძლება, კიდევ გარკვეული დროა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ასე უსასრულოდ არ გაგრძელდება. მალე საუცხოო ფორმაში ჩავდგები და საზოგადოება დაინახავს, რა შეუძლია ერიკ აბიდალს."*

აბიდალის აღსარებამ და პრობლემებზე საუბარმა ოდნავ მოსაწყენი ელფერი შეიძინა და პრესკონფერენცია სხვა თემით გაგრძელდა, კერძოდ - **ტიერი ანრის** "ბარსელონური" კარიერით. მოგეხსენებათ, ანრი ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდებას ვერ ახერხებს და ამის გამო უკმაყოფილებას ღიად გამოხატავს. გასაგებია, რომ მსოფლიო ვარსკვლავს სათადარიგოთა სკამზე ბევრი დროის გატარება არ სურს, მაგრამ მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ტიერი, აბიდალის მსგავსად, შორსაა საუკეთესო ფორმისგან და გვარდიოლა აბსოლუტურად სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებს. მოკლედ, მედიის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ანრიზე მეტად ძირითად შემადგენლობაში თამაშს **სამუელ ეტოო** იმსახურებს. აბიდალს სწორედ ამ თემაზე საუბარი სთხოვეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ერიკი მის თანამემამულეს და რაც მთავარია, დიდ მეგობარს ადვოკატად დაუდგა:

*"არ ვიცი ყოველი თქვენგანი ტიერიზე რას ფიქრობს, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მისი დრო დასრულდა, ძალიან შემცდარა. ანრი შესაძლებლობების მაქსიმუმს, რა თქმა უნდა, ვერ ამჟღავნებს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ყურადღებით წავიკითხე მისი ინტერვიუ, რომელიც "ეკიპს" მისცა. ის ამბობს, თუ არ მათამაშებენ, იანვარში წავალო. ეს სწორი განცხადებაა. უთამაშებელი ფეხბურთელი "ბარსელონასაც" არ სჭირდება. ბუნებრივია, სკამზე ჯდომა თავად ტიერისაც არ მოუტანს სიკეთეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მეგობარი სირთულეებს მალე დასძლევს. ძალიან მინდა, მან "კამპ ნოუზე" გააგრძელოს კარიერა, თუმცა, სადაც არ უნდა წავიდეს, ის არ დაიკარგება. არ ვიცი, გვარდიოლას რა გეგმა აქვს. იმედია, ის ანრის შესაძლებლობებს ჯეროვნად აფასებს. ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგო მოსაზრება მას არასოდეს გამოუთქვამს. და მაინც, თუ გვარდიოლა ანრის გასაყიდად გაიმეტებს, მწარედ ინანებს. მჯერა, საქმე აქამდე არ მივა და ჩემი თანამემამულე "ბარსელონას" დიდი გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

სევილია

# ხიმენესი რეკორდებს ამხობს

### მთავარი მიზანი ჩემპიონობაა

"სევილია" არაჩვეულებრივად გამოიყურება. უეფას თასის გათამაშებისა და პრიმერა დივიზიონის დაწყების შემდეგ, ანდალუსიურ კლუბს ერთი შეხვედრაც არ წაუგია. უნდა ითქვას, რომ წაუგებელ სერიას ჯერ კიდევ გასული გაზაფხულიდან ჩაეყარა საფუძველი. ამ თემაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი გეტყვით, რომ ასეთ დიდ წარმატებებს "სევილიამ" არსებობის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მიაღწია. პირველად - 1945/46 წლების სეზონში. მაშინ ამ გუნდს **რამონ ენსინასი** ავარჯიშებდა. ამ სპეციალისტმა ფენომენური შედეგები აჩვენა და წაუგებელი მატჩების ხარჯზე კლუბს საჩემპიონო ტიტული მოუტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **მანოლო ხიმენესისთვის** ეს კაცი მისაბაძი სპეციალისტია. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ სენიორ ენსინასის მიღწევები გააუმჯობესოს. მეორე სასიქადულო ციკლი კი იმ დროით თარიღდება, როცა, **ხუანდე რამოსი** სიურპრიზს სიურპრიზზე გვთავაზობდა. კერძოდ, 2006/07 წლების სეზონში. სამხრეთელთა ამჟამინდელ დამრიგებელს, მანოლო ხიმენესს ყველა პირობა აქვს, რომ კოლეგების მაჩვენებელი გააუმჯობესოს და ამით ისტორიაში დაიდოს ბინა. საქმე ის არის, რომ მისმა ბიჭებმა გასულ ტურში "ვისენტე კალდერონზე" "ატლეტიკოსთან" გამარჯვების შემდეგ მართლაც უმნიშვნელოვანეს ზღვარს მიაღწიეს. "სევილიას" პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ათი მატჩია არ წაუგია. ბოლოს ამ მაჩვენებლით სწორედ ხუანდე რამოსი იწონებდა თავს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რამოსის ხანაში წაუგებელი ათი მატჩი არა მარტო ესპანეთის პირველობაზე, არამედ უეფას თასსა და ევროპის სუპერთასზე ჩატარებულ შეხვედრებსაც მოიცავდა. ანუ, მაშინ სევილიელებმა არა მარტო პრიმერა დივიზიონის, არამედ ევროტურნირების ხარჯზე მოუყარეს თავი ზედიზედ წაუგებელ ათ მატჩს.

იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრებს გავითვალისწინებთ, აღმოვაჩენთ, რომ მანოლო ხიმენესმა რამოსი უკვე დაჩრდილა. სტატიის დასაწყისში მოცემულ პირობას შევასრულებთ და მოგახსენებთ, რომ მის გუნდს ეროვნულ პირველობაზე 19 აპრილის შემდეგ არ წაუგია. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავუჯერებთ (და უნდა დავუჯეროთ), ასეთი მიღწევით "სევილიის" ვერც ერთი ყოფილი მწვრთნელი ვერ იამაყებს... მაგრამ ხიმენესი ის კაცი არ არის, მიღწეულით დაკმაყოფილდეს და უკეთეს მომავალზე არ იზრუნოს. ზედიზედ მოგებული მატჩები ერთია, მაგრამ საბოლოო შედეგი მეორე. ანდალუსიელთა მთავარი მწვრთნელი არ მალავს, რომ ამ სეზონში ბიჭებს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად აბრძოლებს. ამ კაცს არც იმის აღიარების რცხვენია, რომ რამონ ენსინასის შურს და მასაც უნდა, "სევილიას" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოუტანოს.

საჩემპიონო ჯილდომდე, რა თქმა უნდა, ძალიან შორია, მანამდე ანდალუსიელებს ბევრი მატჩის მოგება დასჭირდებათ. ენთუზიაზმი რომ არ შემცირდეს, ხიმენესის ბიჭებმა, რა თქმა უნდა, მომდევნო ტურის შეხვედრაშიც უნდა გაიმარჯვონ. მათ ამისთვის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა აქვთ. ჯერ ერთი, რომ გუნდი ფანტასტიკურ ფორმაშია, და მეორეც, "ბილბაომ" "სანჩეს პისხუანზე" ბოლო ხუთი დაპირისპირებიდან ხუთივე წააგო.



**ილია ნიოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

# ნარსულის გაკვეთილები და მომავლის პერსპექტივა

საქართველოს ნაკრებმა B დივიზიონის მატჩები 17 სექტემბერს შვედეთთან მარცხით დაასრულა. მას შემდეგ ჩვენი გაზეთის მკითხველს შევთავაზეთ ზაზა ფაჩულიას, ნიკა ცქიტიშვილის, ვიქტორ სანიკიძის, კოტე ტულუშის, ლაშა გამყრელიძის... მოკლედ, ნაკრების თითქმის ყველა წევრის შეფასება გუნდის გამოსვლაზე; ასევე გავაცანით ეროვნულის მწვრთნელთა და კალათბურთის ფედერაციის წევრთა მოსაზრებები. ასეთი უხვი საუბრებიდან დილეტანტიც კი გამოიტანდა სწორ დასკვნას ნაკრებში არსებულ მდგომარეობაზე.

ჰოდა, ჩვენც უკვე თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ როგორც თითოეულ კალათბურთელზე, ასევე იმ მიზეზებზე, რამაც სამი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება და შვედეთში ნაგება განაპირობა. დღევანდელი ჩვენი პუბლიკაციაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

## დაგვიანება

ნაკრების ფსიქოლოგიური და ტაქტიკური მდგომარეობა მოთამაშეთა გამოსვლაზე აისახა. ასე რომ, მათი თამაშის მიხედვით შეიძლება საუბარი გუნდში არსებულ სიტუაციაზე. დავიწყოთ **ნიკა ცქიტიშვილით,** რომელმაც თბილისში დაბრუნების შემდეგ გვითხრა:

- დიდი ხანია, საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ, მაგრამ ასეთი კარგი ატმოსფერო გუნდში ჯერ არ მახსოვს.

გამოგიტყდებით, ეს ფრაზა კალათბურთელთა კომენტარებს შორის ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. რატომ? ახლავე მოგახსენებთ. ნიკა ცქიტიშვილი საქართველოს ნაკრებში პირველად 1999 წელს მოხვდა. 2004 წლის შემდეგ იგი გუნდში NBA-ს კალათბურთელის სტატუსით თამაშობდა და მისგან ბევრს მოველოდით. მოლოდინი არ მართლდებოდა, რადგან ნიკას აქამდე ის ნდობა არ ჰქონდა, რაც იგორ კოკოშკოვის ხელში. მწვრთნელმა **გორდონ ჰერბერტმა** (ნაკრებში 2005-06 წლებში მუშაობდა) ცქიტო სათადარიგოდ აქცია და მისგან პირველხარისხოვანი თამაში ერთადერთხელ, 2005 წელს ფინეთში გვახსოვს – 5 სამქულიანი ჩააგდო. დანარჩენ შემთხვევებში ნიკა 10 ქულასაც იშვიათად სცდებოდა. შარშან კი იგი სულაც ვერ მოხვდა ნაკრებში: მწვრთნელმა **კენ შილდსმა** ნიკა დაგვიანების გამო გუნდში არ მიიღო...

მივადექით მთავარს, დაგვიანებას. მწვრთნელთა უნდობლობა გარკვეულწილად შეკრებებზე დროულად ვერგამოცხადების ბრალიც იყო, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ როცა კალათბურთელი ფიქრობს, გუნდის მთავარი ღერძი ჩემზე მაინც არ გაივლისო, შეიძლება შეკრებისკენ გული სულაც არ მოუწევდეს. თავად ნიკაც ამბობს, რაც აქამდე ხდებოდა, გარკვეულწილად, ჩემი ბრალიც არისო. თუმცა ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ სწორედ მწვრთნელის ფუნქციაა, საქმე ისე ააწყოს, რომ ნებისმიერ მოთამაშეს ნაკრებში ჩამოსვლა მოუხაროდეს.

წლეულს **იგორ კოკოშკოვის** ვარჯიშებზე ნიკა დროულად გამოცხადდა და აი, რა მითხრა:

- შეკრების ოფიციალური ნაწილი 4 აგვისტოს იწყებოდა, მაგრამ სინჯებზე მყოფებთან ერთად გუნდს 1-ელ აგვისტოდან შევუერთდი, რადგან მწვრთნელიც კარგი იყო, ვარჯიშებიც და ინდივიდუალურ მზადებას იგორ კოკოშკოვის ხელში ვარჯიში მერჩივნა.

ასე და ამგვარად, ნიკა ცქიტიშვილზე საუბრისას ყურადღება გავამახვილეთ შეკრებაზე დაგვიანება-არდაგვიანების საკითხზე. ნათლად დავინახეთ, რომ გუნდის დროულად შეკრებამ (5 აგვისტოს **ზაზა ფაჩულიას** გარდა ყველა ადგილზე იყო) სწორედ ისეთი ატმოსფერო შექმნა, რაზეც სკიტა ზემოთ ლაპარაკობდა. თუმცალა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბოლო წლებში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ნიკას სატრანსფერო საკითხი მოგვარებული ჰქონდა – იტალიურ "ტერამოსთან" ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა.

## ვარჯიში

დროულად შეკრებასთან ერთად ნაკრების წარმატების საიდუმლო ვარჯიშებშიც იმალებოდა. ეს საკითხი ვიქტორ სანიკიძის მაგალითზე განვიხილოთ. ჯერ ძველი ამბავი გავიხსენოთ:

- ნაკრებში ამერიკიდან რომ ჩამოვედი, კარგ ფორმაში ვიყავი. შემდეგ ფორმიდან ამოვვარდი... – ეს სიტყვები ზაზა ფაჩულიამ შარშან, ფინეთთან მატჩის შემდეგ თქვა.

არ ვიცი, რამ გამოიწვია ფაჩულიას ფორმიდან ამოვარდნა. მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევა არ მსურს, მაგრამ ფაქტია, რომ წლეულს ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. შეკრების მეოთხე დღეს **დავით უგრეხელიძემ** მითხრა:

- ასეთი მძიმე ვარჯიშები ჩემთვის უცხო არ არის, რადგან "პივოვარნაში" სლოვენიის ნაკრების მწვრთნელ **ალექს პიპანთან** მიხდებოდა მუშაობა. როგორც ყოველთვის, მსგავს დატვირთვებს შედეგი აუცილებლად მოჰქონდა. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებშიც ასე იქნება.

დათო მართალი გამოდგა, ქართველებმა მოსამზადებელი ციკლი მძიმედ დაიწყეს, უკრაინაში პირველივე მატჩში დიდი სხვაობით დაწინაურდნენ, მაგრამ დატვირთვების გამო ბოლო წუთებზე ძალა აღარ შერჩათ და ის მატჩი დათმეს. ჩვენი თამაში თანდათან უმჯობესდებოდა და გუნდმა ოპტიმალურ ფორმას ოფიციალური მატჩებისას მიაღწია. თუ საკონტროლო შეხვედრებში ვიქტორ სანიკიძე 6-7 ქულას სჯერდებოდა, ფორმაში შესვლის შემდეგ, შესარჩევ მატჩებში 17-ს არ ჩამოსცილებია. მისთვის არც 10-ზე მეტი მოხსნის მოგროვება იყო რთული.

როგორც ჩანს, სერბეთის ნაკრებში **ჟელკო ობრადოვიჩის** გვერდით მუშაობისას იგორ კოკოშკოვმა მოსამზადებელი ციკლის დაგეგმარება კარგად შეისწავლა.

## შეთამაშება

ახლა **ვიქტორ სანიკიძესა** და **გიორგი ცინცაძესთან** დაკავშირებული, 2006 წელს მომხდარი ამბავი გავიხსენოთ. ცინცაძეს მაშინ ზურგს უკან "ტარტუ როკში" ჩატარებული ეფექტური სეზონი ჰქონდა, მაგრამ ნაკრებში ჩრდილში მოექცა. ავსტრიაში **გორდონ ჰერბერტმა** გიორგი და ვიქტორი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩართო. მათ თითო შეტევა განახორციელეს, მაგრამ ვერც კალათისკენ ისროლეს (მეტოქე კარგად ფარავდა) და ვერც უკან მდგომ თანაგუნდელს დაუბრუნეს ბურთი. თითო შეცდომის გამო სანიკიძეცა და ცინცაძეც მწვრთნელმა სათადარიგოთა შორის დააბრუნა და იმ მატჩში მათ ბოლომდე ველარ ენდო.

ამ ამბის გახსენებით მწვრთნელის ნდობაზე ყურადღების გამახვილებას არ ვაპირებ, მინდა, თქვენი მზერა იმ მომენტისკენ მივაპყრო, როცა ცინცაძე-სანიკიძემ უკან პასის გაკეთება ვერ შეძლეს. ამის მიზეზი გუნდის შეუთამაშებლობა იყო. ჰერბერტი-შილდსის დროს ქართველთა ტაქტიკა მარტივი იყო – ბურთის ზაზა ფაჩულიამდე მიტანა. ზაზამ ზემოთ ნახსენებ ავსტრიასთან მატჩში მართლაც თავი გამოიდო და ნაგებული თამაში შემოატრიალა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მხოლოდ ფაჩულიას ძალისხმევით A დივიზიონში ვერც შარშან გადავედით და ვერც 2005 წელს.

წლეულს, ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ სტრატეგია რომ შეიცვალა, ისევ და ისევ, გიორგი ცინცაძის მაგალითზე ჩანს. იგი ოთხ მატჩში საშუალოდ 6.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა და პასის ადრესატი ყოველთვის სხვადასხვა კალათბურთელი იყო. რაც იმას ნიშნავს, რომ ცინცაძის წამოწყებულ შეტევას ხან **ელისი** აგვირგვინებდა, ხან ფაჩულია და ა.შ.

აქვე ფაქტს მოვიყვანთ: სამ მატჩში ბუს მიერ გაცემული 20 პასიდან (ირლანდიის მატჩის ქრონოლოგია არ მოგვეპოვება) შეტევა დააგვირგვინა შვიდმა მოთამაშემ: სანიკიძემ - 9-ჯერ, ფაჩულიამ - 4-ჯერ, ცქიტიშვილმა - 3-ჯერ, **ელისმა, ბოისამ, ბერიშვილმა,** და **გამყრელიძემ** - თითოჯერ... აბა, სხვა რა არის გუნდური თამაში? იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ საქართველოს ნაკრები გაისად კიდევ უფრო შეთამაშდება. ეს აუცილებელია, რადგან შვედეთში დავინახეთ, რომ ჩვენზე შეკრული გუნდებიც არიან. გაისად ხომ ყველა მატჩი მოსაგები გვაქვს.



ვიქტორ სანიკიძემ სანაკრებო მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარა

**ზემოთ, რამდენიმე კალათბურთელის მაგალითზე დავინახეთ, რომ საქართველოს ნაკრებში წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა ფსიქოლოგიური განწყობილება, შეკრებებზე დროულად გამოცხადების საქმე, გუნდური თამაში, ვარჯიშები... მაგრამ შედეგი მხოლოდ აქამდე ნახსენებ კალათბურთელებს არ "მოუმკიათ". ვინ რა გააკეთა, ამაზე ნათელ წარმოდგენას თორმეტივე მოთამაშის სრული სტატისტიკა მოგცემთ, რასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. სხვათა შორის, ირლანდიის მატჩის სტატისტიკის ცდა კვირაზე მეტხანს მოგვიხდა, თუმცა საერთოდ არგამოქვეყნებას, გვიან გამომზეურება ნამდვილად გვერჩივნა.**

ვაჟა სიმონიშვილი

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-საქართველო | 65:98 |
| ირლანდია-საქართველო | 77:94 |
| სლოვაკეთი-საქართველო | 78:101 |
| შვედეთი-საქართველო | 61:59 |

| საქართველო | თ | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ | ქ.სშ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სანიკიძე | 4 | 129 | 25\35 | 8\13 | 12\13 | 32 | 14 | 7 | 4 | 3 | 2 | 86 | 21.5 |
| ელისი | 4 | 128 | 4\6 | 18\33 | 8\15 | 16 | 8 | 8 | 19 | 10 | 1 | 70 | 17.5 |
| ფაჩულია | 4 | 117 | 21\36 | 0 | 18\32 | 29 | 6 | 9 | 11 | 4 | 2 | 60 | 15.0 |
| ცქიტიშვილი | 4 | 90 | 11\20 | 5\14 | 4\7 | 17 | 1 | 7 | 0 | 0 | 2 | 41 | 10.3 |
| ვ. ბოისა | 4 | 89 | 12\18 | 1\10 | 7\10 | 15 | 1 | 6 | 4 | 2 | 1 | 34 | 8.5 |
| ცინცაძე | 4 | 118 | 10\13 | 0\6 | 8\9 | 11 | 26 | 10 | 13 | 6 | 0 | 28 | 7.0 |
| ბერიშვილი | 1 | 1 | 0 | 1\1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 3.0 |
| გამყრელიძე | 4 | 68 | 1\4 | 3\9 | 1\2 | 7 | 5 | 8 | 8 | 3 | 0 | 12 | 3.0 |
| შერმადინი | 4 | 21 | 3\5 | 0 | 3\6 | 6 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 9 | 2.3 |
| ტულუში | 4 | 18 | 1\1 | 1\4 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 5 | 1.3 |
| ა. ბოისა | 4 | 22 | 0\1 | 1\3 | 0 | 4 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0.8 |
| შენგელია | 2 | 4 | 0 | 0 | 1\3 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0.5 |

ხელბურთი. ინტერვიუ ზურაბ კაკაბაძესთან



# პოლონური ტურნე საკვალიფიკაციო ეტაპის ნაცვლად

## ეროვნული ჩემპიონატი გაახალგაზრდავდება

**საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ახალ სეზონს იწყებს. სეზონი ასაკობრივი პირველობით გაიხსნა, რასაც ეროვნული ჩემპიონატი და სანაკრებო მატჩები მოჰყვება. მართალია, ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე აღარ ითამაშებს, მაგრამ ამის ერთგვარ კომპენსაციას ნოემბრის ბოლოს, პოლონური ვიზიტისას მიიღებს. გვესაუბრება საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე.**

- სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ ვთამაშობთ. აღნიშნულ ტურნირზე ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე პოლონეთი უნდა ყოფილიყო, რომელმაც გამოიჩინა კეთილი ნება და 26-29 ნოემბერს, ოთხი მატჩის სათამაშოდ დაგვპატიჟა.

ნოემბერის ბოლოს, პოლონეთში იმართება საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჩვენი ეროვნული ნაკრების გარდა, ითამაშებენ გერმანიის, ნორვეგიისა და მასპინძელთა მეორე ნაკრები გუნდები. ამ ქვეყნებში იმდენი მაღალი კლასის ხელბურთელია, რომ მეორე გუნდებიც კი საკმაოდ სოლიდურები ჰყავთ. ასეთ მეტოქეებთან თამაში, უდავოდ, სასიკეთოდ წაგვადგება.

ამას გარდა, მასპინძლები 29 ნოემბერს, პოლონური ხელბურთის 90 წლის იუბილეს აღნიშნავენ და ამ დღეს, ამხანაგურ მატჩში ძირითადი ნაკრებით დაგვიპირისპირდებიან.

**- ლეგიონერებს თუ ელაპარაკეთ, ყველა ჩამოვა პოლონეთში?**

- ძირითად ნაწილს ველაპარაკეთ და ყველა თანახმაა ჩამოსვლაზე. ერთი ეგ არის, რომ სერგო დათუკაშვილს ჰქონდა ტ[illegible]კაა, მაგრამ უკვე დაიწყო სარეაბილიტაციო კურსი და ვიმედოვნებ, ნოემბრის ბოლომდე მწყობრში იქნება.

**- საქართველოს ჩემპიონატზე გადავიდეთ...**

- უკვე დავიწყეთ 1990-92 წლებში დაბადებულთა ჩემპიონატი, რომელშიც 8 გუნდი ასპარეზობს. ისინი ორ ზონად დავყავით. აღმოსავლეთში ითამაშებენ „თელავი", „ქარიშხალა", „რუსთავი" და „გორი", დასავლეთში კი „ქუთაისი", „სამტრედია", „ბათუმი" და „ფოთი".

აღმოსავლეთ ზონის მატჩები ხვალ დამთავრდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში, დასავლეთი კი ერთ კვირაში დაიწყებს ქუთაისში. შემდეგ რვავე გუნდი გაერთიანდება და ერთმანეთს ეთამაშება. ჩემპიონატი გაზაფხულზე დამთავრდება.

**- ეროვნულ ჩემპიონატში რა ვითარებაა?**

- არის რაღაც პრობლემები - ძირითადად ფინანსური, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ოთხივე გუნდი შეძლებს თამაშს. აქვე ერთი რამ მინდა ვთქვა - ხელბურთის ფედერაცია ვერ დაიწყებს კლუბებისთვის სპონსორის მოძიებაზე სირბილს. ეს მათი გასაკეთებელი საქმეა. ხელბურთის ფედერაციის უშუალო ვალდებულება ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებაა. 27 ოქტომბრამდე ვიღებთ გუნდების განაცხადებს და ვიმედოვნებ, ამ დრომდე ყველა გუნდი მოაგვარებს პრობლემას. შეჯიბრება კი ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება.

ამას გარდა, გადავწყვიტეთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატს კიდევ ორი კლუბი დავამატოთ. 1990-92 წლებში დაბადებულთა პირველობის საშემოდგომო ეტაპზე, ორ საუკეთესო გუნდს უმაღლეს ლიგაში დავუშვებთ. და თუ ეროვნულ ჩემპიონატს დააკლდება რომელიმე გუნდი, მაშინ სამ ახალგაზრდულ კლუბს დავამატებთ. ამას გარდა, ახალგაზრდებს იმის უფლებასაც მივცემთ, რომ ორ საუკეთესოში ვერმოხვედრილი გუნდებიდანაც დაიმატონ ხელბურთელები.

წლეულს ეროვნული ჩემპიონატის ორი წრე გაიმართება, დანარჩენი სამი კი 2009 წლის გაზაფხულზე, რომელსაც წინ გაუსწრებს 1990-92-წლიანთა პირველობის საგაზაფხულო ეტაპი.

**- ახლახან, ავსტრიაში ევროპის ხელბურთის ფედერაციის კონგრესზე იყავით. რა მოხდა ვენაში ჩვენთვის საინტერესო?**

- ევროპის ხელბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა იყო. ნორვეგიელმა პრეზიდენტმა ტორ ლეანმა ოთხი წლით შეინარჩუნა თანამდებობა. ამას გარდა, ფედერაციის მაღალჩინოსანთა უმეტესობაც დარჩა საკუთარ პოსტზე, მხოლოდ თითო-ოროლა ახალი სახე გამოჩნდა.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციასთან ოფიციალურად გავაფორმეთ „სმარტის" პროგრამა. ეს არის ევროპის ფედერაციის გრანტი მისი წევრი ქვეყნებისთვის საბავშვო ხელბურთის განვითარებაში.

აღნიშნული პროგრამა სამი წლის განმავლობაში განხორციელდება და საქართველო ყოველწლიურად მიიღებს 11000 ევროს. ეს თანხა მოხმარდება ჩვენი ბავშვთა ხელბურთის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი გვაქვს საზაფხულო ბანაკების მოწყობა და ახალგაზრდა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაც.

ამას გარდა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დახმარებით, უკვე დაწყებული გვაქვს ხელბურთის წესების წიგნის ქართულენოვანი ვერსიის გამოცემა, რომელიც აქამდე არ არსებობდა. ამას გარდა, ვმუშაობთ ევროპის ხელბურთის ფედერაციის ძირითადი დებულებების (საარბიტრაჟო, სატრანსფერო) გადმოქართულებაზეც.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. ინტერვიუ ავთანდილ ხურციძესთან



ავთანდილ ხურციძე

# ჯერ მგელს დაუნგრია ყბები და მერე ოჩოას

**ქუთაისელი პროფესიონალი მოკრივე ავთანდილ ხურციძე, რომელიც ერთი წლის განმავლობაში აშშ-ის პროფესიონალურ რინგზე ასპარეზობდა, ბოლო ორი წელიწადია უკრაინაში იმყოფება და იქაც დიდ წარმატებებს აღწევს. ყოფილი კიკბოქსიორი, რომელიც ქუთაისში, ცნობილი მწვრთნელის, მურთაზ ბებიას კლუბში აღიზარდა, საშუალო წონაში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ ჩამოყალიბდა. მას პროფესიულ რინგზე 20 ორთაბრძოლა აქვს გამართული: აქედან 17 თავის სასარგებლოდ დაასრულა, ორში ფრეს მიაღწია და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. „ჩაქუჩამ" თავისი სიძლიერე გასულ შაბათს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა კიევის სპორტის სასახლეში არგენტინელ ანტონიო ოჩოას სძლია და WBA -ის ევროპის ინტერკონტინენტალური ჩემპიონის ტიტული დაიცვა. ავთო ხურციძეს გუშინ კიევში შევეხმიანეთ. „ჩაქუჩას" ოჩოას დამარცხებით გამოწვეული ემოციები ჯერ კიდევ არ ჰქონდა განელებული. მას განვლილ ორთაბრძოლასა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.**

**- ავთო, გილოცავ მორიგ გამარჯვებას. რთული იყო WBA -ის ინტერკონტინენტალური ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება?**

- გმადლობ მოლოცვისთვის.... პროფესიონალურ რინგზე იოლი მეტოქე არ არსებობს, ყველა მოკრივე გამარჯვებისთვის არის შემართული და აქ ფავორიტობა ბევრს არაფერს ნიშნავს. რაც უნდა დიდი ტიტულები გიმაგრებდეს ზურგს, თუ ჩხუბისთვის სათანადოდ არ მოემზადე, გამარჯვების იმედი არ უნდა გქონდეს. ჩემი მოწინააღმდეგე ანტონიო ოჩოა საკმაოდ გამოცდილი მოკრივეა, თუმცა მისი დამარცხება არ გამჭირვებია. ორჯერ ნოკდაუნში გავაგზავნე. მიუხედავად ამისა, არგენტინელმა ბოლომდე გაძლო და სრული 12 რაუნდი ვიჩხუბეთ. ამ ორთაბრძოლაში იმდენად დიდ უპირატესობას ვფლობდი, რომ მსაჯებს არც კი უყოყმანიათ, ყველამ ერთსულოვნად მე მომანიჭა გამარჯვება. WBA-ის ტიტულის შენარჩუნება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**- ზოგიერთი მიმომხილველი აღნიშნავს - ხურციძეს ოჩოა ისე გაურბოდა, რომ ქართველმა მოკრივემ ხელებიც კი დაუშვა და ცეკვა-ცეკვით პუბლიკის აყოლიება დაიწყო, რათა არგენტინელი შესატევად გამოეწვიაო. თუმცა, ამანაც რომ არ გაჭრა, თითქოს, ოჩოასგან რამდენიმე დარტყმა შეგნებულადაც კი მიიღე, რათა ის ბრძოლაში შემოგეტყუებინა....**

- მართლაც ასე იყო... მოწინააღმდეგეს პირველი წუთებიდანვე მაღალ ტემპში შევუტიე და მუშტები ისე დავაყარე, არგენტინელს ბრძოლის სურვილი სულ დაეკარგა. ახლოს აღარ მეკარებოდა, ოღონდაც თავი დაეცვა და შეტევაზე საერთოდ აღარ ფიქრობდა. ცოტა ხანი კიდევ გამიძალიანდა, მერე კი რინგზე დაიწყო სირბილი. ჩხუბი კი არა, დაჭერობანა უფრო გამოვიდა. გადავიდოდი თუ არა შეტევაზე, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. ამიტომ მისი ხაფანგზე წამოგება გადავწყვიტე და ერთი-ორი დარტყმა გავატარე, მაგრამ თავად რამდენი მოხვდა ალბათ, ვერც დაითვლიდა.

**- ანტონიო ოჩოას არაერთი ბრძოლა აქვს მოგებული. არცთუ ისე ხელწამოსაკრავი მოკრივეა და ნუთუ მართლა ასე სუსტად გამოიყურებოდა?**

- საქმე ისაა, რომ თავად ვიყავი ძალიან კარგ ფორმაში. თითქოს მოწინააღმდეგედ გამოცდილი მოკრივე კი არა, მეექვსე კლასის მოსწავლე მყავდა იმხელა უპირატესობა მქონდა. არადა, ბრძოლის წინ კურიოზულ ვითარებაში სერიოზული ტრავმა მივიღე და ექიმებისთვის რომ გამემხილა, შესაძლოა რინგზე გასვლის უფლებაც არ მოეცათ.

**- რა მოხდა?**

- ბრძოლის წინადღეს მეგობრის რესტორანში ვიყავი. გარეთ, ეზოში მგელი ჰყავდათ დაბმული. დამაინტერესა და ახლოს რომ მივედი, უცებ მეცა და ხელზე მიკბინა. სიმწარისგან მგელს ისე დავარტყი, ჩემი იქ ყოფნისას ფეხზე აღარ ამდგარა. ხელი ისე მქონდა დალეჭილი, ექიმისთვის აუცილებლად უნდა მენახვებინა... ჩემს მენეჯერს და ექიმს ამის შესახებ არაფერი ვუთხარი. ჭრილობა სხვასთან დავიმუშავე და მეორე დღეს რინგზე გავედი. მეტოქე რომ დავინახე, ტრავმა აღარც კი მახსოვდა და ახლა მთელი ჯავრი მასზე ვიყარე.

**- ავთო, ინტერკონტინენტალის ქამრის დასაცავად ბრძოლისთვის მზადება იმ პერიოდშიც გიწევდა, როცა საქართველოში გაგანია ომი იყო. ვიცი, რომ სამშობლოში შექმნილ მდგომარეობას ძალიან განიცდიდი და ასეთ ვითარებაში როგორ მოახერხე ორთაბრძოლისთვის მაღალ დონეზე მომზადება?**

- ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. საქართველოში ჩამოსვლა და ომში წასვლაც კი ვიფიქრე, მაგრამ ისე სწრაფად განვითარდა ყველაფერი, ამას აზრიც აღარ ჰქონა. ტელევიზორთან ვიყავი მიჯაჭვული და საქართველოდან ახალ ინფორმაციებს ველოდებოდი. ოჩოასთან ორთაბრძოლა რომ მოახლოვდა, საკუთარ თავს ტელევიზორის ყურება საერთოდ ავუკრძალე და გულს ვარჯიშებს ვაყოლებდი. რუსულ არხებს კი მანამდეც არ ვუყურებდი, ისეთ საშინელ დეზინფორმაციებს გადმოსცემდნენ.

**- თავად უკრაინელების განწყობილება როგორი იყო?**

- ზოგი საქართველოს უჭერდა მხარს, ზოგი კი ომის დაწყებაში ჩვენ გვადანაშაულებდა. ერთხელ, საუნაში ვიყავი და ამ თემაზე იქ რამდენიმე პრორუსულად განწყობილ უკრაინელთან კამათი მომივიდა. რუსეთი ძლიერია და რასაც უნდა იმას გააკეთებსო, - მიმტკიცებდნენ ისინი. ველარ მოვითმინე და ვუთხარი, თუ სიმართლე არ გაინტერესებთ და თუ ყველაფერი ძალაზეა დამოკიდებული, მაშინ მე თქვენზე ძლიერი ვარ, ახლა თქვენს ტანსაცმელს ავიღებ და აბა, ხმა ამოგიღიათ-მეთქი...

**- უკრაინაში რაც გადახვედი, ბრძოლა არ წაგიგია. რაში მდგომარეობს შენი წარმატების საიდუმლო?**

- არავითარი საიდუმლო არა მაქვს. უბრალოდ, ბევრს ვვარჯიშობ, თავს არ ვზოგავ და დადებითი შედეგიც აქედან მოდის. თუმცა, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. ჯერ მხოლოდ 27 წლისა ვარ და მჯერა, რომ პროფესიონალურ კრივში კიდევ უფრო მეტის მიღწევა შემიძლია. ამისათვის ყველა პირობა მაქვს შექმნილი. კიევში ძმებ კლიჩკოების კლუბში საუკეთესო პირობებში ვემზადები. გამოცდილი მწვრთნელი ალექსანდგე ლიხტერი მავარჯიშებს, რომელიც ადრე ვიტალი კლიჩკოსაც წვრთნიდა - ყოველივე ეს არის ჩემი წარმატების საიდუმლო.

**- სამომავლო გეგებზე რას გვეტყვით?**

- ადრე რომ ვისაუბრეთ, გითხარი - ინტერკონტინენტალის ქამარს რომ მოვიპოვებ, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებ-მეთქი. ინტერკონტინენტალის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე და კიდევაც შევინარჩუნე. ასე რომ, ახლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე ვოცნებობ. ჩემი მენეჯერი ვადიმ ბუხიკალოვი მოლაპარაკებებს მართავს და შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად გერმანიაში ან ამერიკაში ვიჩხუბო. თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია და მოვლენების განვითარებას დაველოდები.

**დავით პოხრეიძე**

ძიუდო

# ტოკიოში შეხვედრამდე

## რუსებმა გუნდი დაასახელეს

5 ოქტომბერს ტოკიო მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს ძიუდოში. ვაჟთა ტურნირში 8 გუნდს შორის საქართველოს ნაკრებიცაა, როგორც ევროპის ჩემპიონი. ევროპას საქართველო და რუსეთი (ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი) წარადგენენ, აზიას - იაპონია, კორეა და უზბეკეთი. ჩემპიონატში კიდევ სამი ნაკრებია: ალჟირი (აფრიკა), ბრაზილია (ამერიკა) და ახალი ზელანდია (ოკეანეთი). საქართველოს ნაკრები, რომელსაც **შოთა ხაბარელი** ხელმძღვანელობს, ამომავალი მზის ქვეყანაში ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **ნესტორ ხერგიანი** (60 კგ); **მინდია ხომიზური** (66 კგ); **ზაზა კედელაშვილი** (73 კგ); **დავით ქევხიშვილი** (81 კგ); **ვარლამ ლიპარტელიანი** (90 კგ); **ირაკლი ცირეკიძე** და **ლევან ჟორჟოლიანი** (100 კგ); **ლაშა გუჯეჯიანი** და **ნოდარ მეტრეველი** (100+ კგ). როგორც ხედავთ, ჩვენებს ძლიერი შემადგენლობა კი ჰყავთ შეკრებილი, მაგრამ ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი ჩვეულზე ერთი წონით ზემოთ იჭიდავებს (კედელაშვილი, ქევხიშვილი და ცირეკიძე).

საქართველოს ნაკრების გარდა შემადგენლობები სხვებმაც დაასახელეს. ჩვენთვის საინტერესოა რუსეთის ნაკრების შემადგენლობა: **რუსლან კიშმახოვი** და **ევგენი კუდიაკოვი** (60 კგ); **ალიმ გადანოვი** და **მიხაილ პულიაევი** (66 კგ); **კონსტანტინ ზარეცკი** (73 კგ); **სირაჟუდინ მაგომედოვი** (81 კგ); **ზაფარ მაჰმადოვი** (90 კგ); **ვიაჩესლავ მიხაილინი** და **ასლან უნაშხოტლოვი** (100 კგ); **ალექსანდრ მიხაილინი** (100+ კგ).




გუნდის უდავო ლიდერი სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი მძიმეწონოსანი, ალექსანდრ მიხაილინია. ასევე სერიოზული სპორტსმენია ევროპის ჩემპიონი რუსლან კიშმახოვი. რუსეთის ნაკრებს **სერგეი ტაბაკოვი** წვრთნის.

საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს ბრაზილიას: **ჟოაო დერლეი** და **ლიგეირო** (60 კგ); **კარლეს ჩიბანა** (66 კგ); **ვიქტორ პენალბერი** (73 კგ); **ფლავიო კანტო** და **ჟილერმე ლუნა** (81 კგ); **ედუარდ სანტოსი** და **უგო პესანია** (90 კგ); **ლეონარდო ლეიტე** (100 კგ); **ვალტერ სანტოსი** და **დანიელ ერნანდესი** (100+ კგ). დღეს-ხვალ სხვა ფავორიტი გუნდების (იაპონია, კორეა) შემადგენლობებსაც შემოგთავაზებთ. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, 2006 წელს, პარიზის "ბერსიში" საქართველოს ნაკრებმა გადამწყვეტ ბრძოლაში რუსეთი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# შაფათავამ ფავორიტს ერთი სეტი გაუძლო



**19 წლის სოფიო შაფათავა** (277) „ტაშკენტის ღია პირველობას" მერვედფინალში დაემშვიდობა, მან 17 წლის პოლონელ **ურსულა რადვანსკასთან** წააგო – 5:7, 2:6. შეგახსენებთ, რომ უზბეკეთის დედაქალაქში სოფიომ კარიერაში პირველად ითამაშა WTA-ს ტურის ძირითად ბადეში და პირველი გამარჯვებაც იზეიმა, ზედიზედ მეორე შეხვედრის მოგება კი მას არ გამოუვიდა. ტურნირის საპრიზო ფონდი 145 ათასი ამერიკული დოლარია.

ურსულა რადვანსკა ჩოგბურთის ელიტის წევრის, **აგნიეშკას** უმცროსი დაა, ბევრის მტკიცებით, იგი უფროს დაზე ნიჭიერია. დღეისათვის ურსულა, რომელიც ახალგაზრდულ რეიტინგში პირველი ჩოგანი იყო, მსოფლიოს კლასიფიკაციაში 126-ე ადგილზეა. მიუხედავად რეიტინგში დიდი სხვაობისა, ქართველმა დიდებულად დაიწყო მატჩი, თავისი მოწოდება მოიგო და პირველი სეტის ბოლომდეც არ დაუკარგავს ინიციატივა, მაგრამ ბოლოსკენ პოლონელმა ერთხელ მაინც შეძლო სოფიოს მოწოდების მოგება – 5:7. როგორც გაირკვა, ეს მომენტი მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა, მეორე სეტში კორტზე ურსულა რადვანსკა დომინირებდა, რომელიც დამსახურებულად გავიდა „ტაშკენტის ღია პირველობის" მეოთხედფინალში. სოფიო 15 სარეიტინგო ქულით დაემშვიდობა ჯერჯერობით მისთვის ყველაზე წარმატებულ ტურნირს, ეს კი მას მოწინავე ორასეულთან მიახლოების საშუალებას მისცემს.

საქართველოს პირველი ჩოგანი, 18 წლის **ანა ტატიშვილი** (188) ამერიკულ ტროაში 50-ათასიან ტურნირში მონაწილეობს. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში ანა მე-7 ნომრად განთესილ უკრაინელ **ტატიანა ლუჟანსკას** (177) დღეს შეხვდება, მანამდე მან ამერიკელ **მედისონ ბრენგლთან** ერთად წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში გაალწია. ქართულ-ამერიკული დუეტი ტურნირზე მე-4 ნომრად განთესეს, გუშინ მათ ბრიტანელი **მარგო კარტერის** და კანადელი **გაბრიელა დაბროვსკის** დუეტი დაამარცხეს – 6:2, 6:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ქალაქ თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური მწუხარებით იუწყება, რომ უეცრად გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მუშაკი, წყალბურთში სპორტის ოსტატი

**ვანო ჯანაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძიუდო. ტურნირის ექო.
ინტერვიუ ჯემალ ნათელაშვილთან


მსოფლიოს სუპერთასის გამარჯვებული ზვიად ხანჯალიაშვილი

# სეზონის ფარდის დაშვებამდე წარმატებებს კიდევ მოველით

**წინა უქმეებზე, როგორც გაუწყეთ, როტერდამმა (ჰოლანდია) ძიუდოისტთა მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებას უმასპინძლა. ამ შეჯიბრებაზე ხუთიდან სამმა ქართველმა ფალავანმა მედლები მოიპოვა - თითო „ოქრო", „ვერცხლი" და „ბრინჯაო".**

**გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი, რომელიც ჩვენს ბიჭებს ჰოლანდიაში ახლდა.**

- ამსტერდამიდან როტერდამამდე ავტობუსით ვიმგზავრეთ. დუშელი ბიჭები დაგვხვდნენ - ჯამბული და ტარიელი (სამწუხაროდ, გვარები არ მახსოვს), რომლებიც კარგა ხანია, იქ მუშაობენ. რადგანაც დაბალი წონის მოჭიდავეები არ წაგვიყვანია, ასპარეზობის პირველ დღეს თავისუფალი ვიყავით და ქალაქის ღირსშესანიშნაობანი დავათვალიერეთ. კვირას კი პაექრობებში ჩვენი გუნდის წევრებიც ჩაებნენ.

სანამ უშუალოდ შეჯიბრებაზე გეტყოდეთ რამეს, მინდა ერთი სასიამოვნო ფაქტიც გავიხსენო - 2001 წელს სწორედ როტერდამში, ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ზვიად ხანჯალიაშვილმა, მინდია ბოდაველმა და დავით ქევხიშვილმა ჩემპიონობა მოიპოვეს, ზაზა კედელაშვილმა და გიორგი გედენიძემ, რომელიც შემდეგ საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად, მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს, ხოლო გიორგი ყიზილაშვილი მესამე ადგილზე გავიდა. ასე რომ, როტერდამი ჩვენთვის იღბლიანი ქალაქია და ეს ამ ტურნირზეც გამოჩნდა.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ლევან წიკლაურმა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ჰოლანდიელი ლექს ნიეკოფი, ლუქსემბურგელი დენის ლეიდერი, ფინელი ანტი ვირტა და ფინალში გავიდა, სადაც გადამწყვეტი ორთაბრძოლა მასპინძელ დოგან ტეკინთან დათმო. საგულისხმოა, რომ ლევანი ჰოლანდიაში გერმანიიდან ჩამოვიდა - ძიუდოისტთა ბუნდესლიგის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობდა. იგი სამბოში წლევანდელი ევროპის ჩემპიონია და ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

ამავე წონაში უნდა ესასპარეზა გრიგოლ შინჯიკაშვილს, მაგრამ წინადღეს ორთქლის აბანოში იყო, ეტყობა, გაციედა და წონის დაკლებაზე უარი თქვა, ამიტომ 90 კილოში სცადა ბედი - არცთუ ურიგოდ. მართალია, პირველ წრეში რუს ჯაფარ მახმადოვთან დამარცხდა, მაგრამ დამამშვიდებელში უპრობლემოდ სძლია ჰოლანდიელ იელე ვან დერ ბერგს, იტალიელ ვალტერ ფაკენტეს, მასპინძელთა კიდევ ერთ წარმომადგენელს (ჰოლანდიელები შეჯიბრებაზე 4-4 ფალავნით გამოდიოდნენ) - გლენ ბოლებოომს და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

100 კილოში ლევან რაზმაძემ ორი შეხვედრა მოიგო, თუმცა, ამდენივე დათმო და საბოლოოდ მეხუთე ადგილი ერგო. ასევე, ორი შეხვედრა წააგო ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე წონა) და თასის გათამაშებას გამოეთიშა. სამაგიეროდ, გვასახელა ზვიად ხანჯალიაშვილმა. სასიამოვნო ის არის, რომ ნახევარფინალში რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავეს ანდრეი ვოლკოვს ჯერ ვაზარი აართვა, შემდეგ კი შებოჭა. გადამწყვეტ პაექრობაში ქართველი ფალავანი გრი ვუისტერსს დაუპირისპირდა. სწორედ ამ სპორტსმენმა მოუპოვა ჰოლანდიელებს პეკინის ოლიმპიადის საგზური, მაგრამ ნიდერლანდელებმა ჩინეთში უფრო გამოცდილი ვან დერ გესტი წაიყვანეს.

ვუისტერსი მოქნილი, ძლიერი, ენერგიული მოჭიდავეა, თუმცა ხანჯალიაშვილმა იოლად მოიგერია მისი შეტევები და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც, რაც ორმაგად სასიხარულოა, რადგან ზვიადი მძიმე ტრავმების შემდეგ ასე ხმაურიანად დაუბრუნდა ტატამს.

**- სეზონის მიწურულს, როცა ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება ჩავლილია, რა მნიშვნელობა ჰქონდა როტერდამის მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებაში მონაწილეობას?**

- როგორც გითხარით, ტრავმების გამო დიდი დრო გაუცდა ხანჯალიაშვილს, ასევე, შინჯიკაშვილსა და ოქრუაშვილს. პირველმა ორმა იმედები გაამართლა, ადამმა კი საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნა.

**- ოქრუაშვილმა ამ ცოტა ხნის წინ სამბისტთა ეროვნულ ჩემპიონატსა და 23 წლის ძიუდოისტთა საქართველოს პირველობაზე იასპარეზა. ხომ არ გადაიღალა?**

- არც ეს არის გამორიცხული. ყოველივეს მიუხედავად, მისგან უკეთეს შედეგს ველოდი.

**- როგორ ფიქრობთ, ხანჯალიაშვილი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა?**

- გერმანელმა ექიმმა, რომელმაც ზვიადს ოპერაცია გაუკეთა, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე სტუმრობისას გვითხრა, რომ ამ კაცს რბენებით თუ დატვირთავთ, ჩათვალეთ, სპორტსმენად აღარ ივარგებსო.

ხანჯალიაშვილს დიდი ხანია, ფეხისა და წელის ტკივილი აწუხებს. ალემანი ექიმის რჩევით, მან უნდა იცუროს, ველოსიპედით იაროს, შტანგებით ივარჯიშოს. სირბილისას მუხლები უზიანდება. მთელი ზაფხული მშობლიურ თელავში ძალოსნობის დარბაზში გაატარა, ფიზიკურად ძლიერია. სხვა გამოსავალი არ გვაქვს - ცურვაზე უნდა ვატაროთ და ტატამზე სპარინგ-პარტნიორებთან პაექრობით სწორი სუნთქვა გამოვუმუშაოთ. ჩვენი თანადგომა არ მოაკლდება. დეკემბერში ზვიადმა ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე უნდა იჭიდაოს. იმედია, მონდომებს და ჩვეულ სპორტულ ფორმას აღიდგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ კარიერაზე დაფიქრება მოუწევს. მჯერა, საქმე აქამდე არ მივა.

**ვაჟა დანელია**

სეოკ. წინასაარჩევნო კამპანია

# შეხვედრა რაგბის კავშირში

საქართველოს რაგბის კავშირი ერთ-ერთი იმ სპორტულ ფედერაციებს შორის, რომლებმაც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატად ძიუდოს ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** წარადგინა. გუშინ მან რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა.

„საქართველოს რაგბის კავშირის მხარდაჭერა გია ნაცვლიშვილისადმი, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. გარდა იმისა, რომ ის უაღრესად დადებითი პიროვნებაა, მასთან ჩვენი კავშირის ხელმძღვანელობას საქმიანი ურთიერთობის გამოცდილებაც აქვს. როცა იგი კახეთის მხარის გუბერნატორი იყო, აქტიურად ვთანამშრომლობდით და რაგბის განვითარებისთვის ამ რეგიონში, რამდენიმე კარგი პროექტი წამოვიწყეთ, თუმცა არ დაგვცალდა, რადგან სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს.

მეორე და ყველაზე მთავარი ისაა, რომ მას სპორტში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ძიუდოს წარმატებები ხომ თვალსაჩინოა. ვფიქრობთ, მას, მენეჯერული ნიჭიდან გამომდინარე, სპორტისთვის ძალიან ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია,"-თქვა შეხვედრის დასაწყისში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ.**

გია ნაცვლიშვილმა მოკლედ გააცნო შეკრებილთ თავისი პროგრამის ძირითადი მიმართულებები, რომელთაგან გამოვარჩევდით განსაკუთრებულ ინტერესს სპორტის სათამაშო სახეობებისადმი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფაქტობრივად ხელახლა შესაქმნელია ინფრასტრუქტურა: სპორტული დარბაზები, საცურაო კომპლექსები და ტყვიის სროლისთვის, სათანადი სტანდარტის ღია ტირი.

*„რაც ყველაზე მთავარია - აღნიშნა გია ნაცვლიშვილმა - შესაქმნელია სპორტული მედიცინის ცენტრი, რომელიც თანამედროვე აპარატურით იქნება აღჭურვილი. ამის გარეშე, საკვირველია, კიდევ როგორ ახერხებენ ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებების მიღწევას. ცხადია, ამას დრო და მაღალი დონის სპეციალისტების მომზადება დასჭირდება.*

*სახელმწიფოს დახმარების გარეშე, შეუძლებელია დღეს სპორტში რაიმე წინსვლას მივაღწიოთ. ამასთან, ცხადია, ვეცდებით აქტიურად ჩავრთოთ სპორტის განვითარების საქმეში კერძო სექტორიც. იმედია, ბიზნესკომპანიები აქტიურად დაგვიჭერენ მხარს. 2010 წლიდან კი ვაპირებთ ოლიმპიური ლატარიის გათამაშებას. ვფიქრობ, ქართული სპორტისთვის ეს ხსნა იქნება. თავად განსაჯეთ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წლიური ბიუჯეტი 700 მილიონი ევროა. აქედან 500 მილიონი ლატარიის გათამაშებიდან შემოსული თანხაა. თუ პროექტი რეალურად ამუშავდა, შესაძლოა, სახელმწიფოაგან დახმარება აღარც დაგვჭირდეს".*

ცალკე თემაა ოლიმპიური კომიტეტისა და რაგბის კავშირის სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები. გამორიცხული არაა, 2016 წელს შვიდკაცა რაგბი ოლიმპიურ თამაშებში ჩართონ. ჩვენს ქვეყანაში კი რაგბი ყველაზე წარმატებულია სათამაშო სახეობებს შორის. IRB-ის პრეზიდენტს **ბერნარ ლაპასტეს** მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მისი პრეზიდენტობის ვადაშივე გახდეს რაგბი ოლიმპიური სახეობა და ამისათვის ძალისხმევას არ იშურებს. წლეულს დეკემბერში IRB-ის კონგრესი გაიმართება, რის შემდეგაც საქართველოს რაგბის კავშირს დეტალურად შემუშავებული გეგმა ექნება - თუ რა ღონისძიებებია გასატარებელი, რათა რაგბი ოლიმპიურ ოჯახს დაუბრუნდეს. სეოკ-ის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, გია ნაცვლიშვილმა რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ზემოაღნიშნული და სხვა პრობლემატური საკითხების ერთობლივად გადასაჭრელად.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ჭადრაკი სხვათა ტოლია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი **გია ნაცვლიშვილი** გუშინ ჭადრაკის ფედერაციას ესტუმრა. მასპინძლობას ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**, ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ მიქაძე** და გენერალური მდივანი **ბეგლარ ჯობავა** უწევდნენ. ჭადრაკი, მოგეხსენებათ, ოლიმპიური სახეობა არ არის, მაგრამ ჩვენში ოდითგან მოსდევს დიდი ტრადიციები და ამიტომაც ქართული ოლიმპიური ცხოვრების ფერხულში ყოველთვის იდგა, - ხმის უფლებაც დამსახურებულად აქვს. ნაცვლიშვილის ვიზიტი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია, მაგრამ სხვაგვარადაც რომ იყოს, სპორტში დასაქმებულ ადამიანს ნამდვილად უნდა აინტერესებდეს, რა ხდება ჭადრაკში და როგორ უნდა შეეწიო მას. გია ნაცვლიშვილს, როგორც ჩანს, კარგად აქვს შეგნებული საკითხის სიღრმე და ამადაც სტუმრობს ყველა სუბიექტს, ვისაც არჩევნებში ხმის უფლება აქვს და არა მარტო მათ - ცალკეულ სპორტსმენებსაც ეხმიანება - ისეთებს, ვისაც რაიმე კვალი დაუტოვებია სპორტში და ფასდაუდებელი კონსულტაციის გაწევა შეუძლია. ჭადრაკს პრობლემებს რა დაულევს - „ლელოს" მკითხველს ყოველივე კარგად მოეხსენება, მაგრამ სასიამოვნო იყო ის მომენტიც, რომ ბატონი გიაც მშვენივრად ყოფილა გათვითცნობიერებული ქართული ჭადრაკის ავანჩავანში და ამაში დიდი წვლილი ჩვენს გაზეთს მიუძღვის. წლებია უკვე, სპორტული გაზეთებიდან მხოლოდ „ლელოს" ვკითხულობ - აღნიშნა სტუმარმა.

შეხვედრაზე ტრადიციულად ითქვა ის, თუ რის გაკეთებას აპირებს გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტობის კანდიდატი. ჭადრაკთან მიმართებაში კი თავისი გამოკვეთილი პოზიცია დააფიქსირა: *„არცთუ დიდი ხნის წინ, როცა კახეთის გუბერნატორი ვიყავი, ძიუდოს გუნდის - "საგარეჯოს" - ანალოგიურად მსურდა საჭადრაკო გუნდი „კახეთი" შემექმნა. მოგეხსენებათ, რომ კახეთის მკვიდრნი არიან ანა მათნაძე, მაკა ფურცელაძე, ბელა ხოტენაშვილი, ქეთი წაწალაშვილი. ძალიან სერიოზული გუნდი იკრიბებოდა და ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე საკმაოდ დიდი ამბიციებით ვაპირებდით გამგზავრებას. ბიუჯეტშიც კი გავითვალისწინე ხარჯები და ერთი უცხოელის დამატებაზეც არ ვიყავი უარს, მაგრამ რატომღაც ამ საქმეს კეთილი ბოლო არ გამოუჩნდა - რაღაც მიზეზთა გამო პროექტი ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ასეთი გუნდის შექმნის სურვილი არ გამნელებია და იმედი მაქვს, რომ იდეა ხორცს შეისხამს".* სათქმელია, რომ ბატონი გიას პოზიციამ და ცოდნამ, თუ რა ხდება ჩვენს ჭადრაკში და რა გზას უნდა დავადგეთ ვითარების გამოსასწორებლად, მასპინძელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ქართული ჭადრაკის მესვეურებმა სტუმარს სთხოვეს იმ საკითხში დახმარება, რაც ამ სახეობის განვითარებისთვის, მათი აზრით, უმთავრესია - გათანაბრებული იყოს ჭადრაკი სხვა ოლიმპიურ სახეობებთან და მიღწეული წარმატებები ისევე დაფასდეს, როგორც ოლიმპიურ სახეობებში ნაჩვენები შედეგები. ნაცვლიშვილმა აბსოლუტური სოლიდარობა გამოუცხადა მასპინძლებს და აღუთქვა, თუკი პრეზიდენტი გახდება, ამ წინადადებას ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილავს. მისი აზრით, ჭადრაკი და რაგბი


გია ნაცვლიშვილი

ნამდვილად ღირსია გამორჩეული ყურადღებისა: - *"ჩემთვის მაია ჩიბურდანიძე და ნონა გაფრინდაშვილი ისეთივე სიმაღლის სპორტსმენები, ოლიმპიური ჩემპიონები არიან, როგორიც სხვა სახეობის ლეგენდარული ჩემპიონები. სამწუხაროა, რომ ჭადრაკი ოლიმპიურ სახეობად არ არის აღიარებული და საჭადრაკო სამყარო მხოლოდ საკუთარი ოლიმპიადის ჩატარებით შემოიფარგლება. წარმოიდგინეთ, სხვაგვარად რომ ყოფილიყო, რამდენი ოლიმპიური მედალი შეგვემატებოდა ქართველებს... ოლიმპიური ქარტიით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არ გვაქვს ჭადრაკის ოლიმპიურ სახეობად აღიარების უფლება, მაგრამ გპირდებით, რომ სტატუსით ოლიმპიურ სახეობებთან გათანაბრებაში პირველი მხარდამჭერები ვიქნებით".*

ასეთ ოპტიმისტურ და საქმიან ნოტაზე დასრულდა შეხვედრა და თუკი დანაპირები შესრულდა, ქართული ჭადრაკის მომავალი ნათელი გახდება; ამის მერე კი იმ დიდებასაც დავიბრუნებთ, რაც სულ ცოტა ხნის წინ გაგვაჩნდა ქართველებს.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ფილ ჯექსონი შეიშალა?




"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** ინტერვიუ მისცა გაზეთ "ლოს ანჯელეს თაიმსს", სადაც მკითხველებს ერთი საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ მოუყვა. კერძოდ, ლეგენდარულმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ მისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **ლამარ ოდომს** კარგ სათადარიგო მოთამაშედ აქცევს.

*"მე მგონი, თავი რაღაცას ჩამოარტყა და სავარაუდოდ, ჭკუიდან გადავიდა, რადგან ნორმალური ადამიანი ასეთ რამეს არ იტყოდა"*, - არ დააყოვნა ოდომის პასუხმა.

შეგახსენებთ, რომ მთელი თავისი კარიერის განმავლობაში, ოდომს არასოდეს შეუსრულებია "მეექვსე მოთამაშის" როლი.

■ ■ ■

ფილ ჯექსონის ინტერვიუს დავუბრუნდეთ. "ლეიკერსის" დამრიგებელი ამბობს, რომ მისი გუნდის წამყვანი კალათბურთელები - **კობი ბრაიანტი** და **პაუ გასოლი** რამდენიმე საწვრთნელ შეხვედრას გამოტოვებენ. ეს იმით არის განპირობებული, რომ ამ მოთამაშეებს პეკინის ოლიმპიადის დროს რთული გრაფიკი ჰქონდათ და ზაფხულში სრულფასოვანი დასვენების საშუალება არ მიეცათ.

გუნდის ბოლო მეცადინეობის დროს, ბრაიანტი და გასოლი ერთმანეთში "ერთი-ერთზე" თამაშობდნენ, ამ დროს კი დანარჩენი გუნდი აქტიურად ვარჯიშობდა.

*"ამ კვირას კობისა და პაუს ფიზიკურ მდგომარეობას დავაკვირდები და ამის შემდეგ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას. შესაძლოა, მათ რამდენიმე შეხვედრაში დასვენების საშუალება მივცე"*, - აცხადებს ფილ ჯექსონი.

"ლეიკერსი" ახალი სეზონისთვის მზადების ციკლში პირველ საწვრთნელ შეხვედრას 7 ოქტომბერს გამართავს.

# მაკგრეიდის დაბრუნება ორი თვით გადაიდო



ჭიანურდება "ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერის **ტრეისი მაკგრეიდის** ტრავმის სარეაბილიტაციო პროცესი. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა გასული სეზონის ბოლოს მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ამ დროისთვის უკვე უნდა განეახლებინა ვარჯიშები. მაგრამ ირკვევა, რომ ტი-მაკს სხვა დაზიანებაც ჰქონია. კერძოდ, მხრის კუნთის ძლიერი დაჭიმულობა აქვს და მის მკურნალობას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება. 2008-09 წლების სეზონის დასრულების შემდეგ კი ტრეისი მორიგ ოპერაციას გაიკეთებს.

მაკგრეიდის მთელი კარიერის განმავლობაში ქრონიკულად არ უმართლებს. მას ხელს არ ყწყობს ჯანმრთელობა საიმისოდ, რომ **ლებრონ ჯეიმსის ან კობი ბრაიანტის** დონეს მიაღწიოს. არადა, ტი-მაკი უაღრესად ნიჭიერი კალათბურთელია, რომელსაც მოედანზე თითქმის ყველაფრის გაკეთება შეუძლია. მან დიდი ხანია დაამტკიცა, რომ მატჩში 30 ქულის დაგროვებასთან ერთად, პარტნიორების ზუსტი გადაცემებით მომარაგება და ფარქვეშ სასარგებლო თამაშიც შეუძლია. იმედია, კარიერაში მე-12 სეზონისთვის მაკგრეიდის ძალა და ჯანმრთელობა ეყოფა.

■ ■ ■

წარუმატებლად დაიწყო ახალი სეზონი "ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების წამყვანმა მცველმა **ხუან კარლოს ნავარომ**. სამშაბათის ვარჯიშის დროს, კალათბურთელმა მარცხენა ფეხის კუნთი გაიწყვიტა და ექიმების ვარაუდით, დაახლოებით ორ კვირას გამოტოვებს.

ასე რომ, ამ ზაფხულს "ბარსელონის" მთავარი შენაძენი ესპანეთის ჩემპიონატის პირველ სამ ტურს დააკლდება. კერძოდ, ნავაროს ვერ ვიხილავთ "ხუვენტუდის", "პამესასა" და "მურსიასთან" შეხვედრებში.

2008-09 წლების სეზონში ესპანელმა მცველმა ერთი თამაშის ჩატარება მოასწრო, რომელიც "ბარსელონისთვის" უიღბლო გამოდგა. ქვეყნის სუპერთასის ნახევარფინალში კატალონიელებმა 70:73 წააგეს "სარაგოსასთან". ნავარომ ამ შეხვედრაში 30 წუთი ითამაშა და 16 ქულა დააგროვა.

რაგბი

## იაპონია მსოფლიოს თასს უმიზნებს

იაპონიამ რაგბის საერთაშორისო კავშირში (IRB) 2015 და 2019 წლების მსოფლიოს თასის ჩატარებაზე ოფიციალური განაცხადი გააკეთა.

*"მსოფლიოს თასის მასპინძლობა არა მხოლოდ იაპონიისთვის, არამედ მთელი აზიისთვის იქნება სასარგებლო, პირველ რიგში, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მხრივ. ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ტურნირის ჩატარება სრულად წარმოაჩენს იაპონური რაგბის პოტენციალს"*, - განაცხადა იაპონიის რაგბის კავშირის თავმჯდომარემ **ნობი მაშიმომ**.

იაპონია 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობაზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ IRB-იმ ახალ ზელანდიას მიანიჭა უპირატესობა. სამაგიეროდ, აზიელები მომდევნო ტურნირის ორგანიზებისთვის ბრძოლაში ფავორიტები არიან. მათ გარდა, 2015 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობაზე პრეტენზიას სამხრეთ აფრიკა, ინგლისი, იტალია და შოტლანდია აცხადებენ.

ჰოკეი

## ჩიკაგომ რუსი მეკარე გაუშვა

ორშაბათს, "ჩიკაგო ბლეკ ჰოქსის" ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა ცნობილი რუსი მეკარე **ნიკოლაი ხაბიბულინი**. გუშინ კი გაირკვა, რომ ამ მაღალანაზღაურებადი გოლკიპერის აყვანა ჰოკეის ეროვნული ლიგის არც ერთმა კლუბმა არ მოისურვა. ახლა, "ჩიკაგოს" შეფობას ორი ვარიანტი დარჩა: მას შეუძლია გამოისყიდოს ჰოკეისტის კონტარქტი და ამ შემთხვევაში ხაბიბულინის წლიური ხელფასის ორი მესამედის გადახდა მოუწევს. მეორე ვარიანტის მიხედვით კი შესაძლოა, მეკარე ფარმ-კლუბში გაუშვას.

რუსს "ჩიკაგოს" ოთხწლიანი კონტრაქტის ბოლო წელი აქვს სათამაშო. ხელშეკრულების თანახმად, ხაბიბულინმა მომავალ სეზონში 6.75 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს.

კალათბურთი

## არგენტინა ფერნანდესს იტოვებს

არგენტინის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერხიო ფერნანდესი** გუნდთან მუშაობას გააგრძელებს. ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით არგენტინის ეროვნულმა გუნდმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

*"ფერნანდესმა რთულ სიტუაციაში ბრწყინვალე სამუშაო გასწია. თუ ნაკრების მიერ ნაჩვენებ შედეგებს გავითვალისწინებთ, ახალი მწვრთნელის ძებნის საჭიროება არ არსებობს. სერხიოს უკვე შევთავაზეთ კონტრაქტის გაგრძელება"*, - ამბობს არგენტინის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ხერმან ვასარო**.

პეკინის ბრინჯაოს გარდა, ფერნანდესმა არგენტინის ნაკრები ამერიკის ჩემპიონატში (2007) მეორე ადგილზე გაიყვანა, 2006 წელს კი გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა შეძლო.

ფორმულა 1

## უილიამსი წამგებიანია

ფორმულა 1-ის გუნდმა "უილიამსმა" დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 2006 და 2007 წლების სეზონებში გუნდის საერთო ზარალმა 88 მილიონი დოლარი შეადგინა. უკანასკნელად, სერ **ფრენკ უილიამსის** გუნდი მომგებიანი 2005 წელს იყო - მაშინ საჯინიბოს შემოსავალმა 60 მილიონი შეადგინა. ახლა კი ბრიტანული საჯინიბო იძულებულია, კრედიტის აღებაზე იზრუნოს.

"უილიამსი" კრედიტს მიიღებს, მაგრამ აუდიტორი **გრანტ ტორნსონი** ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს: *"იმედი გვაქვს, "უილიამსს" საკმარისი რესურსი გააჩნია იმისთვის, რომ მრავალწლიანი პროგრამის რეალიზება დაასრულოს და უახლოეს მომავალში სტაბილურობას მიაღწიოს"*.

შეგახსენებათ, რომ "უილიამსი" ჩემპიონატის ერთადერთი გუნდია, რომელსაც მსხვილი ავტომწარმოებლებისა და კერძო პირადი ინვესტორების მხარდაჭერა არ გააჩნია.

კრივი

# ოქროს ბიჭმა წასვლა გადაიფიქრა?



2008 წლის 6 დეკემბერს, ლას ვეგასის MGM Grand-ის არენაზე დიდი კრივი გაიმართება: ამერიკული კრივის ლეგენდა **ოსკარ დე ლა ჰოია** ფილიპინელ **მენი პაკიაოს** შეხვდება. წინასწარ არის ცნობილი, რომ დე ლა ჰოიასთვის ეს კარიერის ბოლო ჩხუბი იქნება. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ "ოქროს ბიჭმა" შესაძლოა, გადაიფიქროს პროფესიული კრივიდან წასვლა.

დე ლა ჰოიას საპრომოუტერო კომპანია Golden Boy Promotions-ის გენერალური დირექტორი **რიჩარდ შაფერი** აცხადებს, რომ შესაძლოა ოსკარი 2009 წელს IBF-ის ვერსიით პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონ **რიკი ჰატონს** შეხვდეს.

*"იმ შემთხვევაში, თუ რიკი ჰატონი პოლი მალინიაჯის სძლევს, ხოლო თავის მხრივ, დე ლა ჰოია პაკიაოს დაამარცხებს, დე ლა ჰოია-ჰატონის ბრძოლის პერსპექტივა სავსებით ლოგიკურად მოჩანს. ჩემი და კრივის ბევრი გულშემატკივრის ოცნება ამ ბრძოლის "უემბლის" სტადიონზე ჩატარებაა. ხანდახან ოცნება რეალობად იქცევა ხოლმე.*

*დარწმუნებული ვარ, რომ ოსკარი პაკიაოსთან ბრძოლის შემდეგ კარგად დაფიქრდება თავის საკრივო მომავალზე. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იგრძნობს თავს დე ლა ჰოია დეკემბრის ბრძოლის შემდეგ. გამორიცხული არ არის, მან მომავალ წელს კიდევ რამდენიმე ბრძოლა ჩაატაროს"*, - ამბობს რიჩარდ შაფერი.

ფორმულა 1

# უიქენდი შეიცვლება

"მაკლარენის" აღმასრულებელი დირექტორი **მარტინ უიტმარში** აცხადებს, რომ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ სარბოლო უიქენდის პირველი დღე მაყურებლებისთვის უინტერესოდ მიმდინარეობს.

*"გუნდის შეფები მთელი სარბოლო უიქენდის ფორმატს განვიხილავთ. დღეისათვის, პარასკევი ტესტებისთვის იქნება განკუთვნილი. სინამდვილეში კი ამ თავისუფალი ვარჯიშის დროს გუნდები რბოლისთვის ემზადებიან. ბუნებრივია, რომ ისინი გამოყოფილ დროს სწორედ ასეთი ფორმით იყენებენ.*

*ჩემი აზრით, შესაძლებელია პარასკევი მაყურებლისთვის უფრო საინტერესო გავხადოთ. გუნდებს დაახლოებით 45 წუთი უნდა გამოვუყოთ რბოლისთვის მოსამზადებლად, დანარჩენი დრო კი შეიძლება ახალი ტიპის მყარი საბურავების გამოცდას დაეთმოს, მოეწყოს შეჯიბრება, სადაც საუკეთესო დროის მქონე პილოტი მილიონი დოლარით დაჯილდოვდება. რაღაც განსაკუთრებული უნდა მოვიფიქროთ, რაც რბოლისგან განსხვავებული იქნება.*

*ამ აზრს ბევრი ჩემი კოლეგა ეთანხმება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ღია დისკუსიას ვაგრძელებთ და უკვე იაპონიის ან ჩინეთის ეტაპისთვის კონკრეტული ვარიანტები გვექნება მომზადებული. ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციასთან კონსულტანციის შემდეგ, ეს წინადადებები ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას გადაეგზავნება და იმედია, იქ ცვლილებას დაამტკიცებენ"*, - მოჰყავს უიტმარშის სიტყვები ჟურნალ Autosport.

ჩოგბურთი



# მარიას ახალი ბოიფრენდი

ამერიკული პრესის ინფორმაციით, რუს ჩოგბურთელ **მარია შარაპოვას** ახალი ბოიფრენდი ჰყავს.

მარია ტელეკომპანია NBC-ის სპორტული დირექტორის **დიკ ებერსოლის** ვაჟს - **ჩარლის** ხვდება. ჩარლი ებერსოლი პროდიუსერული საქმიანობით არის დაკავებული. უახლოეს პერიოდში ეკრანებზე გამოვა დოკუმენტური ფილმი, რომელიც მან ცნობილ მსახიობ **ეშტონ კატჩერთან** ერთად შექმნა.

ჭორები შარაპოვასა და უმცროს ებერსოლს შორის რომანის შესახებ, მას მერე გაჩნდა, რაც ისინი ერთად გამოჩნდნენ ძმები **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო აუქციონზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სხვადასხვა

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## A ჯგუფი

### კლუჟი–ჩელსი 0:0

**კლუჟი:** სტანჩიოუ, ტონი, გალიასი, კადუ, ალვარო პერეირა, მურეშანი, დანი, დუბარბიერი, კონე, ტრიკა (89. დიდი), კულიო.

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ტერი, ალექსი, ბრიჯი, ობი მიკელი, კალუ (46. ანელკა), ბალაკი, ლემპარდი, მალუდა (74. დი სანტო), დროგბა (58. ბელეტი).

**არბიტრი:** მაიერი (გერმანია)

**მაყურებელი:** 22 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** კლუჟი

**პირველი ჯარიმა:** ჩელსი

**პირველი კუთხური:** ჩელსი

**პირველი გაფრთხილება:** ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 124(2) | დარტყმა | 11(3) |
| 14 | ჯარიმა | 16 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 3 | ოფსაიდი | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 36% | ბურთის ფლობა | 64% |

### ბორდო–რომა 1:3

**ბორდო:** ვალვერდე, ჟურიეტი (78. გუფრანი), დიავარა, შალმე, ენრიკე, ა. დიარა, ფერნანდო, ობერტანი (40. პლანუსი), გურკუფი, იუსი (37. ვენდელი), შამახი.

**რომა:** დონი, სისინიო, პანუჩი, მექსე, რიისე, დე როსი, აკვილანი (63. ოკაკა ჩუკა), ტადეი, მენესი (51. ჟულიო ბაპტიშტა), პეროტა, ვუჩინიჩი (85. ბრიგი).

**გოლები:** 1:0 გურკუფი (18), 1:1 ვუჩინიჩი (64), 1:2 ჟულიო ბაპტიშტა (71), 1:3 ჟულიო ბაპტიშტა (83)

**გაძევება:** ენრიკე (36. ბორდო)

**არბიტრი:** უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 30 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა:** ბორდო

**პირველი კუთხური:** ბორდო

**პირველი გაფრთხილება:** ბორდო

| | | |
|---|---|---|
| 7(2) | დარტყმა | 6(3) |
| [illegible] | ჯარიმა | 19 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 3 | ოფსაიდი | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 2. კლუჟი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 4. ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

## B ჯგუფი

### ანორთოსისი–პანათინაიკოსი 3:1

**ანორთოსისი:** ბეკაი, ა. კონსტანტინუ, კაცავაკისი, ნიკოლაუ, ლეივაკაბესი, დელასი, დობრაშინოვიჩი, ლაბანი, პაულო კოშტა (46. ბარდონი), სავიო (82. პანაგი), სოსინი (64. მოჰამედი).

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ვინტრა, სარიეგი, გუმასი, სპიროპულოსი, ჟილბერტო სილვა (80. ციოლისი), მუნი (67. სოუზა), მატოსი, კლეიტონი, სალპინგიდისი, ხრისტოდულოპულოსი (72. ივანშიტცი).

**გოლები:** 1:0 სარიეგი (11-საკ. კარში), 2:0 დობრაშინოვიჩი (15), 2:1 სალპინგიდისი (28-პენ), 3:1 მოჰამედი (78)

**არბიტრი:** ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

**მაყურებელი:** 20 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ანორთოსისი

**პირველი ჯარიმა:** პანათინაიკოსი

**პირველი კუთხური:** პანათინაიკოსი

**პირველი გაფრთხილება:** ანორთოსისი

| | | |
|---|---|---|
| 6(3) | დარტყმა | 7(1) |
| 21 | ჯარიმა | 24 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 2 | ოფსაიდი | 0 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 34% | ბურთის ფლობა | 66% |

### ინტერი–ვერდერი 1:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი (19. ბურდისო), ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი (72. კუარეშმა), მუნტარი, კამბიასო, ადრიანო (78. კრუსი), ბალოტელი, იბრაჰიმოვიჩი.

**ვერდერი:** ვიზე, პრიოდლი (86. ფრიტცი), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ფრინგსი, ოზილი (82. დ. იენსენი), დიეგო, როზენბერგი (78. ჰუნტი), პისარო.

**გოლები:** 1:0 მაიკონი (14), 1:1 პისარო (62)

**არბიტრი:** მიხელი (სლოვაკეთი)

**მაყურებელი:** 40 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ვერდერი

**პირველი ჯარიმა:** ინტერი

**პირველი კუთხური:** ინტერი

**პირველი გაფრთხილება:** ვერდერი

| | | |
|---|---|---|
| 19(6) | დარტყმა | 17(7) |
| 17 | ჯარიმა | 17 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 4 | ოფსაიდი | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანორთოსისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 1. ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

## C ჯგუფი

### შახტარი–ბარსელონა 1:2

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, იშჩენკო, ჩიგრინსკი, იშჩენკო, ჰუბშმანი, დულიაი (90+3. ლევანდოვსკი), ფერნანდინიო, ილსინიო (86. ვილიანი), ბრანდაო, ლუიშ ადრიანო (72. სელეზნიოვი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანი ალვეში, პიკე, მარკესი, პუიოლი, ს. კეიტა (81. გუდიონსენი), ჩავი, იაია ტურე, ინიესტა, ანრი (60. მესი), ეტო'ო (74. კრკიჩი).

**გოლები:** 1:0 ილსინიო (45), 1:1 მესი (87), 1:2 მესი (90+4)

**არბიტრი:** უები (ინგლისი)

**მაყურებელი:** 25 000



სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბარსელონა

**პირველი ჯარიმა:** შახტარი

**პირველი კუთხური:** შახტარი

**პირველი გაფრთხილება:** ბარსელონა

| | | |
|---|---|---|
| 9(3) | დარტყმა | 13(5) |
| 29 | ჯარიმა | 12 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 0 | ოფსაიდი | 2 |
| 4 | გაფრთხილება | 4 |
| 31% | ბურთის ფლობა | 69% |

### სპორტინგი–ბაზელი 2:0

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, აბელი, ანდერსონ პოლგა, ტონელი, გრიმი, მიგელ ველოზო, ჟოაო მუტინიო, როშემბაკი (46. ვუკჩევიჩი), რომანიოლი (87. პერეირინია), დერლეი, ელდერ პოშტიგა (72. იანიკი).

**ბაზელი:** კოსტანსო, ზანი, აბრაჰამი, ფერატი, საფარი, ჰუგელი, კარლიტოსი, ჟელაბერი (60. ერგიჩი), გიასულა, ჩიპერფილდი (82. პეროვიჩი), შტრელერი (79. მუსტაფი).

**გოლები:** 1:0 ზანი (55-საკ. კარი), 2:0 დერლეი (86)

**არბიტრი:** რიცოლი (იტალია)

**მაყურებელი:** 20 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** სპორტინგი

**პირველი ჯარიმა:** სპორტინგი

**პირველი კუთხური:** სპორტინგი

**პირველი გაფრთხილება:** სპორტინგი

| | | |
|---|---|---|
| 20(2) | დარტყმა | 9(2) |
| 13 | ჯარიმა | 13 |
| 10 | კუთხური | 7 |
| 4 | ოფსაიდი | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 31 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. შახტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 2. სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

## D ჯგუფი

### ლივერპული–ეინდჰოვენი 3:1

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, ფაბიო აურელიო, ჩაბი ალონსო, კუიტი, რიერა (68. ბენაიოუნი), ჯერარდი (81. ბაბელი), კინი (75. ლუკასი), ფერნანდო ტორესი.

**ეინდჰოვენი:** ისაქსონი, მარსელისი, ბრეშე (46. პიტერსი), სალსიდო, კრომკამპი, კულინა, მენდესი (76. დჟუდჩაკი), სიმონსი, ვუიტენსი (60. კოვენმანსი), ბაკალი, ამრაბატი.

**გოლები:** 1:0 კუიტი (4), 2:0 კინი (34), 3:0 ჯერარდი (76), 3:1კოვერმანსი (78)

**არბიტრი:** ბრიხი (გერმანია)

**მაყურებელი:** 45 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ლივერპული

**პირველი ჯარიმა:** ლივერპული

**პირველი კუთხური:** ლივერპული

**პირველი გაფრთხილება:** ეინდჰოვენი

| | | |
|---|---|---|
| 15(6) | დარტყმა | 10(2) |
| 8 | ჯარიმა | 14 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 1 | ოფსაიდი | 6 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

### ატლეტიკო–მარსელი 2:1

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, პერეა, ჰეიტინგა, უიფალუში, პერნია, მაქსი როდრიგესი (80 ბანეგა), რაულ გარსია, პაულო ასუნსაო, მიგელი (80. ლუის გარსია), სინამა-პონგოლე (67. მანიშე).

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჰილტონი, ერბატი (46. ზუბარი), ტაივო, ზიანი, კანა, ბენ. შეირუ, ვალბუენა (76. ბ. კონე), ბენ არფა (51. ზენდენი), ნიანგი.

**გოლები:** 1:0 აგუერო (4),

**არბიტრი:** ოვრებო (ნორვეგია)

**მაყურებელი:** 50 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ატლეტიკო

**პირველი ჯარიმა:** ატლეტიკო

**პირველი კუთხური:** ატლეტიკო

**პირველი გაფრთხილება:** მარსელი

| | | |
|---|---|---|
| 16(7) | დარტყმა | 11(2) |
| 16 | ჯარიმა | 19 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 3 | თამაშგარე | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3. მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 4. ეინდჰოვენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### იტალიის თასი

| | |
|---|---|
| ბოლონია-ასკოლი | 1:0 |
| ლაციო-ატალანტა | 2:0 |
| ტორინო-ლივორნო | 2:2, დ.დ. 3:2 |

### გერმანია

#### რეგიონალლიგა (ჩრ)

| | |
|---|---|
| ობერნოილანდი-ხემნიცი | 1:0 |

### სლოვაკეთის თასი

| | |
|---|---|
| დოლნი-სლოვანი | 0:2 |
| ლიპანი-დ. სტრედა | 0:1 |

### რუსეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| სიბირი-საკ მოსკოვი | 1:1 |
| ვიტიაზი-სკა (რ) | 2:1 |
| ბალტიკა-კამაზი | 3:0 |

### ჩეხეთის თასი

| | |
|---|---|
| პიშეკი-ტეპლიცე | 1:4 |
| სლოვაცკო-ბრნო | 0:0, პენ. 4:3 |

### პოლონეთი

#### II ლიგა

| | |
|---|---|
| კორონა-ლეჩნა | 1:0 |

### უნგრეთის თასი

| | |
|---|---|
| პასკი-პეჩი | 0:1 |
| ნირედიაზა-ვაცი | 3:0 |
| ფერენცვაროში-ბაკტალორ | 0:3 |
| დიორი-ჰალადაში | 4:0 |
| შიოფოკი-ბუდაორში | 1:2 |
| კაპოშვარი-უიპეშტი | 2:4 |
| ვაშაში-ბოჩი | 1:1 |
| კეჩკემეტი-ჰონვედი | 2:3 |
| ვიდეოტონი-რეაკ | 4:0 |
| ლომბარდი-მტკ | 2:2 |
| დიოშდიორი-დებრეცენი | 4:1 |
| ზალაეგერშეგი-დუნაუივორსი | 5:0 |

### იაპონია

| | |
|---|---|
| ურავა-კიოტო | 2:2 |
| გამბა-კაშივა | 2:1 |
| კაშიმა-ომიია | 2:0 |

## მინი ფეხბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ეგვიპტე-გვატემალა | 0:1 |
| ესპანეთი-ირანი | 3:3 |
| არგენტინა-ჩინეთი | 5:0 |
| ურუგვაი-ლიბია | 3:3 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 6:3 |

| | |
|---|---|
| ბარისი-ცსკა | 4:2 |
| ლადა-ამური | 3:0 |
| ნეფტიხიმიკი-სიბირი | 0:0 |
| ხიმიკი-ატლანტი | 1:4 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 4:3 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| კიეკო-ლუკო | 6:0 |
| ტპს-კერპეტი | 2:2 |

## ჩოგბურთი

### ATP. მეცი

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-აკასუსო | 6:2, 6:2 |
| შტეპანეკი-ბენეტო | 6:3, 6:3 |
| სეპი-მანარინო | 4:6, 2:6 |
| კლემანი-დე ვოესტი | 6:4, 2:6, 5:7 |
| გულბისი-ტიპსარევიჩი | 4:6, 4:6 |
| ლოდრა-ფ. ლოპესი | 7:6, 6:7, 6:3 |
| კარლოვიჩი-მოია | 3:6, 6:7 |

### ATP. ტოკიო

| | |
|---|---|
| მელცერი-შტადლერი | 6:2, 6:3 |
| შუტლერი-ლი | 6:3, 6:7, 6:2 |
| ფერერი-ლევინე | 6:4, 4:6, 6:1 |
| ბერდიხი-კარანუშიჩი | 6:3, 6:4 |
| სუძუკი-ბოლელი | 7:6, 4:6, 7:6 |
| იუჟნი-ჩიპოლა | 6:2, 6:2 |
| ნიშიკორი-გარსია ლოპესი | 6:4, 6:4 |
| რობრედო-სირიანი | 6:2, 6:2 |
| ნიემინენი-მამიტი | 7:6, 6:4 |
| ცონგა-რეინოლდსი | 4:6, 7:6, 6:4 |
| ტროიცკი-ოდესნიკი | 6:2, 6:1 |
| გასკე-სლანარი | 6:4, 6:2 |
| კუერი-დელიჩი | 6:7, 3:6 |
| როდიკი-მინარი | 7:6, 6:7, 7:6 |
| დელ პოტრო-სელა | 7:5, 6:0 |
| გონსალესი-ლუ | 1:6, 7:5, 6:3 |

### WTA. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| ზვონარევა-ჰანტუხოვა | 6:3, 6:2 |
| კუზნეცოვა-შნიდერი | 4:6, 6:4, 5:7 |
| ა. რადვანსკა-აზარენკა | 1:6, 5:7 |
| ს. უილიამსი-ნა ლი | 6:0, 1:6, 4:6 |
| დემენტიევა-ბამერი | 6:1, 6:4 |

### WTA. ტაშკენტი

| | |
|---|---|
| ლისიცკი-პანოვა | 7:5, 6:1 |
| რიბარიკოვა-მანასიევა | 6:1, 7:5 |
| უ. რადვანსკა-შაფათავა | 7:5, 6:2 |
| ოლარუ-პალკინა | 2:6, 6:3, 6:2 |

### WTA. ტოკიო

| | |
|---|---|
| მედინა გარიგესი-ჩანი | 3:6, 6:3, 6:3 |
| კანეპი-ვიკმაიერი | 3:6, 6:1, 6:0 |
| ტანასუგარნი-პინი | 6:2, 6:2 |
| პეერი-გაიდოშოვა | 7:5, 1:6, 7:6 |
| სტოსური-კინგი | 6:2 უარი |

# TV სპორტი

## 2 ოქტომბერი. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

08:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ატლეტიკო-მარსელი.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. კლუჟი-ჩელსი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპორტინგი-ბაზელი.
14:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-ბარსელონა.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:35 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ინტერი-ვერდერი.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
22:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-ეინდჰოვენი.
00:20 საფეხბურთო კლუბი.
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 სასტვენი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-დეპორტივო.
08:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
10:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-დინამო.
12:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბორდო-რომა.
13:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპორტინგი-ბაზელი.
15:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
15:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ატლეტიკო-მარსელი.
17:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ანორთოსისი-პანათინაიკოსი.
19:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-ეინდჰოვენი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფენერბაჰჩე-დინამო.
22:15 ფეხბურთი. უეფას თასი. II რაუნდი. II მატჩები. ციურიხი-მილანი (LIVE).
00:15 სპორტკლუბი.
00:35 ფეხბურთი. უეფას თასი. II რაუნდი. II მატჩები. გიმარაეში-პორტსმუტი (LIVE).
01:50 სპორტდოსიე.
02:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. რივერ პლეიტი-დეფენსორი (LIVE).
04:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ჯენოა.
06:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ჩელსი.

### EUROSPORT

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 სნუკერი. მასტერსი. IV დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
14:00 ცხენოსნობა. სუპერლიგა.
15:00 სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი.
15:45 სნუკერი. მასტერსი. IV დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. გერმანია.
00:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთის რალი.
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. II მატჩების მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ირანი. ბრაზილია.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
16:30 სპიდვეი. ლატვიის გრანპრი.
17:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-პარაგვაი. ბრაზილია (LIVE).
19:00 ახალი ამბები.
19:30 მინი-ფეხბურთი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-იტალია. ბრაზილია (LIVE).
21:00 რალი. IRC-ის ახალი სერია. სან რემო. იტალია.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
05:00 ახალი ამბები.

# დიადი ლოთის ოდისეა



(დასაწყისი წინა ნომერში)

## აღდგენითი პროცესი

**გაზა** 16 თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. ამ პერიოდში მან ტრავმირებულ მუხლზე სამი ოპერაცია გადაიტანა. მაგრამ უიღბლობა გრძელდებოდა. 1991 წლის ოქტომბერში მან კიდევ ერთხელ დაიზიანა მუხლი, ოღონდ ამჯერად არა საფეხბურთო მინდორზე, არამედ ღამის კლუბში, როცა მთვრალმა დებოში ატეხა და თავად დარჩა დაზარალებული. ამან ფეხბურთელის გამოჯანმრთელება კიდევ დიდი ხნით გადადო... თუმცა პოლი დანებებას არ აპირებდა, პირიქით, მონდომებით, მიზანდასახულად ვარჯიშობდა და როგორც იქნა, 1992 წლის მაისში იტალიური „ლაციოს" ფიზიკური მომზადების სპეციალისტთა ტესტი გაიარა. შედეგად, განხორციელდა ტრანსფერი „ტოტენჰემიდან" „ლაციოში", რომელიც იტალიურ გუნდს 5.5 მილიონი ფუნტი დაუჯდა.

## რომში

გასკოინმა „ლაციოში" სადებიუტო მატჩი 1992 წლის სექტემბერში ჩაატარა - რომში „ჯენოას" წინააღმდეგ. იტალიაში ინგლისელის კარიერა არასტაბილურად ვითარდებოდა და გაზამ აპენინებზე გამოსვლის პერიოდში ვერაფრით მოახერხა საკუთარი თამაშის პოვნა.

1993 წლის დეკემბერში, საშობაო არდადეგებიდან რომში ბარძაყის ტრავმით დაბრუნდა. პოლი აცხადებდა, რომ ეს დაზიანება „საწოლიდან წამოდგომისას" მიიღო. 1994 წლის აპრილში მან უხერხულად შეასრულა ფეხებში ვარდნა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა **ალესანდრო ნესტას** წინააღმდეგ და ფეხი მოიტეხა. ნესტამ ისე განიცადა ეს ინციდენტი, რომ რეგულარულად დადიოდა საავადმყოფოში გაზას მოსანახულებლად. ამ ტრავმამ ის კიდევ ერთი წლით ჩამოაშორა ფეხბურთს. ნახევარი წელი ინგლისში იმკურნალა, მეორე ნახევარი - იტალიაში. მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვაჩვენა, ძველი პოლ გასკოინის დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

„ლაციოში" პოლის თამაში ბევრით არაფრით ყოფილა გამორჩეული. ამასთან, გაზას იტალიური ცხოვრების წესისთვის ალღოს აღებაც გაუჭირდა. პოლი მუდმივად გაზეთების პირველ გვერდებზე ჩნდებოდა, სადაც მისი სკანდალური ინციდენტები იყო აღწერილი. მაგალითად, გაზას შეეძლო იტალიის ტელევიზიის პირდაპირი ეთერის დროს, უშუალოდ კამერის წინ დაებოყინებინა. მსგავსი გამოხდომები ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ ის მაინც ვერ გახდა „ლაციოს" ვარსკვლავი, გაზას ამ კლუბის ფანატებს შორის საკულტო სტატუსი ჰქონდა და ისინი დღესაც აღმერთებენ გასკოინს.



## გაზას აღმაფრენა

1995 წლის 3 ივლისს, 15-თვიანი პაუზის შემდეგ, პოლი ისევ გამოჩნდა ინგლისის ნაკრებში. გაზა „უემბლიზე" იაპონიის ნაკრების წინააღმდეგ შეცვლაზე შევიდა მოედანზე. შემდეგ გასკოინი გლაზგოში გაფრინდა, სადაც **უოლტერ სმიტის** დაუმარცხებელ „რეინჯერსთან" გააფორმა კონტრაქტი.

თავიდან „რეინჯერსში" გაზას კარიერა არც ისე კარგად აეწყო, მაგრამ ზამთრის მოახლოებასთან ერთად ინგლისელმა ფეხბურთელმა ძველი ჯადოქრობა გაიხსენა. სეზონის მეორე ნაწილში გასკოინი ძველებურად ბრწყინავდა. იმ სეზონის ყველაზე დასამახსოვრებული თამაში იყო შოტლანდიის პრემიერლიგის ბოლო ტური, როცა მან „აბერდინის" წინააღმდეგ ფანტასტიკური ჰეთ-თრიკი შეასრულა. და 1996 წლის მაისში „რეინჯერსმა" თავისი ტიტული მიიღო - ზედიზედ მერვედ მოიგო ჩემპიონატი, გაზა კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

1996 წლის ივნისში პოლი ნაკრების შემადგენლობაში ბრწყინავდა. ინგლისის ნაკრები ევრო 1996-ზე ნახევარფინალში გავიდა. ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი იყო მისი სოლორეიდი და ულამაზესი გოლი შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ.

შვეიცარიასთან გახსნით მატჩში გაზა შეუდარებელი იყო. ბრწყინვალედ მოქმედებდა შვეცარიელთა ცენტრფორვარდი **ქუბილაი თურქილმაზიც**, რომელიც მუდმივად საფრთხეს უქმნიდა ინგლისელთა კარს. მატჩის ბოლოს ინგლისის ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა. თამაშის წესი პოლ ინსმა დაარღვია და 11-მეტრიანი თურქილმაზმა მშვიდად გამოიყენა. ასეთმა შედეგმა ინგლისური პრესის წარმომადგენლებს გასკოინის კრიტიკის საფუძველი მისცა. ჟურნალისტების აზრით, გაზა ადრე გამოეთიშა თამაშს, გარდა ამისა, ხაზი გაესვა პოლის ცუდ სპორტულო ფორმას. ასეთი მკაცრი კრიტიკის მიუხედავად, შვეიცარიასთან პირველი ტაიმი გაზას შესრულებით მთელი ჩემპიონატის მშვენებად მოინათლა.

## უკან, ჩრდილო-აღმოსავლეთით

1997 წელს, მორიგი ტრავმების მოშუშების შემდეგ პოლმა „რეინჯერსი" ზედიზედ მეცხრე საჩემპიონო ტიტულამდე მიიყვანა. ნაკრებშიც დაიბრუნა ადგილი. ივლისში ინგლისელმა სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი „რეინჯერსთან". ნოემბერში „სელტიკთან" მატჩის დროს ის მინდვრიდან არასპორტული საქციელისთვის გააძევეს. 1998 წლის იანვარში კი პოლმა საქვეყნოდ მოიხადა ბოდიში სეზონის მთავარი მატჩის დროს ნაჩვენები უხამსი ჟესტისთვის. იმავე „სელტიკთან" შეხვედრის მსვლელობისას, გაზა მინდორზე შესასვლელლად ემზადებოდა და მოედნის მიღმა მოთელვას გადიოდა. გასკოინმა „სელტიკის" გულშემატკვირებს შუა თითი უჩვენა.

„უემბლიზე" ჩილესთან ამხანაგურ მატჩს პოლი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. 1998 წლის მარტში „რეინჯერსი" მზად იყო სკანდალური ფეხბურთელი „კრისტალ პალასში" 3 მილიონ ფუნტად გაეშვა. სწორედ გლაზგოში მოღვაწეობის პერიოდს დაემთხვა პოლისა და მისი მეუღლე **შერილის** გართულებული ურთიერთობა, რაც გაზეთების პირველ გვერდებზე აქტიურად შუქდებოდა. პოლმა აღიარა, რომ საკუთარ ცოლს სცემდა და საქმე სასამართლომდეც კი მივიდა.

შერილი ფეხბურთელს დაშორდა, მოგვიანებით შეურიგდა და ბოლოს, 1998 წლის მარტში საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა. თურმე ყველა წარუმატებელი თამაშის შემდეგ გაზა ჯავრს საცოდავ ქალზე იყრიდა, რის შემდეგაც, პატიებას სთხოვდა ხოლმე და იფიცებდა - ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდებაო. შერილი ნამდვილი გმირი აღმოჩნდა, ვინაიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ითმენდა ქმრის ცხოველურ გამოხდომებს. მაგრამ ბოლოს ნერვებმა მასაც უმტყუნა და განქორწინების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. გასკოინმა საპასუხოდ ნაღვლიანი სახე მიიღო და მის გარშემო შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა: *„მე ხომ მას დავპირდი, რომ მუშტების ქნევას თავს დავანებებდი. უცნაური ქალია".*

პოლი არასოდეს გამოხატავდა თანაგრძნობას ტრავმირებული ფეხბურთელების მიმართ. ერთ-ერთი მატჩის დროს გასკოინმა თავისი პარტნიორი მცველის პაროდია გააკეთა, რომელმაც ერთ-ერთ ეპიზოდში არც თუ ისე კარგად ითამაშა. როცა „დაზარალებულმა" ჩანაწერში ნახა ეს ეპიზოდი, ძალიან გაბრაზდა, გასკოინს დაურეკა და ყველაფერი უთხრა, რასაც მასზე ფიქრობდა. მაგრამ პოლს იმ მომენტში ახსნა-განმარტებებისთვის არ ეცალა - მეგობრებთან ერთად მესამე ბოთლ ვისკის სვამდა. მოგვიანებით, გაზამ თავისი ხუმრობები მეტოქე ფეხბურთელებზე გადაიტანა. როგორც კი ვინმე ტრავმას მიიღებდა ან ასპროცენტიან მომენტს ვერ გამოიყენებდა, ჩვენი გმირი მაშინვე დასცინოდა ხელმოცარულ მეტოქეს.

**ვასო პუჭუხიძე**

*(გაგრძელება იქნება)*



